საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №178 (2878) ხუთშაბათი, 16 ივლისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ - 45 თეთრი.

კანონმდებლები

დეპუტატებს არდადეგები დროებით შეუწყდებათ

გუშინ გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა 17 ივლისს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის საკითხი.

პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას შეფასებით, არსებობს რიგი მნიშვნელოვანი საკითხები საგადასახადო პოლიტიკისა და სამართლო სისტემის სფეროებში, რომლებიც პარლამენტის შესაბამის გადაწყვეტილებას საჭიროებენ. ასე მაგალითად: მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები სულ 34-მა კანდიდატმა ჩააბარა, მაშინ, როდესაც, მარტო სააპელაციო სასამართლოების სრულყოფილად დასაკომპლექტებლად თბილისსა და ქუთაისში შესაბამისად 32 და 28 მოსამართლეა საჭირო. ასეთი მდგომარეობა სისტემას ქაოსით ემუქრება. ამდენად, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ამოქმედება, 1 აგვისტოდან 99 წლის 20 იანვრისთვის უნდა გადავიდეს, რასაც პარლამენტის შესაბამისი დადგენილება სჭირდება. პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის აზრით, პარლამენტმა ნოტარიატის საკითხებიც უნდა განიხილოს. ამდენად, გადაწყდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე თხოვნით მიმართავს სახელმწიფოს პრეზიდენტს მიმდინარე წლის ივლისს, 10 საათზე, საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

დევნილთა ნორმირებული პურით მომარაგებას საქართველოს პრეზიდენტის ფონდი უზრუნველყოფს

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, განისაზღვრა გალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის დახმარების დამატებითი ღონისძიებები.

განკარგულების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული ხორბლის სახელმწიფო მარაგიდან, რომელიც სააქციო საზოგადოება ქ. ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატშია განთავსებული, 460 ტონა ხორბალი გამოიყენება ფქვილის საწარმოებლად და დევნილთა ნორმირებული პურით მომარაგებისათვის.

ამ მიზნით ხორბლის შესაძენად საჭირო 117 ათასი ლარი გამოიყო საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან.

ლტოლვილთა დაბრუნების შემდეგ სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრებიდან 500 ათასი ლარით დაფინანსდება გალის რაიონიდან დევნილი ბავშვების სოციალური რეაბილიტაციისა და დასვენების ღონისძიებები.

დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში შესასრულებელი სამუშაოებისა და აუცილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან 160 ათასი ლარი გამოეყო.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი, რომელმაც კოდორის ხეობის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სტრუქტურების კოორდინაცია. განისაზღვრა ხეობის მოსახლეობისათვის სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნისა და, უწინარესად, ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭირო გადაუდებელი ღონისძიებები. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარკვეული ასიგნებანი საკმარისი არ არის პროგრამების დასრულებისა და ახალი სამუშაოების დაწყებისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წელს სოციალური დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

იხ. მე - 2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

ე. მამისთვალიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მეცნიერულად კვლევის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელდარ მამისთვალიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა

1998 წლის 24 ივლისს, 11 საათზე, სახელმწიფო კანცელარიის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილული იქნება კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1998 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შედეგები.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაკმაყოფილდეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თხოვნა და მოწვეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია 1998 წლის 17 ივლისიდან.

ე. შევარდნაძე.

თვალი ენგურსგაღმა უჭირავთ

როდემდე იქნებიან გალელი და ზუგდიდელი ძმები ერთი თხილის გულის ამარა?

ბედის უკუღმართობისა და გალში დატრიალებული ტრაგედიის მედეგად სამურზაყანოს მოწყვეტილი, იძულებით ადგილნაცვალ პირთა თავშესაფრად გადაქცეული ზუგდიდი სასაზღვრო ქალაქისათვის დამახასიათებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

დღეს თანამოძმეთა ხვედრით გულდამძიმებულ ზუგდიდელებს იშვიათად რომ შენიშნო სახეზე ღიმილი.

ლტოლვილთა მდგომარეობის და ტკივილის მორიდან გათავისება ტელეეკრანისა და გაზეთების მეშვეობით შეუძლებელია, საკუთარი თვალით ნანახი კი სულით ხორცამდე შემძვრელი.

იხ. მე - 2 გვ.

კარვების ქალაქი ზუგდიდში.

მორიგე რედაქტორი

სანთელ-საკმეველი გზას არ ჰკარგავს...

ყოველ დროს თავისი დამახასიათებელი ნიშანი აქვს, და იგი განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა მკითხველთა წერილებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიას ეძღვნება.

იხ. მე - 2 გვ.

უშიშროება

ყოველგვარი მოქმედება კანონის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განცხადება

როგორც ცნობილია, საქართველოს რიგ რაიონებში ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის აკაკი ასათიანის ინიციატივით მიმდინარეობს მოქალაქეების ხელმოწერების შეგროვება საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ვართ განვაცხადოთ:

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არის პრეზიდენტის გადადგომის ინსტიტუტი. ასევე არ არის გათვალისწინებული ასეთი ინსტიტუტი საქართველოს კანონით „რეფერენდუმის შესახებ“. ამდენად, პეტიცია, რომლის მეშვეობითაც ა. ასათიანი მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას, არ წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს და იგი არ შეიძლება იყოს პრეზიდენტის გადადგომის იურიდიული საფუძველი.

იხ. მე - 2 გვ.

ინფორმაცია

მიზანი – ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1998-2000 წლები საქართველოში ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების განსაკუთრებული ხელშეწყობის წლებად არის გამოცხადებული. იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ურთმანეთოდ ვერ იარსებებენ, ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია დემოკრატიული, სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობა, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი. ამ ამოცანების განხორციელებისა და, კერძოდ, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის მუდმივი, აქტიური დიალოგისა და თანამშრომლობის მოდელის სრულყოფის მიზნით, **საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით,** საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა პეტრე მამრაძე.

გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, რევაზ ყიფიანს არ მიაჩნია, რომ გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის თანამშრომლის მარია-მაგდალენა ვეიორსკას მკვლელობა, რომელიც რადიანის ქუჩის № 20-ში 14 ივლისს საღამოს 21.30 საათზე მოხდა, პოლიტიკური მიზნით განხორციელდა.

თუმცა, გამოძიება ჯერჯერობით მკვლელობის მიზეზების არც ერთ ვერსიას არ გამორიცხავს, განიხილავს თუნდაც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მკვლელობას, და დასაშვებად მიიჩნევს იმასაც, რომ მკვლელობა წინასწარ განზრახვით მოხდა, ხოლო ძარცვა ინსცენირებული იყო.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, შეშფოთებას გამოთქვამს ამ შემზარავი მკვლელობის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს მთავრობა და, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს ილონებენ, რათა გამოძიებამ უმოკლეს ვადაში დაადგინოს მკვლელობის მიზეზები და დამნაშავეთა ვინაობა, ნათქვამია განცხადებაში.

ახალი ტრაგედია

გუშინ დილის 8 საათსა და 30 წუთზე გალის რაიონის სოფელ სიდაში ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს წამოეგო საზიდარი, რომელშიც ექვსი ქართული ეროვნების მშვიდობიანი მცხოვრები იყო, მათგან ორი ქალი ადგილზე დაიღუპა, ორი კი მძიმედ დაიჭრა. მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროებმა გააკეთეს განცხადება, რომლის ტექსტსაც ხელ შემოგთავაზებთ.

„თეთრი ლეგიონი“ უარყოფს

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას წერილი მოაწვდინა „თეთრმა ლეგიონმა“. მასში ნათქვამია:

პრესითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ თითქოს „თეთრი ლეგიონის“ მიერ დადებულ ნაღმზე გალის რაიონის სოფელ ფიჩორთან აფეთქდა ჯავშანტრანსპორტიორი, რის შედეგადაც დაიღუპა ექვსი და სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღო რუსეთის სამშვიდობო ძალების რამდენიმე მებრძოლმა.

სამწუხაროდ, ამ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი კორობკო, რომელმაც გამოიჩინა მაღალი ჩინის სამხედრო მოსამსახურისათვის მიუტევებელი ამკარა უპასუხისმგებლობა და „ინტერფაქსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დაუსაბუთებლად დაადანაშაულა „თეთრი ლეგიონი“.

გენერალ კორობკოს ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ჯავშანტრანსპორტიორი ნაღმზე აფეთქებულა, არც „თეთრი ლეგიონი“ და არც მისი სარდალი არათუ ფიჩორამში, საერთოდ, გალის რაიონშიც არ იმყოფებოდა.

„თეთრი ლეგიონი“ არასდროს მალავს მის მიერ განხორციელებულ აქციებს, არ გაურბის პასუხისმგებლობის აღებას და შემთხვევის ადგილზე ყოველთვის ტოვებს ამის დამადასტურებელ წერილობით ცნობას.

დღეს სამების – სიყვარულის დღესასწაულია

ამქვეყნიურ ამაოებაზე ამაღლებული, კავკასიონის მაღალ ქედზე აღმართული გერგეტის სამების ტაძარი ყურადღებას იქცევს თავისი სიმშვენიერითა და დიდებულებით. იქ აღვლენილი ლოცვები თითქოს ოთხივ კუთხით იმლება და საფარველად ეფინება საქართველოს. რამდენიმე წლის წინათ კვლავ განახლდა ამ ტაძარში წირვა-ლოცვა, და მას შემდეგ ყოველწლიურად, 16 ივლისს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, დიდი სიხარულით აღინიშნება ყოვლადწმინდა სამების დღესასწაული, რომელსაც სიყვარულის დღესასწაულიც ეწოდება.

ყველამ თავის საზღვარს მოუაროს

დღეიდან საქართველოს სასაზღვრო უწყება იწყებს ტერიტორიული წყლების გაკონტროლებას. სასაზღვრო ძალების სარდალი ვალერი ჩხეიძე პირადად უხელმძღვანელებს ღია ზღვაში ქართველი მესაზღვრეების გასვლის ცერემონიალს, რითაც საქართველო იწყებს საკუთარი ძალებით ტერიტორიული წყლების გაკონტროლებას. ქართველი მესაზღვრეები ფოთის პორტიდან პირველად გადიან ღია ზღვაში დასახული ამოცანის შესასრულებლად. ამ დღისათვის საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილია სასაზღვრო ძალების კუთვნილი 15-მდე სანაპირო დაცვის, სადარაჯო კატარღები და გემები.

ფსოუდან სარფამდე საქართველოს ტერიტორიული წყლების გაკონტროლებასთან დაკავშირებით, რომლის წინააღმდეგიც აფხაზური მხარის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ჩხეიძე გასულ კვირას ვლადისლავ არძინბას შეხვდა. შეხვედრაზე დაიგეგმა ქართულ-აფხაზური სამუშაო ჯგუფების საკონსულტაციო შეხვედრები, რადგან აფხაზური მხარის წარმომადგენლების თქმით, ისინი ჩაძირავენ საქართველოს ყველა იმ სანაოსნო საშუალებას, რომლებიც აფხაზეთის ზღვის აკვატორიაში შეელენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ“, „იბერიამ“.

შოთა ნიშნიანიძე

ლექსი – ალბუმიდან ჩამოყვეთილი

როგორც სეტყვამ ვენახები, როგორც სიცხემ უჯარმა,
შენც შეგჭამა ნახევარძმამ – ამ ნახევარმუჭამა.
როცა კაცი უძლური ხარ და ლატაკიც ასევე,
ქუდსაც ჩამოგაფხატავენ, წიხლსაც გითავაზებენ.
იმ ყმას ჰგავდე, იმ მგელკაცას, ხალხურ ლექსში ნაამბობს,
ვინც ყიჩალი თავგასული ცხენიანად გააპო.
შენ გჭირდება გამრავლება, გამრავლება ბრძანებით,
გამრავლება მგლის მგუდავი თუშ-ფშავ-ხევსურ-სვანების,
არა დახლში მოდანდალის, ანდა ჩემისთანების,
გადაერჩებით, თუ ძველ სპარტას ან რომს დაემგვანებით.

ცას შემუის იმპერია ძველ დიდებით მორჭმული,
კავკასიურ ნაგაზისგან დუნდულებგამოჭმული...

მე ხვალ უნდა დავიბადო არავის დასარიდად,
ძველმონღოლურ ღრიალიდან და რომაულ ფარიდან.
პაუ, ფარო რომაულო, სულ ტრიუმფით ვიაროთ,
გეხერიპო, გეხერიპო, ვერ შეგეხერიპო, მონღოლურო ღრიალო.

ეს რა ბედის დაცინვაა, ან რა ემმას შეჩვენება
– ფოთოლიც კი ევას ტანზე ხალხს დოლარად ეჩვენება.

ერო, გული წაგსვლია და გაგწყრომია სულიწმინდა,
გონებაზე რო მოხვიდე, ასი ალიყური გინდა.
ამირანის ალიყური,
დავით მეფის ალიყური,
ხატი, რჯული – არ გაწყენდა
მამა ღმერთის ალიყურიც!
დიდი გალევიძება მართებს
ყველა შენს შვილს, ყველა ქართველს.
ვინც კი ვფიქრობთ მღვიძარე ვართ –
უფრო გალვიძება გვმართებს.

ღმუის, ღმუის იმპერია ძველ დიდებით მორჭმული,
კავკასიურ ნაგაზისგან დუნდულებგამოჭმული...

P. S.
ძაღლიკავ, ქისტეთს გადადი,
განვლე კლდენი და ღრენია,
ჯოყოლას შვილთაშვილებსა
ლეკვ გამაართვი ღრენია...

პროკურატურა

უფლება გისოსებს მიღმაც უფლებაა!

რუსთავის № 1 კოლონიაში მსჯავრდებულ ვლაძეს პირობით ვადამდე განთავისუფლება ეკუთვნოდა ჯერ კიდევ 1996 წლის 29 სექტემბრიდან. მას ბრძანებით გამოცხადებული ჰქონდა მადლობაც. მაინც არ გაუშვეს და 1998 წლის 19 თებერვალს გულით ავადმყოფს სიცოცხლე კოლონიაში დაასრულებინეს; თბილისის № 5 კოლონიაში კი მსჯავრდებულ ნ. ჩიხაშვილის გვამი ტუალეტში აღმოაჩინეს. მას ბლაგვი საგნით ჩაჩეჩქვილი ჰქონდა თავის ქალა. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილიც არ დაათვალიერეს, მოწმეებსაც არ დაჰკითხეს. სწორედ ასეთ დაუჯერებელ, მაგრამ აშკარა ფაქტებზე პირუთვნელად იმსჯელეს საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა უნიკალური უწოდა განსახილველი საკითხის სიმწვავითაც და, სამწუხაროდ, მისადმი გულგრილი დამოკიდებულებითაც.

იხ. მე - 10 გვ.

დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს კანონს

სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ

იხ. მე - 3 გვ.

უკანასკნელ საათს

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იგორ სერგეევმა სომხეთში თავისი ორდღიანი ვიზიტის დროს არ უარყო პრესაში გაჟღერებული ინფორმაცია ახლო მომავალში სომხეთში რუსეთის წარმოების უახლესი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების C-300 განლაგების თაობაზე.

გუშინ გაიმართა დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მაგომედალი მაგომედოვის ინაუგურაცია. ცერემონიას დაესწრნენ რუსეთის პრემიერი სერგეი კირიენკო და ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის პრეზიდენტი ალექსანდრე ძასოხოვი.

გუშინ ჩეჩნეთში, ჯოხარგალას სიახლოვეს, შეიარაღებული შეტაკებისას დაიღუპა 6 და დაიჭრა 15 ადამიანი.

ვორკუტის „კომსომოლსკაიას“ შახტში გუშინ მომხდარი ავარიის შედეგად დაიღუპა სამი კაცი, ორი მძიმედ დაშავდა.

ნიკოლოზ მეორის, მისი ოჯახისა და მოსამსახურეთა ნეშტი გუშინ ჩაასვენეს კუბოებში, რომელთაც დღეს ეკატერინბურგიდან სანკტ-პეტერბურგში გაგზავნიან.

ხვალ გამოქვეყნდება საქართველოს კანონები

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ და
ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 16 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.2017 ლარი
გერმანული მარკა	1	0.7471 ლარი
აშშ დოლარი	1	1.3470 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2228 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0501 ლარი
რუსული რუბლი	1	0.2164 ლარი

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი.
დაბლობში: ღამით +20+25; დღისით +32+37.
მთაში: ღამით +16+21; დღისით +29+34.
მაღალ მთაში: ღამით +11+16; დღისით +21+26.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +18+23; დღისით +30+35.
მთაში: ღამით +16+21; დღისით +27+32.
მაღალ მთაში: ღამით +13+18; დღისით +23+28.

თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში.
ღამით +21+23; დღისით +33+35.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ენერგეტიკა

სასიკეთო ტენდენცია გრძელდება

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის და „თელასის“ მიერ ჩატარებული რეიდი ამჯერადაც ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ენერგეტიკოსებს გახარჯული ელექტროენერგიის ვალი – 1100 ლარი გადაუხადა შპს „უმბამ“, სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის“ ბენზინგასამართმა სადგურმა – 694, ხოლო ფირმა „სანტე უოლშ პროდუქტმა“ – 2000 ლარი. თავი არც თბილისის მერიის უნივერსალური შემსყიდველი ბაზის და შპს „სამგორის“ კოლექტივებმა შეირცხვინეს.

სამაგიეროდ, იმ დღეს თავი ფირმა „დაგის“ რესტორნის (დირექტორი გივი დანელია) კოლექტივმა შეირცხვინა, რომელიც დენს ტექნიკური პირობის შეუსრულებლად და ღირებულების აუნაზღაურებლად მოიხმარდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ 24 საათის ვადა მიეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში დენის მიწოდებას შეუწყვეტენ.

დავალიანების (664 ლარი) გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა შპს „ხელოვნების“ ლუდის ბარს (ხელმძღვანელი ქ. ბოსტოღანაშვილი).

აფხაზეთი—ტკივილი ჩვენი

კოდორის ხეობის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით

(პირველი გვერდიდან)

განკარგულების თანახმად, 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პრეზიდენტის ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოეყო 600 ათასი ლარი. ეს თანხა მოხმარდება კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში საუბნო საავადმყოფოს აღდგენითი სამუშაოების დასრულებას, ხეობაში განათლების, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, სოფელ აჟარის საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენას, კოდორის ხეობაში მისასვლელი და შიდა გზების, ხიდების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციას, ხეობაში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პროგრამის სტაბილური და შეუფერხებელი რეტრანსლაციის უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ტელემაუწყებლობის შექმნას, ადგილობრივი წარმოების რეაბილიტაციას.

განკარგულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ავალებს შესაბამისი გრაფიკის თანახმად უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებული სურსათის მიწოდების მიზნით 350 ათასი ლარის გამოყოფა.

განისაზღვრა, აგრეთვე, ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა ვალდებულებები. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს მშენებარე საავადმყოფოს სათანადო სამედიცინო აპარატურით დაკომპლექტება, საჭირო მედიკამენტებით მომარაგება და კოდორის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების სამინისტრომ ხეობაში უნდა შექმნას სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების სამინისტრომ ხეობაში უნდა შექმნას სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაბამისი სამსახური. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს კოდორის ხეობაში შეტანილი 10 ცალი მიკროელექტროსადგურის ადგილზე დამონტაჟება და ამოქმედება. ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ხელი შეუწყოს ხეობაში მცირე ბიზნესის პროგრამის განხორციელებას.

განკარგულების თანახმად, 1998-1999 სასწავლო წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩასარიცხად კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის გამოიყო 50 ადგილი.

საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს დაევალათ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად შეიმუშაონ და წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადებები ხეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კრიმინოგენური ვითარების გამჯობესების მიზნით.

განკარგულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ნ. საჯაია, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ბ. ხატიძე და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თ. ბასილია.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

(პირველი გვერდიდან)

ორი დღის მანძილზე შამგონასა და კოკში უიმედობით სასოწარკვეთილი ადამიანების ხილვა, რომლებსაც ბედმა, დროის მცირე მონაკვეთში, უკვე მეორედ არგუნა გალიდან ზუგდიდამდე მოკლე, მაგრამ გოლგოთის სადარი გზის გამოვლა, ჩვენთვისაც ნამდვილი სატანჯველი იყო.

დათრგუნული ვუყურებდი ერთ დროს ამ ამაყ, შეძლებულ და მუდამ სტუმართმოყვარე ადამიანებს, რომლებიც ახლა, ბედის უკუღმართობით, გასაცოდავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და თავიანთ დიდ გასაჭირზე მეტად ის აწუხებდათ, ადგილზე მათი მდგომარეობის გაცნობის მიზნით ჩასულთ უპატივცემულოდ რომ გვიმებდნენ.

გადატანილი სულიერი და მორალური ტრაგედიის მიუხედავად, მშობლიური კუთხიდან აყრილი, გუშინდელი სისხლხორცეული თანამოძმეების მიერ სახლ-კარ გადამწვარ და შეურაცხყოფილ გალის რაიონის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თვალი მაინც ენგურსგაღმა უჭირავს. ისინი დღეს იმ მცირე, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო დახმარებასაც სჯერდებიან, რასაც სახელმწიფო მათ დღევანდელი შესაძლებლობის ფარგლებში უყოფს. ხელისუფლებისაგან ისინი რეალურად მხოლოდ ერთს, დროულად შინ დაბრუნებას ითხოვენ, რადგან როგორც ნაბაკეველმა მთვარისა ფაცაციამ გვითხრა, მათ იქ ყველაზე დიდი სიმდიდრე, გადამწვარი სახლი, მარჩენალი მიწა და აუღებელი ჭირნახული ელოდებათ.

სწორედ დღევანდელი ლტოლვილობის გაუსაძლისმა მდგომარეობამ აიძულა ნაბაკეველი 45 წლის ირინა ჩხეტია, დაერდომილი ახლობლების დაპურების მიზნით სახლში „საზღვარს“ იქით სიმინდის გამოსატანად გასულიყო. აფხაზთა მხარემაც დრო იხელთა და უმწეო ქალი მძევლად აიყვანა. სოფელ კოკის ქვისსამსხვრევი საწარმოს ტერიტორიაზე ჩასახლებულ 922 კაცს კი 100 ლარიც არ აღმოაჩნდა მის გამოსახსნელად. აფხაზები ამ დროს 500-500 ლარს ითხოვენ ახლობელი მიცვალებული ქალის გადმოსასვენებლად სოფელ სობჩაში გადასული და დაკავებული ორი მამაკაცის გამოსახსნელად. აქ განსაკუთრებით მძიმეა ლტოვილთა იმ ერთი ნაწილის ხვედრი, რომლებიც სქელი თუნუქის ფურცლებით შეჭედილ ყოფილ სათავსში ცხოვრობენ, არადა, მზიან დღეს დატრიალებულ ბუღში იქ გაჩერება შეუძლებელია. მეორე ნაწილი აქამდე შხამქიმიკატებისთვის განკუთვნილ საწყობში ცხოვრობდა, მერე გადაიყვანეს კარვებში, სადაც მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ გააჩნიათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კერძის მოსამზადებლად, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცათ, ნავთქურაც არა აქვთ (სამ ოჯახს მხოლოდ ერთი ნავთქურა და 5 ლიტრი ნავთი გამოუყვეს).

სოფელ კოკის ბოლოში, ქვისსამსხვრევის ახლოს, მდინარე ენგურზე სახელდახელო ხიდია გადებული. იქვე რუს მშვიდობისმყოფელებს საგუშაგო აქვთ მოწყობილი, რომლებმაც ჩვენთან გასაუბრებაზე უარი განაცხადეს. ჩვენთან საუბარს თავი აარიდეს

თვალი ენგურსგაღმა უჭირავთ

როდემდე იქნებიან გალელი და ზუგდიდელი ძმები ერთი თხილის გულის ამარა?

აგრეთვე აფხაზეთის მხრიდან გადმოსულმა გაეროს კორეელმა და იორდანიელმა დამკვირვებლებმა, რომლებმაც რუსებისაგან განსხვავებით ზრდილობიანად გვერჩიეს ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად ზუგდიდში მათივე მისიის წარმომადგენლისათვის მიგვემართა.

შამგონი ზუგდიდის რაიონში ადრე ერთ-ერთ შეძლებულ სოფლად ითვლებოდა. დღეს, როგორც ყველას, შამგონელებსაც უჭირთ, მაგრამ მათთან შეკედლებულ 1774 ლტოლვილს (სოფელში კი 1906 მცხოვრებია) გულის სითბოს მაინც არ აკლებენ და მათთვის უკანასკნელ ლუკმასაც არ იშურებენ.

სოფლის გამგებელი აკაკი წყაროზიაც, თავის მხრივ, ყურადღებას არ აკლებს ლტოლვილებს, ყოველმხრივ მხარში უდგას მათ და შეძლებისდაგვარად ცდილობს მათთვის ამ მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შველის.

დღეს აქ, სადაც კი თავის შეფარება შეიძლებოდა, ყველგან ლტოლვილები არიან ჩასახლებული, გამონაკლისი ამ მხრივ არც მეღორეობის ფერმა და ავტოფარეხია, სადაც წვიმიან ამინდში წყალი ისე ჩამოდის, რომ შიგ გაჩერება შეუძლებელია. საშუალო სკოლის საკლასო ოთახებში ორი-სამი ოჯახია შესახლებული, ზოგან მათი რაოდენობა 17 სულს აღწევს, აქ რამდენიმე კაცზე თითო ლეიბი გასცეს და ახლა პირდაპირ იატაკზე რიგრიგობით სძინავთ.

სამედიცინო ამბულატორიის ოთხ პატარა ოთახში 38 სული (ცხრა ოჯახი) ცხოვრობს. იქვე პარალელურად მედიცინის მუშაკები ავადმყოფებს მკურნალობენ, რომელთა შორის ბევრს გადატანილი სულიერი სტრესის შედეგად ფსიქიკური გადახრა შეენიშნება, ზოგი კი ნევროზით არის დაავადებული. ხშირია, აგრეთვე, ვირუსული ინფექციის, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის და ჰიპერტონიული კრიზის შემთხვევები.

ზუგდიდში ჩვენი ახლანდელი ჩასვლის ორგანიზატორი და თანამგზავრი საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის ინფორმაციის ხაზით რეგიონული დელეგატი, შესანიშნავი ფინელი ქალბატონი მარიუტ გელმინენი იყო. მასპინძლობას კი მშენებლობის დარგში ასევე რეგიონული დელეგატი, ინგლისელი ტერი ტეილორი და მისი თანაშემწე მიხეილ ჩიტაშვილი გვიწევდნენ.

აღნიშნულ ორგანიზაციას 1992 წლიდან მოყოლებული, დღემდე, გაწეული დახმარების სახით, როცა შიდა კონფლიქტებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა საქართველო, ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის.

1995 წელს ფედერაციამ ჰუმანიტარული დახმარება გაუწია 350 ათას იძულებით ადგილნაცვალ, სოციალურად დაუცველ პირს, მარტოხელა მოხუცებსა და ბავშვებს. მათი თანადგომა არც მომდევნო წლებში მოჰკლებიათ ლტოვილებს. (წითელი ჯვრის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 29 მილიონი ლტოლვილია, აქედან 13 მილიონი – თავისსავე ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალი).

მათი მხრივ დახმარება, როგორც ბატონმა ტერი ტეილორმა გვითხრა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მიმდინარე წლის მაისში გალში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ. 40 ათასმა ახალმა ლტოლვილმა ზუგდიდს გარკვეული პრობლემები შეუქმნა. ლტოლვილებს დღეს განსაკუთრებით უწყლობა და ცუდი სანიტარიული მდგომარეობა უქმნით საფრთხეს. ბატონი ტერი კი ამჟამად სწორედ ამ საკითხებით არის დაკავებული.

მათი წყლით უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდში ახლა ინტენსიურად მიმდინარეობს ჭების მშენებლობა, სადაც, ჯერჯერობით 25 ლტოლვილია დასაქმებული, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი 150 ლარია.

პროგრამით ზუგდიდის, სენაკის და ხობის კოლექტიურ ცენტრებში (სანატორიუმებში, საავადმყოფოებსა და საერთო საცხოვრებლებში) 50 ათას იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გათვალისწინებულია აგრეთვე სამედიცინო დახმარების გაწევა. ამას გარდა, მათ ხონში, წყალტუბოში, სამტრედიაში, სენაკსა და ფოთში სარემონტო სამუშაოები ჩაუტარეს ოცამდე ობიექტს, სადაც 6 ათასი ლტოლვილი ცხოვრობს. აღნიშნული პროგრამა კი აშშ საერთაშორისო დახმარების სააგენტომ და შვედეთის წითელმა ჯვარმა დააფინანსეს.

ზუგდიდსა და მის რაიონში დაბინავებული ლტოლვილებისადმი უყურადღებობას არც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება იჩენს, როგორც ადგილობრივი საზოგადოების თავმჯდომარემ დარეჯან როგავამ გვითხრა, ახლანდელი მდგომარეობა წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო რთულია. მთელი სიმძიმე ახლა ძირითადად მათ კისერზე გადადის. ქალბატონ დარეჯანს განსაკუთრებით აწუხებს ლტოლვილთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ მხრივ კი მათ უდიდეს დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელსაც ლტოლვილები გულწრფელად ემადლიერებიან. მათ შემწეობა და თანადგომა არც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძის მხრიდან აკლიათ, რომელიც ამჟამადაც ზუგდიდში იმყოფება.

ქალბატონი დარეჯანი უკვე ამთავითვე ზრუნავს ზამთრისათვის მათი საკვებითა და შეშით მომარაგებაზე, რადგან ლტოლვილები „სახლთან“ ახლოს ყოფნის მიზნით ზუგდიდის დატოვებას არ აპირებენ. მას ყურადღების სფეროდან არც „მინაური მღვდელი“ გამორჩენია. წითელი ჯვრის ბაზაზე გახსნილია უფასო სასადილო, სადაც მარტოხელა უმწეო ზუგდიდელები უფასოდ იკვებებიან. ამ კეთილ საქმეში მათ თანადგომას საერთაშორისო წითელი ჯვარი უწევს.

გალელი ლტოლვილები კი, მიუხედავად გარკვეული ნაწილის აგრესიული განწყობილებისა (ეს არც არის დასამალი), დღეს დიდი შინაგანი ძალების მობილიზებით ყოველგვარ გასაჭირს ვაჟკაცურად იტანენ და ზუგდიდელებთან ერთად ერთი თხილის გულსაც მოთმინებით ძმასავით იყოფენ. იმ ერთადერთი იმედით, რომ მალე შინ დაბრუნდებიან.

ამ იმედით ათენ-აღამებენ ლტოლვილები, რომელთაც თვალი ენგურსგაღმა უჭირავთ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.
„სრ“ სპეც. კორ.
ზუგდიდი.

გაუმჯობესდება ახალმოსახლეთა საცხოვრებელი პირობები

იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის ყოფნის დროს მაღალმთიანი აჭარიდან ხონის რაიონში ჩასახლებულთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა მათი ჭერითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. მიმდინარე წლის დამლევამდე აჭარიდან ჩამოსახლებულთა ათ ოჯახს გადაეცემა ოთხოთახიანი ხის კოტეჯები, რომელთა შესაძენად და ასაწყობად საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან 60 ათასი ლარი გამოიყო. ეს ღონისძიება გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, რომელიც საგანგებოდ გამოიცა სტიქიის შედეგად აჭარიდან ხონის რაიონში ჩასახლებულთა საცხოვრებელი სახლებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.

აჭარიდან ხონში ჩასახლებულთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის წინადადებებს შეიმუშავებს საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო, ხოლო წყალსადენის პროექტირებისა და მშენებლობისათვის საჭირო სახსრების მიზნობრივად გამოყოფა დაევალა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

ბიუჯეტს ემატოს

საქართველოს საგადასახადო ინსპექცია იტყობინება, რომ ივლისის პირველი დეკადის მანძილზე ბიუჯეტში შეიტანა 3,6 მილიონი ლარი. ივლისის შემოსავლების გათვალისწინებით, ბიუჯეტში მობილიზებულია 152, 3 მილიონი ლარი, რაც 22,3 მილიონით აღემატება ანალოგიურ შარშანდელ მაჩვენებელს.

„საქართველოს ბანკი“ – პარიზის პალატის წევრი

სააქციო კომერციული „საქართველოს ბანკი“ მიიღეს პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატაში, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ისეთი ცნობილი კომპანიები და ფირმები, როგორიცაა „ამერიკან ექსპრესი“, „დოიჩე ბანკი“, „დრეზდენერ ბანკი“, „ბრითიშ პეტროლიუმი“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ეს პირველი შემთხვევაა კავკასიის რეგიონში.

როგორია თბილისის საზღვრები?

თბილისის მერის ბადრი შოშიტაიშვილის ინფორმაციით, კვირის დამლევს თბილისის საზღვრების დასადგენად, სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც მოსაზღვრე მცხეთისა და გარდაბნის რაიონების გამგებლები და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც იქნებიან მოწვეული და სადავო საკითხებიც, ალბათ, საბოლოოდ გადაწყდება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და „იბერიამ“.

კანონმდებლები

სტაბილურ ქვეყანას — სტაბილური კონსტიტუცია

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართული სემინარის მთავარი თემა, ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარების გზები იყო. სემინარს ესწრებოდნენ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები, ვაშინგტონში ამერიკის ინსტიტუტის პროფესორი მეარცი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრები, პარლამენტარები. პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის აზრით, არსებული კონსტიტუცია არ შეიცავს პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის შესაძლებლობებს. მისი თქმით, პარლამენტს ნაკლებად აქვს მექანიზმები აკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარალმენტში მიღებული კანონების შესრულება. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, საკონსტიტუციო ცვლილებების იდეა საზოგადოებაში ჯერჯერობით პოპულარული არ არის. ამდენად, საჭიროა მისი საჯაროდ განხილვა. უცხოელი ექსპერტის მეარცის აზრით, საქართველოს კონსტიტუცია ცუდი არ არის. ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ შეცვლის. რაც შეეხება სახელისუფლებო კრიზისს, ამერიკის ინსტიტუტის პროფესორის შეფასებით, ამ შემთხვევაში კონსტიტუცია არაფერ შუაშია.

საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრის ოთარ მელქაძის თქმით, კონსტიტუცია პოლიტიკური თამაშის საგნად აქციეს, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, რად გვინდა საკონსტიტუციო ცვლილებები.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელი თვლის, რომ ქვეყნის მართვის სისტემაში ყველაფერი წესრიგში არ არის. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ პარლამენტი ნელნელა კარგავს ფრაქციებს. როგორც მანვე აღნიშნა, საქართველოში ძალიან დაბალია ხელისუფლების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, კონფერენციის ყველა მონაწილის აზრი ერთსულოვანი იყო. ეს ხანგრძლივი პროცესია, სწრაფმა ცვლილებამ შესაძლოა გაცილებით ცუდი შედეგი მოუტანოს ქვეყანას.

„სტაბილურ ქვეყანას, სტაბილური კონსტიტუცია და კანონები სჭირდება“, – ასე თვლის საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი ლადო ჭანტურია. მისი თქმით, არ არსებობს სრულყოფილი კანონები, ისინი დახვეწას მოითხოვენ, მაგრამ ყოველთვიურად კანონებში ცვლილებების შეტანით, ხელისუფლება საბოლოოდ დაკარგავს მოსახლეობის ნდობას. პროფესორ მეარცის აზრით, თუ კი საქართველოში შემოღებული იქნება ვიცე-პრეზიდენტის პოსტი და მას ნულზე მეტი უფლებები ექნება, ეს შექმნის გარკვეულ პრობლემებს. მისივე აზრით, საქართველოში რომელიმე ქვეყნის საკონსტიტუციო მოდელის შემოღება, საშიშია. ამიტომ, ეს საკითხი მეტ სერიოზულობასა და სიფრთხილეს საჭიროებს.

აუცილებელია პირველი ხელისუფლების მეოთხესთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს საბიუჯეტო ოფისის მნიშვნელობასა და ფუნქციის შესახებ ესაუბრა. კერძოდ, ითქვა, რომ აღნიშნული სამსახური, რომელიც 4-5 თვეა რაც შეიქმნა, აკვირდება, სწავლობს და აკეთებს ანალიზს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ დასკვნას კი, რეკომენდაციის სახით წარუდგენს პარლამენტს. ბატონ რომან გოცირიძეს სურვილი აქვს, მჭიდრო ურთიერთობები დამყარდეს საბიუჯეტო ოფისსა და მასმედიის წარმომადგენლებს შორის, ვინაიდან, მისი თქმით, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ ჟურნალისტებს ეკონომიკური ხასიათის საკითხების ობიექტურად გაშუქებაში. ამ მიზნით, საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლები, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც გამართავენ პრესკონფერენციას და მასმედიის წარმომადგენლებს გააცნობენ ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს. ამჯერად კი, ბატონმა რომან გოცირიძემ დამსწრეთ ამერიკული ორგანიზაცია „პერითიჯ ფაუნდეიშენის“ მიერ მომზადებული რეიტინგის შედეგები გააცნო, რომელშიც განსაზღვრულია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონე, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასებასაც გულისხმობს. ცნობისათვის: ეს ორგანიზაცია მსოფლიოში ცნობილ „ვოლ სტრით ჯორნალთან“ ერთად აწარმოებს მსოფლიოს 156 ქვეყნის რანგირებას 10 მსხვილი ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით. ამ ათივე ფაქტორის გაერთიანებით კი, მიიღება ინდექსი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაზღვრავს. ამ ინდექსის მიხედვით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაზღვრავს. საქართველო 156 ქვეყანას შორის 144-ე ადგილზე იმყოფება. ამის მიზეზი, ბატონ რომან გოცირიძის თქმით, გახდა ის, რომ დასახელებული 10 ფაქტორიდან 6-მა მაჩვენებელმა მეტად დაბალი შეფასება მიიღო. ესენია: მონეტარული პოლიტიკა, საბანკო საქმე, ხელფასებისა და ფასების კონტროლი, საკუთრებითი უფლებები, შავი ბაზარი.

პარლამენტის პრესსამსახური.

უშიშროება

ყოველგვარი მოქმედება კანონის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განცხადება

(პირველი გვერდიდან)

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ არაერთ ინტერვიუში, პრესკონფერენციებში ა. ასათიანი აცხადებს, რომ მისი პარტიის წევრები შეაგროვებენ 200 000 ხელმოწერას და ამის შემდგომ მოითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას. ა. ასათიანის ეს განცხადება არ ემყარება სათანადო იურიდიულ საფუძველს და მოქმედ კანონმდებლობას. იგი პროვოცირებას უფრო წააგავს, ვიდრე რეფერენდუმის მომზადების კანონით დადგენილ პროცედურას, რადგან „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელმოწერების შესაგროვებლად იქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ხელმოწერები დასტურდება სათანადო წესით.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი საინიციატივო ჯგუფი რეგისტრირებული არ არის და შეგროვილ ხელმოწერებში არც კანონით დადგენილი წესია დაცული. რაც უმთავრესია, პრეზიდენტის გადადგომის საკითხი რეფერენდუმით არ იხილება.

უშიშროების სამინისტრო, რომლის უშუალო ამოცანა ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე ზრუნვაა, თავს უფლებამოსილად თვლის, ა. ასათიანისა და მისი თანამოაზრეების აღნიშნული საქმიანობა შეაფასოს როგორც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის, საქართველოს პრეზიდენტის დისკრედიტაციის მცდელობა, რაც შორსაა ჭეშმარიტი საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისაგან.

რაც შეეხება ა. ასათიანის ბრალდებას უშიშროების სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიმართ, საქართველოს პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით ხელმოწერების შემგროვებელ პირებზე ვითომდა ზეწოლის განხორციელებაში, უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციით მკაცრად არის განსაზღვრული პრეზიდენტის გადაყენების წესი და პირობები. აქედან გამომდინარე, სამინისტროს შესაბამისი სამსახურები „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის კანონით“ მინიჭებული უფლებების შესაბამისად დაინტერესდნენ ხელმოწერებთან დაკავშირებული გარემოებებით. როგორც გაირკვა, თელავის რაიონის სოფ. გულგულის მკვიდრმა ბ. სანდოშვილმა შეცდომაში შეიყვანა თანასოფლელები და მათგან ხელმოწერების მოთხოვნით ამზადებდა წერილს საქართველოს პრეზიდენტის სახელზე. სინამდვილეში კი მოსახლეობას ხელს აწერინებდა პეტიციაზე პრეზიდენტის გადადგომის შესახებ.

ამდენად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოქმედება მთლიანად ეტევა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის კანონის ფარგლებში.

პრესკონფერენცია

მინისტრი თანადგომას ითხოვს

უკანასკნელ ხანს ძლიერ გახშირდა თავდასხმა ფინანსთა სამინისტროს მისამართით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველაფერი პრინციპული საკითხების მიმართ ამ უწყების უკომპრომისო დამოკიდებულების პასუხია, იყენებენ ზეწოლის ყოველგვარ მეთოდს, თვით პროვოკაციას და შანტაჟსაც.

მასმედიის დასაკვალიანებლად ფინანსთა სამინისტროში გუშინ პრესკონფერენცია შედგა. მიხეილ ჭკუასელმა თანადგომა ითხოვა და კონკრეტული მაგალითი მოიყვანა ზემოთქმულის დასადასტურებლად. თუ მოკლედ და მარტივად ვიტყვით, საქმე შემდეგშია: 1993 წელს საქართველოში ხორბლის შემოსატანად ფირმა „ტესმოდონს“ 5 მილიარდი რუბლი უნდა ესესხებინა პურპროდუქტების კორპორაციისათვის. ავთანდილ მარგიანის მიერ ხელმოწერილ საბუთში ნათქვამი იყო, რომ ნასესხებ თანხას ორმაგად აუნაზღაურებდნენ, ამის გარანტად კი მთავრობა და ეროვნული ბანკი გამოვიდოდა. „ტესმოდონმა“ მართლა გაიღო 2 მილიარდი რუბლი, რაც მოგვიანებით 12 მილიარდი კუპონით დაიფარა. მაშინ პრეტენზია არავის წამოუყენებია, სამაგიეროდ ახლა, ოთხი წლის შემდეგ, როცა ძველი თუ ახალი კანონმდებლობით კასაციის ყველა ვადა ამოწურულია, „ტესმოდონმა“ ფინანსთა სამინისტროსგან 850 ათასი ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

– არ გვსურდა, რომ ამ ინციდენტს საჯარო განხილვის სახე მიეღო, მაგრამ, როგორც ვატყობთ, საქმე უფრო სერიოზულ სახეს იღებს და თუ სამართალმა გზა არ გაიკვლია, სახელმწიფოსთან ერთად მთელი მოსახლეობა დაზარალდება, – ამბობს სამინისტროს ადვოკატი კობა იმედაშვილი. მისივე თქმით საბუთი ყალბია, ხოლო მოთხოვნა – უმართებულო რამდენიმე გარემოების გამო: 1. დოკუმენტზე არ არის მთავრობის მეთაურისა და ეროვნული ბანკის თავმჯდომარის ხელმოწერა; 2. დამოწმებულია არა საქართველოს მთავრობის, არამედ მოსკოვში ყოფილი საქართველოს სსრ წარმომადგენლობის (!) ბეჭდით (ამ უწყებას თავისი უფლებამოსილება უკვე შეწყვეტილი ჰქონდა); 3. უკანონო იყო ვალის გაორმაგებული ოდენობით დაბრუნება. ამდენად, საბუთს იურიდიული ძალა არა აქვს. არის სხვა გარემოებებიც, რომელთა გამო საკითხის განხილვაზე ნებისმიერ სასამართლოს უარი უნდა ეთქვა.

მოხდა კი პირიქით: თვენახევრის წინათ ვაკის რაიონის სასამართლომ კომპანია „ტესმოდონის“ სარჩელი კანონიერად სცნო და ბიუჯეტს მის სასარგებლოდ 1625 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

არსებობს ეჭვი, რომ ავთანდილ მარგიანის მიერ გაცემული საბუთი სხვა მხრივაც ყალბია – წინა თარიღით არის გაფორმებული. ამასთან დაკავშირებით სამინისტრომ ექსპერტიზა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ მოთხოვნა არ შეასრულა. უფრო მეტიც – სასამართლოს სამი წევრიდან ერთი გადაწყვეტილების წინააღმდეგიც კი იყო!

ამჟამად საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოშია. პროცესი პარასკევს, 17 ივლისს არის დანიშნული. კიდევ რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებს იგი?

არის მოსაზრება, რომ ეს და სხვა აქციები პირადად მინისტრ მიხეილ ჭკუასელთან ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად. „მავანნი და მავანნი იქქებიან მის წარსულში, რათა საზოგადოებას პრესის მეშვეობით „სენსაციური“ მასალები მიაწოდონ“, – ასე ფიქრობს ადვოკატი. ბრალების დასახელებისგან თავი შეიკავეს, ეგებ გონს მოვიდნენ და უსაფუძვლო მოთხოვნებს შეეშვანონ.

მივლენ კი ამ დასკვნამდე?

ელგუჯა ლებანიძე

მორიგე რედაქტორი

სანთელ-საკმეველი გზას არ ჰკარგავს...

სასოწარკვეთილებას იმედი ცვლის. ფარისევლობა იქნებოდა, გვეთქვა, რომ რედაქციის ფოსტა ოპტიმისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული. არა, ავტორთა უმრავლესობა სიდუხჭირეს და უსამართლობას უჩივის, და რედაქციაც შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ – ზოგი საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს, ზოგს კონტროლს უწესებს და დანიშნულებისამებრ გზავნის, ზოგზეც შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის ინსტანციებს. მაგრამ, ამ ბოლო დროს გამოიკვეთა ერთი საინტერესო ტენდენცია: გაზეთის რედაქციაში სოციალურთან ერთად სულ უფრო ხშირად შემოდის სასულიერო ხასიათის წერილები, მოსაზრებები აღმსარებლობის კანონის მომავალ მიღებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა წინადადებები, და ეს, უდაოდ, კარგი ნიშანია.

გამოთქმა „ტაძრისაკენ მიმავალი გზა“, წარამარა ხმარებისაგან, ცოტა არ იყოს გაცვდა, მაგრამ – მხოლოდ გამოთქმა, ვინაიდან ტაძარიც და მისი გზაც წარუვალ ცნებებს წარმოადგენენ, ხოლო ტაძრისაკენ სწრაფვა – ბუნებრივია. საქმე ის არის, ვინ დაგხვდება ამ ტაძარში!

„რწმენა ოდითგანვე ქართველი კაცის ძლიერებისა და გაუტეხლობის წყარო იყო, – გვწერს პედაგოგი თამარ ურდულაშვილი, საგარეჯოს ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, – სად სწავლობდა ქართველი კაცი ძმობის, მიტევების, სიყვარულის, ზნეობის გაკვეთილებს, თუ არა იმ ამბიონთან, რომელიც ეკლესიაში იდგა და რომლის მესვეურნი – ესათნოესი მამები ხალხში ქრისტეს მცნებათა ქადაგებასთან ერთად ყოველ მორწმუნეს ჭირ-ვარამის გამზიარებლებად და საიმედო თანამდგომებად ევლინებოდნენ... სწორედ ასეთი გახლავთ მღვდელმონაზონი მამა ბაქარი (ბურდული), გაჭირვებულთა შემწე და შეოხი, გზააბნეულთა დამრიგებელი, მრევლის ტკივილის გამზიარებელი და დამაამებელი...“

რედაქციაში ყოველდღიურად ათობით წერილი შემოდის და ამ ბარათზე არ შევჩერდებით, იგი ჩვენი ფოსტისათვის დამახასიათებელი, მრავალთაგან ერთ-ერთი და, უდაოდ, ნიშანდობლივი რომ არ იყოს: მასწავლებელი ქალი, სპეციალობით ფიზიკოსი, სრულიად ბუნებრივად თვლის, გაანდოს თავისი ნაფიქრალი საერო გაზეთს, მიმართოს „ოფიციოზს“ სამადლობელო წერილით მოძღვარზე, რომელიც საერო ცხოვრებას განდგომია (რათა ისევ ერს ემსახუროს, რადგან საბოლოო ანგარიშით, ერის მსახურება ღვთის მსახურებაა) და მრევლის ტკივილი გაუთავისებია.

ერის ერთობა სხვა კი არაფერია!

საქართველოს კანონი

სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ

ეს კანონი ადგენს სამხედრო მოსამსახურის სტატუსს, სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირებსა და მათ უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირების ძირითად სოციალურ-სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამხედრო მოსამსახურე – საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევაში), რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში;

ბ) სამხედრო მოსამსახურის სტატუსი – კანონით დადგენილი და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლებების, თავისუფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობა;

გ) სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირები – საქართველოს სამხედრო ძალებისა და სამხედრო უწყებების სამხედრო მოსამსახურეები: რიგითები (მატროსები), სერჟანტები, ზემდეგები (მიჩმანები), უმცროსი, უფროსი და უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრები.

მუხლი 2. სამხედრო მოსამსახურის სტატუსი

1. სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

2. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურს გადის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

3. სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მისი პირადობის, მოქალაქეობისა და სამართლებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები.

4. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს შეიძინოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს სამხედრო ძალების წესდებებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილობრივი შეზღუდვის კომპენსაცია, რაც სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებულ პირობებთანაა დაკავშირებული, წარმოებს ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

6. საომარი ან საგანგებო მდგომარეობისა და მობილიზაციის დროს სამხედრო მოსამსახურის სტატუსის თავისებურებები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

7. სამხედრო მოსამსახურეზე, სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებზე, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდება ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შეღავათები.

მუხლი 3. სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირები

1. სამხედრო მოსამსახურის სტატუსი ენიჭება საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღიდან და ეხსნება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღესვე.

2. სამხედრო მოსამსახურის სტატუსი სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დაწესებულებაში სამხედრო სამსახურის გავლისას განისაზღვრება ამ კანონით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

3. ტყვედ ჩავარდნილ, აგრეთვე, ნეიტრალურ სახელმწიფოში ინტერნირებულ სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, თუ ტყვეობა არ იყო ნებაყოფლობითი და ტყვედ ჩავარდნილმა არ ჩაიდინა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

4. თუ სამხედრო სამსახურის გავლისას ჩადენილი დანაშაულისათვის სამხედრო მოსამსახურეს სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, მას შეუწყდება ამ კანონით დადგენილი შეღავათები.

მუხლი 4. სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები

1. სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეს ცხოვრების შესაფერისი პირობებით, სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

2. ყველა სამხედრო მოსამსახურე, დაკავებული თანამდებობისა და სამხედრო წოდების მიუხედავად, თანასწორია კანონის წინაშე. სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივ განსხვავებას, სამხედრო სამსახურის გავლის პირობებსა და მატერიალური უზრუნველყოფის წესს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

3. სამხედრო მოსამსახურის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ და სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

4. სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურის სხვა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

თავი II

სამხედრო მოსამსახურის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და ამ უფლებების რეალიზაციის გარანტიები

მუხლი 5. სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა

1. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობაში, სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში.

2. სამხედრო მოსამსახურეს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობა, სამეწარმეო საქმიანობა და სამსახური შეთავსებით, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა, თუ ეს ხელს არ უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 6. სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება

სამხედრო მოსამსახურეს აქვს სიტყვის თავისუფლება, საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოთქმის უფლება, აგრეთვე, ისეთი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო, მათ მორის, სამსახურებრივ საიდუმლოს.

მუხლი 7. სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება

სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს აღიაროს ნებისმიერი რელიგია, აღასრულოს რელიგიური წესჩვეულებები, თუ ეს ხელს არ უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში და არ უქმნის პირობებს დამატებითი შეღავათებისათვის.

მუხლი 8. პიროვნების თავისუფლების, პატივისა და ღირსების დაცვა

სამხედრო მოსამსახურის პირადი თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება დაცულია კანონით.

მუხლი 9. გადაადგილების უფლება

1. სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გადაადგილების უფლება აქვს შესაბამისი მეთაურის ნებართვით.

2. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს გამოიცვალოს სამხედრო სამსახურის ადგილი, თუ ის ან მისი ოჯახის წევრი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, საჭიროებს სამსახურის (საცხოვრებელი ადგილის) შეცვლას.

3. სამხედრო მოსამსახურე მივლინებაში იგზავნება სამხედრო ხელმძღვანელობის ნებართვით, შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 10. შრომის უფლების რეალიზაცია

1. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

2. სახელმწიფოს მიერ სამხედრო მოსამსახურისათვის გარანტირებულია:

ა) სამსახურებრივ საქმიანობაში მიღწეული შედეგებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით სამხედრო თანამდებობის დაკავება და სამსახურებრივი დაწინაურება;

ბ) საკუთარი სურვილითა და სამხედრო სამსახურის ინტერესების გათვალისწინებით პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;

გ) საშტატო განრიგისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით სამხედრო წოდების მინიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურისათვის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შეფერხება.

3. სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი პირს ეთვლება შრომის საერთო სტაჟში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სპეციალობის მიხედვით ნამსახურობის სტაჟში.

მუხლი 11. სამუშაო დრო და დასვენების უფლება

1. სამხედრო მოსამსახურის ყოველკვირეული სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა, ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობას.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს, სამხედრო-სასწავლო დაწესებულების კურსანტს დასვენებისათვის ყოველკვირეულად ეძლევა ერთი დღე.

3. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ყოველკვირეული სამსახურებრივი დროის საერთო ხანგრძლივობის შეუზღუდავად.

4. სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება:

ა) სამხედრო ძალებში 10 წელზე ნაკლები ნამსახურობისათვის – 30 დღე;

ბ) სამხედრო ძალებში 10 წელზე მეტი ნამსახურობისათვის – 45 დღე;

გ) საფრენოსნო სამუშაოზე ყოფნისას, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების გემებზე, სარაკეტო და საგორპედო კატარღებზე სამხედრო სამსახურისათვის, საქართველოს სასაზღვრო ძალებში, სპეციალური დანიშნულების რაზმებში, აგრეთვე, განსაკუთრებულ პირობებში საბრძოლო მორიგეობისათვის – 45 დღე.

5. ოჯახური მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი შვებულება 10 დღემდე ვადით. მოკლევადიანი შვებულება მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება.

6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის მთელ პერიოდში ეძლევა ერთი ათდღიანი შვებულება წახალისების სახით. მას აგრეთვე შეიძლება მიეცეს შვებულება 10 დღემდე ვადით, საქართველოს სამხედრო ძალების სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული წესით.

7. სამხედრო-სასწავლო დაწესებულების კურსანტს სასწავლო გეგმით დადგენილ ვადებში ეძლევა საარდადეგო შვებულება.

8. სამხედრო-სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, რომელსაც ოფიცრის პირველადი წოდება ენიჭება, დანიშვნის ადგილზე გამგზავრებამდე ეძლევა 30-დღიანი შვებულება.

9. სამხედრო მოსამსახურე ქალს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის შვებულება ეძლევა საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. მატერიალური უზრუნველყოფა

1. სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

2. სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება, ხოლო სამხედრო სწავლებებში მონაწილეობისას სამივლინებო ხარჯების გარდა მიეცემა ყოველდღიური ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

4. ოფიცერს თანამდებობაზე ნამსახურევი კალენდარული წლების (მათ მორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით ეძლევა თანამდებობრივ და სამხედრო წოდებების ფულად სარგოებზე პროცენტული დანამატები ნამსახურობისათვის შემდეგი ოდენობით:

1-დან 2 წლამდე – 5 პროცენტით;
2-დან 5 წლამდე – 10 პროცენტით;
5-დან 10 წლამდე – 20 პროცენტით;
10-დან 15 წლამდე – 25 პროცენტით;
15-დან 20 წლამდე – 30 პროცენტით;
20-დან 25 წლამდე – 35 პროცენტით;
25-დან 30 წლამდე – 40 პროცენტით;
30 წელზე მეტი – 45 პროცენტით.

5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ზემდეგებს (მიჩმანებს) წელთა ნამსახურობის მიხედვით შეიძლება გაეზარდოთ თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი.

მუხლი 13. საკუთრების უფლება

1. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს იყოს მესაკუთრე, ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს თავის ქონებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურის ქონების შენახვის წესს განსაზღვრავს საჯარისო წესდება.

მუხლი 14. უფლება საცხოვრებელ ბინაზე

1. სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო. სამხედრო მოსამსახურეს სამსახურის დაწყებისთანავე დადგენილი ნორმებითა და წესით, შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გადაცემული საბინაო ფონდიდან ეძლევა სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინა.

2. სამხედრო მოსამსახურეს და მის ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ბინის მიღებამდე უფლება აქვთ გატარდნენ რეგისტრაციაში სამხედრო ნაწილის მისამართზე. ამ პირებს საცხოვრებელი ბინის მიღებამდე ეძლევათ დროებითი საცხოვრებელი სასამხედრო შენობები და/ან ოთახები საერთო საცხოვრებელში.

3. სამხედრო სამსახურში რეზერვიდან ორი წლით გაწვეულ ოფიცერს ეძლევა ოთახი საერთო საცხოვრებელში. თუ იგი ორი წლის შემდეგაც აგრძელებს სამხედრო სამსახურს, საცხოვრებელი ბინა მიეცემა სამხედრო მოსამსახურისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირს განათავსებენ ყაზარმაში შინაგანი სამსახურის წესდების მიხედვით.

მუხლი 15. ნამსახურევი წლების გაანგარიშება და მატერიალური უზრუნველყოფა

1. სამხედრო მოსამსახურეს საომარი მდგომარეობის დროს მოქმედ სამხედრო ნაწილში ყოფნის ან შეიარაღებულ კონფლიქტში უშუალო მონაწილეობის ერთი დღე ჩაეთვლება ნამსახურობის სამ დღედ. პირს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში და იყო საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადყოფნაში ან უზრუნველყოფდა საბრძოლო მოქმედებებს ან იმყოფებოდა შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვლება ორ დღედ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სამხედრო მოსამსახურეებს ყველა სახის ფულადი სარგოები დროის ამ პერიოდში უნაზღაურდებათ შესაბამისად სამმაგი და ორმაგი ოდენობით.

3. წელთა ნამსახურობის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამხედრო მოსამსახურეები ჯილდოვდებიან ორდენებითა და მედლებით.

4. სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს ჯანმრთელობისათვის მავნე სითხეებთან, ქიმიურ, მომწამლავ, რადიაქტიურ და სხვა ნივთიერებებთან, ნამსახურობის ერთი დღე ეთვლება დღენახევრად და ყველა სახის ფულადი სარგოები უნაზღაურდება ერთნახევარი ოდენობით.

5. სხვა სახელმწიფოში მომსახურე საქართველოს სამხედრო მოსამსახურეს ფულადი სარგო ეძლევა ნაწილობრივ ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტით და ნაწილობრივ საქართველოს ეროვნული ვალუტით.

6. საქართველოს სასაზღვრო ძალებში, შინაგან ჯარებში, დახურულ სამხედრო გარნიზონებსა და ცალკეულ სამხედრო ნაწილებში, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, სპეციალური დანიშნულების რაზმებში, აგრეთვე, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებულ პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 16. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო უზრუნველყოფა

1. სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სამხედრო სამსახურის გავლისათვის ჯანსაღი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელი რისკფაქტორების შემცირების ღონისძიებათა სისტემით, რომელსაც ახორციელებს მეთაური (უფროსი) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ერთად.

2. სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა ევალება მეთაურს (უფროსს), მასვე ეკისრება სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედრო წვრთნის, საბრძოლო მომზადებისათვის მეცადინეობების ჩატარების, სამხედრო ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და სხვა სამუშაოთა შესრულებისას უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 5 წლის საზღაურის ოდენობით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 10 წლის საზღაურის ოდენობით. ნეშტის გადასვენებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

5. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო-სამედიცინო ქვედანაყოფებში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში სარგებლობს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მკურნალობის უფლებით.

მუხლი 17. სამხედრო მოსამსახურის სახელმწიფო დაზღვევა. ზარალის ანაზღაურება

1. ყველა სამხედრო მოსამსახურე ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას, რომლის პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

2. დაზღვეული სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის, გარდაცვალების, დაინვალიდების ან დაჭრის შემთხვევაში გაიცემა ერთჯერადი სადაზღვევო თანხა, რომლის გაცემის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა.

3. ამ მუხლით დადგენილი გარანტიები ვრცელდება აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შედეგად დათხოვნილ პირებზე, რომლებსაც აქვთ პოლკოვნიკის ან უმაღლესი სამხედრო წოდება, აგრეთვე, მითითებული მიზეზებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გარანტიები ვრცელდება სამხედრო შეკრებაზე გაწვეულ რეზერვისტებზეც.

მუხლი 18. განათლების მიღება. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა

1. სამხედრო მოსამსახურეს აქვს პროფესიული განათლების მიღების, სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში შესვლის, მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სწავლის უფლება.

2. სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის პირობების გათვალისწინებით უფლება აქვს ისწავლოს სამოქალაქო უმაღლეს, საშუალო და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში. ამ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეზე ვრცელდება ყველა შეღავათი, რასაც ადგენს კანონმდებლობა იმ პირისათვის, რომელიც უთავსებს სამხედრო სამსახურს სასწავლო დაწესებულებაში სწავლას. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება ამ სასწავლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება.

3. უმაღლესი ან საშუალო-სპეციალური სამოქალაქო განათლების მქონე ოფიცერი და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მიღებული სპეციალობით გადის სამხედრო სამსახურს, თავისი განათლებით უთანაბრდება პირს, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი ან საშუალო სამხედრო სასწავლებელი.

4. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და ისარგებლოს კულტურის დაწესებულებებით.

5. სამხედრო ხელმძღვანელობა ვალდებულია შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები სამხედრო მოსამსახურის პატრიოტული, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, განუვითაროს გონიერული ინიციატივა, ჩაუნერგოს მას ეროვნული ტრადიციებისადმი, რელიგიისადმი, უფროსებისა და უმცროსებისადმი პატივისცემა.

6. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯზე სარგებლობს ბიბლიოთეკებითა და სამკითხველოებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სპორტული ნაგებობებითა და ინვენტარით, კინო და ვიდეოფილმებით, აგრეთვე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სპორტულ და თვითშემოქმედებით ღონისძიებებში.

მუხლი 19. შეღავათები ტრანსპორტით მგზავრობასა და კომუნალურ მომსახურებაზე

1. სამხედრო მოსამსახურეს მივლინებისას ძირითადი და დამატებითი შვებულებების დროს სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებამდე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას არჩეულ საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის, სხვა დასახლებულ პუნქტში გადაყვანისას აქვს ყველა სახის საგზაო ტრანსპორტით მგზავრობის უფლება (გარდა ტაქსისა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯზე.

2. სამხედრო მოსამსახურეს აქვს საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით – ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, მეტროპოლიტენით და საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრობის უფლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯზე.

3. სამხედრო მოსამსახურეები (გარდა ვადიანი სამხედრო მოსამსახურისა) და მათი ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირის, ტელეფონის დადგმის და სააბონენტო გადასახადის (საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრების გარდა), კოლექტიური ანტენის, რადიოქსელით სარგებლობის, დახარჯული ელექტროენერგიის, გაზის, გათბობის, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ცივი და ცხელი წყლის და სხვა კომუნალური მომსახურების ღირებულების 50 პროცენტს, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხებით.

მუხლი 20. წინადადებები, განცხადებები, საჩივრები

1. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე, მეთაურისა და უფროსის სახელზე შეიტანოს წინადადებები, განცხადებები და საჩივრები.

2. სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია მეთაურის (უფროსის) მეშვეობით ან პირადად სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სამხედრო უწყებების თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

3. სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვა და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯარისო წესდებებით გათვალისწინებული წესით. საჩივრის განხილვაზე უარის თქმის ან საჩივრის განხილვის არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს მიმართოს ზემდგომ მეთაურს (უფროსს), პროკურატურას ან სასამართლოს.

4. აკრძალულია სამხედრო მოსამსახურის საჩივრის განხილვის მეჩერება, აგრეთვე, საჩივრისათვის დასჯა ან დევნა.

5. სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საჩივარი შეიტანა, არ თავისუფლდება ბრძანებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. კანონსაწინააღმდეგო ბრძანების შესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ბრძანების გამცემს.

მუხლი 21. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა

1. სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა სამხედრო სამსახურიდან ხდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2. სამხედრო მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვენ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ზღვრული ასაკის მიღწევისას;

ბ) ავადმყოფობის გამო;

გ) რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;

დ) სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის;

ე) სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისათვის;

ვ) ჩადენილი სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;

ზ) პირადი სურვილით, თუ მან, როგორც ოფიცერმა, იმსახურა არანაკლებ 10 წელი;

თ) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;

ი) პირადი განცხადებით, როგორც გამონაკლისი, დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებულ მიზეზთა გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივსაცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევა ან დანიშვნა).

3. სამხედრო სამსახურიდან უსაფუძვლოდ და უკანონოდ დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელმა უნდა აღადგინოს იმავე თანამდებობაზე და იმ ნაწილში, რომელშიც გადიოდა სამსახურს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნამდე, ხოლო უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრებს აღადგენს საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ იძულებით გაცდენილი დრო მათ ჩაეთვლებათ ნამსახურობის წლებში. სამხედრო მოსამსახურეს საკუთარი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

თავი III

სამხედრო მოსამსახურის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის

მუხლი 22. სამხედრო მოსამსახურის ვალდებულება

საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ქვეყნის შიდა და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შეიარაღებული თავდასხმისა და აგრესიის მოგერიება წარმოადგენს მხედრული მოვალეობის არსს, რომელიც სამხედრო მოსამსახურისაგან მოითხოვს:

ა) მტკიცედ დაიცვას სამხედრო ფიცისა და სამხედრო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა;

ბ) აიმაღლოს სამხედრო, ტექნიკური და ზოგადი ცოდნის დონე;

გ) დაეუფლოს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს მინდობილი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა;

დ) გაუფრთხილდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას;

ე) გაუფრთხილდეს თავის სამხედრო წოდებას, პატივსა და ღირსებას;

ვ) მკაცრად დაიცვას მისთვის განდობილი სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლო;

ზ) დაემორჩილოს მეთაურს (უფროსს), ზუსტად და დროულად შეასრულოს მისი ბრძანებები და განკარგულებები.

მუხლი 23. პასუხისმგებლობა სამხედრო მოსამსახურის ხელყოფისა და შეურაცხყოფისათვის.

1. სამხედრო მოსამსახურეს იცავს სახელმწიფო, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება დაცულია კანონით.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, მისი ფიზიკური შეურაცხყოფა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობა, მუქარა ან მისი სიცოცხლის ხელყოფა, აგრეთვე, სხვა მოქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან სამხედრო მოსამსახურეს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 24. სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის

1. სამხედრო მოსამსახურეს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით ეკისრება დისციპლინური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2. გადაცდომისათვის, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო დისციპლინისა და მხედრული ღირსების შელახვასთან, სამხედრო მოსამსახურე პასუხს აგებს საერთო-საჯარისო წესდების საფუძველზე.

3. სამხედრო მეთაურს (უფროსს) უფლება არა აქვს გასცეს ისეთი ბრძანება ან განკარგულება, რომელსაც კავშირი არა აქვს სამხედრო სამსახურთან ან კანონსაწინააღმდეგოა.

თავი IV

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25. გარდამავალი დებულება

ამ კანონის მე-12, მე-17 და მე-19 მუხლები, აგრეთვე მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 1999 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 26. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 25 ივნისი.

რეფორმა

როცა წვრილმანიც მნიშვნელოვანია

წლეულს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ბრძანებით ამავე სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შემადგენლობაში საექსპერტო-კრიმინალისტიკური ბიურო შეიქმნა, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა იუსტიციის სამინისტროში და შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი უკვე წერდა და 5 აპრილის ნომერში ბიუროს დებულებაც გამოქვეყნდა. რამდენადაც ცნობილია ანალოგიური ტიპის ორგანიზაციები შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების შემადგენლობაშიც მოქმედებენ, რამ გამოიწვია კიდევ ერთი ასეთი სამსახურის შექმნა? უფრო კონკრეტულად აღნიშნული ბიუროს საქმიანობის შესახებ საუბარი ვთხოვეთ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს, იუსტიციის პოლკოვნიკს შენგელი შიუხელაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუროს ჩამოყალიბებას საფუძვლად რამდენიმე გარემოება დაედო, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ექსპერტიზის დამნიშნელ პირს უფლება ეძლევა აირჩიოს, როგორც საექსპერტო დაწესებულება, ასევე ექსპერტიზის ჩამტარებელი ფიზიკური პირი, რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და მატერიალური ბაზა ობიექტური ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ამასთან, ექსპერტიზის დამდგენ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს აირჩიოს ექსპერტიზის ჩატარების ალტერნატიული ვარიანტები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო უშიშროების ქვედანაყოფების სპეციალისტები წლების განმავლობაში საექსპერტო საქმიანობას ეწეოდნენ და დრომ მოიტანა მათი ერთი სტრუქტურის ქვეშ გაერთიანება. გარდა ამისა და, ალბათ, ყველაზე მთავარი გარემოება მდგომარეობს თვითონ სახელმწიფო უშიშროების სისტემის სპეციფიკაში, რაც ისეთი საქმეების საექსპერტო უზრუნველყოფას მოითხოვს, რომელიც მხოლოდ სამინისტროს პრეროგატივას განეკუთვნება. ასეთებია: საერთაშორისო ტერორიზმი, კონტრაბანდა, ნარკობიზნესი, ეკონომიკური დივერსიები და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა საერთაშორისო დანაშაულობანი. გათვალისწინებულია ისიც, რომ სამინისტროს მეცნიერ-თანამშრომლებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა ზოგიერთ შემთხვევაში ახალი სახის ექსპერტიზაც ჩამოაყალიბა.

ბიუროს დებულებით გათვალისწინებულია არა მხოლოდ საგნებისა და მოვლენის ექსპერტიზა, არამედ დანაშაულის აღკვეთა-აცილება და პროფილაქტიკა მოკვლევისა და ძიების საწყის ეტაპებზე, საამისოდ ბიუროს უკვე დამუშავებული მეთოდიკა აქვს.

— მოტივაცია საკმაოდ საფუძვლიანია, მაგრამ აქვს კი ბიუროს სხვა ისეთი მყარი საფუძვლები, როგორიცაა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

— ბიურო ცარიელ ადგილზე არ ჩამოყალიბებულა, არამედ მოხდა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებიდან სპეციალისტებისა და ხელსაწყო-დანადგარების მობილიზება. განსაკუთრებით ეს ეხება ოპერატიულ-ტექნიკურ მთავარ სამმართველოსა და სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს. წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვედანაყოფებში დაქსაქსულობის მიუხედავად პრაქტიკოსი ოპერატიული მუშაკები და გამოცდილი მეცნიერ-მუშაკები ატარებდნენ არა მხოლოდ კვალიფიციურ ექსპერტიზებს, არამედ მუშაობის პროცესში ავითარებდნენ და აფართოებდნენ როგორც ექსპერტიზის საგანს, ასევე ხერხებს, რომლებიც მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ამჟამად ბიუროს ძირითად ბაზას წარმოადგენს სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ქიმიური, ელექტრონული, მექანიკური და სხვა ტექნიკური ლაბორატორიები, აღჭურვილი როგორც სერიული წარმოების, ისე თანამშრომლების მიერ შექმნილი და დამონტაჟებული დანადგარებით. მაგალითად, კვალიფიციური ექსპერტიზის ჩასატარებლად ბიუროს თანამშრომლები იყენებენ ისეთ მეთოდებსა და დანადგარებს, როგორიცაა გაზური, გაზურ-თხევადი და თხევადი ქრომატოგრაფია, ატომურ-ადსორბციული სპექტრომეტრია, ფოტოკალორიმეტრია და იონომეტრია, ელექტრონულ-გამზომ, ანალოგურ და ციფრულ აპარატურას, ბალისტიკური ექსპერტიზის სპეციალურ დანადგარებს, სხვადასხვა სპექტრის ანალიზატორებს, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით პიროვნების ვიზუალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების დადგენას, გრაფიკული და დამწერლობითი ნიშნების დისპერსიული ანალიზის მეთოდიკას, მრავალსაფეხურიანი ტესტირების ბატარეებს და სხვა.

ყოველივეს ექსპერტიზის სამსახურში ჩაყენება უზრუნველყო მაღალკვალიფიციურმა და გამოცდილმა მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, რომელთა შორის 4 მეცნიერებათა კანდიდატია, მათ მიერ გამოქვეყნებულია 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, ავტორები არიან 2 პატენტისა და 10-მდე გამოგონების.

მრავალფეროვანია სპეციალობათა სპექტრიც — ქიმიკოს-ანალიტიკოსები, ინჟინერ-ქიმიკოსები, ელექტრო და ელექტრონული ტექნიკის ინჟინრები, მექანიკა, ინფორმატიკა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, არქიტექტურა, ხელოვნება და სხვა.

— სპეციალობათა და სამუშაოთა მიმართულებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მრავალფეროვანი უნდა იყოს ექსპერტიზის სახეობებიც. უფრო დაწვრილებით იქნება იმ ექსპერტიზებზე ვისაუბროთ, რომლის ჩატარებაც ბიუროში ამჟამად არის შესაძლებელი.

— იმ ექსპერტიზების დაწვრილებით ჩამოთვლას, რომელიც ამჟამად ძალუძს ბიუროს, ერთი საგაზეთო სტატია არ ეყოფა, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნას შევეცდები.

აღნიშნული შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. კერძოდ, ქიმიურ-ანალიზური, საიდენტიფიკაციო, ფსიქო-ფიზიოლოგიური და ტექნიკური.

ქიმიურ-ანალიზური ჯგუფი მოიცავს არაორგანულ, ორგანულ, მათ შორის კვების პროდუქტების, ეკოლოგიურ და დოკუმენტურ ექსპერტიზებს.

არაორგანულ ნივთიერებათა ექსპერტიზა აერთიანებს წიაღისეულის, მინერალური ნედლეულისა და მიღებული პროდუქტების, ფერადი, მათ შორის კეთილშობილი, მძიმე მეტალებისა და მომწამლავი ნივთიერებების, შავი ლითონების განსაზღვრას შენადნობებსა და ნაერთებში, არაორგანული, მათ შორის ჭაბურღილებიდან ამოღებული გაზების სისუფთავის დადგენას. ორგანულ ნივთიერებათა ექსპერტიზა განსაზღვრავს ბუნებრივი საწვავი აირების შემადგენლობას, ნედლეული ნავთობის ვარგისიანობასა და გადამუშავების შედეგად მიღებული აირებისა და ბენზინების შემცველობას, ალკალოიდშემცველ ნარკოტიკულ ნივთიერებათა თვისებრივ განსაზღვრას. კვების პროდუქტების ექსპერტიზებიდან აღსანიშნავია რძისა და რძის პროდუქტების, აგრეთვე ცხიმების ცხიმიანობის, მჟავიანობის, მარილების, ცილებისა და სხვა მაჩვენებლების განსაზღვრა. ხორბლის ფქვილის, პურისა და პურპროდუქტების ვარგისიანობის დადგენა სხვადასხვა მაჩვენებლების საფუძველზე; ხორცისა და მისი პროდუქტების ვარგისიანობის დადგენა, კვერცხის ანალიზი. სასმელ და ჩამდინარე წყლებში ნედლეული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე მძიმე ლითონების განსაზღვრა. ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების ექსპერტიზა.

ბიურო ატარებს იდენტიფიცირების ექსპერტიზებს. მაგალითად, დაქტილოსკოპიურ, ტრასოლოგიურ, დოკუმენტურ, აგრეთვე ვიზუალურ ექსპერტიზას კომპიუტერული ფოტორობოტის მეშვეობით, ათვისების სტადიაშია პიროვნების ხმის იდენტიფიკაცია კომპიუტერული მეთოდით.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძვლები ჩამოყალიბდა ფსიქოფიზიოლოგიური ექსპერტიზების ჩატარების მიმართულებით. იდენტიფიკაციის გარდა, ტარდება ჩვენი ქვეყნისათვის ახალი საექსპერტო კვლევები გრაფოლოგიაში, კერძოდ, შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პირისა და ხელნაწერის დამოკიდებულება, ავტორისა და შემსრულებლის ფსიქო-სოციალური პარამეტრების (სქესი, ასაკი, განათლება, პროფესია და სხვა) განსაზღვრა, რაც კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მაჩვენებლებთან და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ერთად, მთლიანობაში იძლევა ხელნაწერის ავტორისა და შემსრულებლის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

ახალ მიმართულებას წარმოადგენს, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მეშვეობით ეჭვმიტანილის ჩვენებების ცალკეული ნაწილებისა და მთლიანობის სანდოობა, ფსიქიკური ფუნქციების ადეკვატურობის დადგენა, პიროვნული მახასიათებლების დადგენა მათი სხვადასხვა დაჯგუფებებში მონაწილეობის განსაზღვრისთვის, არასამართლებრივ ქცევებს და დანაშაულის მსხვერპლად ქცევის ტენდენციას. ადამიანის ორგანიზმში დგინდება ნარკოტიკული ნივთიერებების არსებობა. ეს კი კეთდება, როგორც აქამდე არსებული მეთოდებით, ასევე ე.წ. უსისხლო მეთოდებითაც.

— და ამას ყოველივეს ადამიანის უფლებების შეულახავად მოახერხებთ?

— რა თქმა უნდა, ზემოხსენებული გამოკვლევები ტარდება პიროვნების უფლებების შეულახავად და დაცვით, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ქვეყნის კონსტიტუციით და სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. მნიშვნელოვანია პირობითად წოდებული — ტექნიკური ჯგუფის ექსპერტიზა, რომელშიც შევიდა საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა ანალოგიური ექსპერტიზები.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებებიდან ბიურომ შეიძლება ჩაატაროს რადიოელექტრონულ ხელსაწყოთა, მათ შორის სპეცტექნიკის, ნაკეთობათა და მოწყობილობათა რენტგენოგრაფიული ექსპერტიზა, ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური და ასაფეთქებელ მოწყობილობათა ექსპერტიზა, მათი მართვის პრინციპების დადგენით, დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული ელექტრული კვების წყაროების, მათ შორის ძალოვანი, ხელსაწყოებისა და დანადგარების ექსპერტიზა, დივერსიის, ექსპლუატაციის წესების დარღვევისა და სხვა მიზეზების დადგენის მიზნით — დოზიმეტრული კონტროლი გარემოს, ობიექტების და პროდუქტების რადიაციულ მდგომარეობაზე, შენობა-ნაგებობების ავარიულობის, პროექტირებაში, მშენებლობაში და ექსპლუატაციაში ნორმების დარღვევის და კატასტროფული მიზეზების დადგენა. ჩაეყარა საფუძველი ახალი ტიპის ექსპერტიზას — კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ექსპერტიზას, რაც მდგომარეობს ექსპერტიზისათვის გადაცემულ ტექნიკაში არსებულ მონაცემთა დამუშავებაში, ჩაკარგული და წაშლილი ფაილების, აგრეთვე ტექსტების აღდგენაში.

ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვის, საბანკო ოპერაციების ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისა და სხვა საფინანსო, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის ექსპერტიზის ჩატარება. გარდა ამისა, ტარდება სამრეწველო საქონლის ხარისხის, წუნის, მისი ექსპლუატაციაში ყოფნისას უსაფრთხოების, მარკირებისა და ტრანსპორტირების ექსპერტიზა.

ქვეყნის საექსპერტო ორგანიზაციებისთვის ახალი მიმართულებაა ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტიზა, რომელიც აქტუალური გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში. ამისათვის ბიურო ატარებს ექსპერტიზას ხელოვნების ნიმუშებზე (ხატები, ფერწერა, გრაფიკა და სხვა) მათი ორიგინალობის, სიყალბის ან ფალსიფიცირების დადგენის მიზნით.

— ბატონო შენგელი, რა ექსპერტიზებიც თქვენ ჩამოთვალეთ, რამდენადაც გავიგე, ყველა გაკეთდება თქვენთან, ბიუროს კედლებში, ასე ვთქვათ, გარეთ გასვლა არ დაგჭირდებათ. უფრო ღრმა ექსპერტიზის ჩატარება რომ მოითხოვოს საქმემ, შეძლებთ?

— უფრო ღრმა ექსპერტიზის ჩასატარებლად სხვა სპეციალისტებისა და ორგანიზაციების მოწვევას არ გამოვრიცხავთ. ამიტომ ბიუროს საქმიანობა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-მუშაკებთან და სპეციალისტებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გაღრმავდება თანამშრომლობა ქვეყანაში არსებულ საექსპერტო სამსახურებთან გამოცდილებისა და სიახლეთა გაცვლის მიზნით.

— ისიც ხომ ფაქტია, რომ დღევანდელ ინტელექტუალურად და ტექნიკურად განვითარებული საზოგადოების პირობებში, დამნაშავე სამყარომაც იცვალა თავისი სახე, მოქმედების ფორმებითა და აღჭურვილობის დონის მხრივ? იმის მაგალითიც ხომ ყოფილა, რომ ზოგჯერ იგი უფრო ახლოსაა ტექნიკურ სიახლეებთან თავისი მატერიალური მდგომარეობის გამო, ვიდრე სახელმწიფო სამართალდამცავი სტრუქტურები?

— ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურების მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი. აღნიშნული მიმართულებით დახმარების იმედი, უპირველესად, რა თქმა უნდა, სახელმწიფოდან გვაქვს, ვინაიდან სახელმწიფოა ის, ვისაც ყველაზე მეტად აინტერესებს ქვეყანაში დანაშაულის აღკვეთა და გახსნა. ყოველივე ეს არ გამორიცხავს ბიუროს მიერ პრობლემების საკუთარი ძალებით გადაჭრას, აგრეთვე, დახმარებას სხვა დაინტერესებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც.

— კეთილი, მაგრამ ბიურო თქვენს გარდა შეიძლება სხვასაც მოემსახუროს?

— უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, ქვეყნის სხვა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს, აგრეთვე, ექსპერტიზის ჩატარებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებსაც.

ესაუბრა
**რუსუდან
ლორთქიფანიძე.**

საუკუნეთა მიჯნაზე

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების გზაზე შემდგარი ქვეყანა შესაბამისი ეკონომიკური კანონებით ცხოვრობს. ავიღოთ თუნდაც უმსხვილესი სამრეწველო საწარმოებისა და დარგების რესტრუქტურიზაცია და ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოების დეცენტრალიზაცია, რომელიც თვითმმართველობის სრულყოფის აქტუალური საკითხების გადაწყვეტას ისახავს მიზნად.

მარშან, 1997 წლის 14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა"; აღნიშნული დოკუმენტის წარმატებით რეალიზაციისათვის მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა „საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტი", შეიქმნა მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი და მუნიციპალური განვითარების ფონდი.

უნდა ითქვას, რომ იმ სამ ქალაქთან ერთად (თბილისი, ბათუმი, თელავი) გორის მერიაც აქტიურად ჩაება მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში. იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დონეზე ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების, გარემოს დაცვის, სხვა დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების დაფინანსებას, აქტიურ საინვესტიციო საქმიანობას.

გორის მერია გახდა ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამ დღეებში მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრთან ხელი მოაწერა „მუნიციპალური განვითარების შეთანხმებას".

ქალაქის საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ღირსსახსოვარი მოვლენა აღინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მართვის და რეგიონული პოლიტიკის სამსახურის, მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის, მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრის, სხვა სამსახურებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პასუხისმგებელი მუშაკების გორში ჩამოსვლით.

კონტრაქტის ხელმოწერისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე, რომელიც შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ გახსნა, აღინიშნა გორის მერიის თანმიმდევრული, გააზრებული და ნაყოფიერი საქმიანობა, რომლითაც ხასიათდებოდა ქალაქის მუნიციპალური განვითარების პროგრამის შემუშავება და დახვეწა.

გორის მერმა დავით ქობლიანიძემ და მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორმა პაატა ბოლაშვილმა ხელი მოაწერეს „მუნიციპალური განვითარების შეთანხმებას", რომლის არსსა და მნიშვნელობაზე გორის მერი ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრება.

ვინა თქვა, თითქოს პატარა იყოს...

— საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესმა სულ უფრო მეტი თავისუფლად მანევრირების საშუალება მისცა ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებს, ჩვენს ტერიტორიაზე არსებული რესურსების მიზნობრივად გამოყენების სფეროში.

გორის მერია დაუღალავად ეძებს გზებს, რათა ადგილობრივი ინიციატივის გამოყენებისა და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხელი შეუწყოს პრიორიტეტული დარგების განვითარებას. ამის მიუხედავად მაინც მრავალი პრობლემა დგას მუნიციპალიტეტის წინაშე. მათ შორისაა მოსახლეობის სოციალური მომსახურების დონის ამაღლება, რაც უკავშირდება მუნიციპალური სექტორის რეაბილიტაციის პრობლემას.

საქართველოს მუნიციპალური სექტორის რეაბილიტაციის, მისი შემდგომი განვითარებისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების მომზადების, „საქართველოს მუნიციპალური სექტორის განვითარების სახელმწიფო პროგრამის" განხორციელების, მუნიციპალური საინვესტიციო პროექტების დაფინანსების, საქართველოს სახელმწიფო და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მართვის მიზნით შეიქმნა მუნიციპალური განვითარების ფონდი (აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჯაფარიძე), ხოლო საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურთან — მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი (დირექტორი პაატა ბოლაშვილი).

გორის მერია ორივე სამსახურთან აქტიურად თანამშრომლობდა. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 ივნისის ბრძანებულებამ განსაზღვრა მუნიციპალური სექტორის განვითარებისა და რეფორმაციის ზოგადი მიმართულებანი, რომელიც ითვალისწინებდა ინვესტიციების პროექტების დაფინანსებას მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით. ამისათვის კი საჭირო იყო: მუნიციპალიტეტის აუდიტი, მუნიციპალიტეტის ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის რეაბილიტაციის, პრიორიტეტული ინვესტიციური პროექტების გეგმების და ამ გეგმათა შესასრულებლად საჭირო ტექნიკური დახმარების პროგრამის შემუშავება.

საუდიტორო ფირმა „საქართველოს აუდიტორული კორპორაციის" მიერ მერიაში ჩატარებულმა აუდიტმა, მისმა დადებითმა დასკვნებმა საშუალება მოგვცა უცხოელ ექსპერტებთან ერთად მოგვეხდინა ინვესტიციური გეგმების დასაბუთება, რაც საფუძვლად დაედო მუნიციპალური განვითარების შეთანხმებას საკოორდინაციო ცენტრთან.

გორის მუნიციპალიტეტის მუშა ჯგუფმა შეადგინა ინვესტიციური პროექტების სავარაუდო სიები, მოხდა მათი ფილტრაცია. ამ პროცესს და ინვესტიციური პროექტების რანჟირებას პრიორიტეტულ რიგითობებად საფუძვლად დაედო გორში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად განზოგადებული დასკვნები, პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და გორის მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობები.

შეირჩა 6 პროექტი: გორის წყალსადენის განვითარება და მის ბაზაზე მიკროჰესის აშენება; ქ. გორის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქიდან საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა და ნაგავსაყრელის მოწყობა; ქუჩების, გზების, ხიდების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და მშენებლობა; თბომეურნეობის სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა ელექტროენერგიის წყლისა და გაზის მრიცხველების დაყენებით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიო ბანკის სოციოლოგიური კვლევის სამსახურის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული გორის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები დაემთხვა ამ საკითხში მერიის მუშა ჯგუფის დასკვნებს. ეს ჩვენთვის სასიხარულოა იმდენად, რომ გამოჩნდა მერიის სამსახურების, ახალგაზრდა კადრების დაოსტატებისა და მინდობილი საქმისადმი მათი პრაქტიკული დამოკიდებულების ზრდის ტენდენცია.

თითოეული პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილია 500 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია. აქედან 20 პროცენტი ადგილობრივი თანადაფინანსების წილია, 40 პროცენტი — გრანტი, ხოლო დანარჩენი 40 პროცენტი — შეღავათიანი კრედიტი.

თუ რა სასიკეთო შედეგები შეიძლება მოჰყვეს პრიორიტეტული ინვესტიციური პროექტების განხორციელებას, განვიხილოთ რომელიმე პროექტის მაგალითზე:

სოფელ ვარიანში წყალმომარაგების სათავე-ნაგებობების რეაბილიტაციის შემდეგ, შესაძლებელია ქ. გორის, კერძოდ ფეიქართა დასახლების მოსახლეობის და მინდვრის გზატკეცილზე მდებარე საწარმოთა ზონის უზრუნველყოფა წყლით, რომლის რეალიზაციითაც წელიწადში მივიღებთ დაახლოებით 45 000 ლარს. არსებული გამოუყენებელი 600 მილიმეტრი დიამეტრის მილსადენის ბაზაზე აშენდება დაახლოებით ორმეგავატიანი მიკროჰესი და გამომუშავებული ელექტროენერგიით მიმდებარე სოფლები დაკმაყოფილდება. მისი რეალიზაციით წელიწადში მივიღებთ 80 000 ლარს.

საყურადღებოა ასევე ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს. გორის მუნიციპალიტეტს ამჟამად არ აქვს მერიის სამსახურების საკოორდინაციო ცენტრი, რაც აძნელებს ცალკეული სტრუქტურების მუშაობის კოორდინაციას. მუნიციპალური სექტორის რეფორმირებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტში უკვე დაიწყო მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის წარმატების საწინდარი იქნება მერიაში საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის დაარსება. პროგრამის თანახმად ცენტრი აღიჭურვება თანამედროვე სადისპეტჩერო და კომპიუტერული ტექნიკით.

ყველა ხედავს, რომ საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, მსოფლიოს საუკეთესო ინდუსტრიული და ინტელექტუალური ძალები, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, არ იშურებენ ძალისხმევას მუნიციპალიტეტების წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრისათვის.

ამ დიდ ნდობას და მხარდაჭერას გორის მერია, ქალაქის მთელი მოსახლეობა მადლობისა და მადლიერების გრძნობით აღიქვამს.

ესაუბრა
გურამ ვაშაკიძე.

სურათზე: ხელს აწერენ მუნიციპალური განვითარების შეთანხმებას.

ამირან ადამიშვილის ფოტო.

პოლიცია

ვასილ სორდია დაიბადა 1956 წელს, მარტვილში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის მილიციის სპეციალურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთხანს იქვე მუშაობდა. მერე საქართველოში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებაში უბნის ინსპექტორად. შემდეგ რუსთავის საგზაო პოლიციის უფროსის თანაშემწედ. მუშაობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში, კვლავ რუსთავის საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილედ, 1997 წლის ივნისიდან კი მარნეულის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსია. წოდებით ვიცე-პოლკოვნიკი. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

„საი" ისეთი სამსახურია, თავისი სურვილით აქედან წასული არავინ მინახავს

— ბატონო ვასილ, რამდენადაც ვიცი, ქვეგანყოფილებაში 16 რიგითი მუშაკი და 7 ოფიცერია, ამათ ემატება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 5 თანამშრომელი. ქვეგანყოფილების კვალობაზე, 30 კაცი საკმაოდ ბევრია, თუ არის კადრების ხშირი ცვალებადობა — არაფერს ვამბობ დენადობაზე.

— რა დასამალია და, საგზაო პოლიცია ისეთი სამსახურია, აქედან თავისი სურვილით წასული ჯერ არავინ მინახავს. თუმცა, ამ ბოლო დროს, რაც მარნეულის პოლიციის განყოფილების უფროსად ენერგიული და საქმის მცოდნე კაცი, თენგიზ მიროტაძე მოვიდა, ერთი-ორი თანამშრომელი, რომელიც გადახრებითაა დაავადებული, ორჭოფობს, დაემორჩილოს ახალი ხელმძღვანელობის მკაცრ მოთხოვნებს თუ უმტკივნეულოდ გაეცალოს აქაურობას.

— გამოდის, რომ ადრე, სანამ რაიონის პოლიციას ახალი უფროსი ჩაუდგებოდა სათავეში, „გადახრების" მოყვარული ინსპექტორები თავისუფლად პარპაშებდნენ.

— მოთხოვნა ადრეც იყო, მაგრამ მაკონტროლებელი მექანიზმი არ გახლდათ სრულყოფილი.

— თბილისში გახშირდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები, განსაკუთრებით მიკრო თუ ჩვეულებრივი სამგზავრო ავტობუსების მიზეზით. თქვენთან რა მდგომარეობაა?

— რა დასამალია და გრომების მოსაპოვებლად მძღოლებს, განსაკუთრებით კერძო პირებს ისეთი ავტომანქანები გამოჰყავთ ხაზზე, რომ მათი გადაადგილება ქუჩაშიც კი საშიშია. ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას ვუთმობთ მათ ტექნიკურ გამართულობას. იყო შემთხვევა, როცა ავტომანქანა კი იყო ტექნიკურად გამართული, მაგრამ გაზის ბალონები ჰქონდა სალონში დამონტაჟებული. ამგვარ შემთხვევაში ჩვენ მათ ხაზზე გასვლის უფლებას არ ვაძლევთ.

— რა გზითა და მეთოდებით ხდება ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების, ასე ვთქვათ, დაკავება და ხაზზე მათი არგასვლა?

— პირველ ყოვლისა, ეხსნით სახელმწიფო ნომრებს, მძღოლს ვართმევთ ავტომანქანის ტექნიკურ პასპორტს, მართვის მოწმობას და არ ვუბრუნებთ სანამ არ მოაწესრიგებს ავტოტრანსპორტს. ამ პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგია ის, რომ მიუხედავად გზების უვარგისობისა, რაიონის ტერიტორიაზე საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები სამგზავრო ავტობუსებით არ გვქონია.

— რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის 1996 წლის 30 აპრილის № 215 ბრძანებას, რომელიც ეხებოდა მართვის მოწმობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობებისა და სატრანზიტო, სანომრე ნიშნების დამზადებასა და შეცვლას, მოჰყვა ახალი ბრძანება, სადაც მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამ პროცედურის ვადა გაგრძელებულია მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე. რა მდგომარეობაა ამ მიმართებით თქვენს რაიონში?

— დღეისათვის რაიონში საკუთარ მფლობელობაში 4500-ზე მეტი ავტომანქანაა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეკვიზიტების შეცვლა სამხარეო პოლიციაშია ცენტრალიზებული, რომელიც ქალაქ რუსთავში მდებარეობს. რა დასამალია და დღევანდელი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ვერ ვაიძულებთ მოქალაქეებს დროულად გამოიცვალონ მართვის მოწმობები და სხვა. ამას დაუმატეთ იმ ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ჩვეულებრივ აქვთ საქმის მიწურულში გაკეთება.

ისე, კაცმა რომ თქვას, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ძირითადი მიზეზი გაუმართავი ტრანსპორტია და არა ის, ახალია თუ ძველი მართვის მოწმობა. სწორედ ამ მიმართებით გამახვილებულმა მუშაობამ მოგვცა ის შედეგი, რომ ქვეგანყოფილება ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო რეგიონში, არამედ რესპუბლიკაშიც კი.

ავტომანქანის ბევრ მფლობელს ეძვირება ტექნიკური დათვალიერების გავლა, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი თანხაა გადასახდელი. იმისათვის რომ ავტომანქანა თავის პატრონიანად დიაგნოსტიკურ ცენტრამდე მივიყვანოთ, დიდი მუშაობა გვჭირდება. რა დასამალია და ხანდახან დაშინებაც კი. ისე მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ თანხას, რომელსაც ისინი იხდიან, ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების დროს და, რომელიც ასე ეძვირებათ, არამც და არამც არის მარტო ტექნიკური დათვალიერების თანხა, ასე რომ იყოს, უკან არავინ არ დაიხევს, მისი ფასი ხომ ორი ლარია.

— მაშ დანარჩენი რაღაა?

— უბედურება ის არის, რომ ტექნიკურ დათვალიერებას ვერ ჩაუტარებ, თუ არ წარმოადგინა სახელმწიფო დაზღვევის ქვითარი, რომელიც 20 ლარი ღირს. აგრეთვე, საგზაო ფონდის გადასახადი, რომელიც 18-დან 23 ლარამდე მერყეობს. ამას დაუმატეთ (თუ ესაჭიროება) სანომრე ნიშნების ღირებულება 16 ლარი, სარეგისტრაციო მოწმობის 17 ლარი და 25 თეთრი, ჯამში საკმაოდ დიდი თანხაა. ეს მხოლოდ მსუბუქ მანქანებზე, სატვირთო და სამგზავრო გაცილებით მეტია.

— თქვენს სამსახურს საგზაო პოლიცია ჰქვია, ე.ი. სამსახური გზაში გაქვთ. კანონი გაძლევთ უფლებას მოძრაობის წესების ყველა დამრღვევი დააჯარიმოთ. ამ სახით მიღებული თანხა, ცხადია, შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. ზრუნავთ კი იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს რაც შეიძლება მეტი შემატოთ?

— ეს საკითხი ადრე უფრო ადვილად წყდებოდა. ინსპექტორი დამრღვევ მძღოლს შეუდგენდა ოქმს, გამოუწერდა ჯარიმას, ჩამოართმევდა მართვის მოწმობას და მისცემდა დროებით ტალონს. მძღოლი იძულებული იყო, რაც შეიძლება სწრაფად გადაეხადა ჯარიმა, რათა მართვის მოწმობა მიეღო. ახლა ეს კანონი შეიცვალა. მართვის მოწმობის ჩამორთმევა ადამიანის უფლებების შელახვად მიიჩნიეს. გამოვწერთ ამა თუ იმ დარღვევაზე ჯარიმას, ვაძლევთ დამრღვევ მძღოლს გადასახდელად და ქვითრიანად იკარგება. რა ენაღვლება, მართვის მოწმობა ხომ ჯიბეში უდევს? მართალია, ასეთ ურჩ გადამხდელთა საქმე სახალხო სასამართლოს ეგზავნება, მაგრამ სასამართლოც უძლურია მოძებნოს და მოიყვანოს „დამნაშავე". ხშირად ასეთი კატეგორიის მძღოლების მოძებნა ჩვენვე გვიხდება. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ვინაა დაჯარიმებული — მძღოლი თუ ჩვენი ინსპექტორი? რაც ეს კანონი ამოქმედდა, მხოლოდ ორი კაცი მოვიდა თავისი სურვილით ჯარიმის გადასახდელად. არადა, ასეთი ქვითარი ასეულობით მძღოლს უდევს, ალბათ, ჯიბეში.

— გარდა დირექტიული მითითებებისა, რა დახმარებას გიწევთ რაიგანყოფილება ან სხვა ზემდგომი ორგანო?

— რაიგანყოფილების ახალი უფროსის მოსვლა დაეტყო რაიონს. სწორედ მისი ინიციატივით გადმოგვეცა ორი რაცია, რაც დისლოკაციის გზაზე მდგარი ინსპექტორისათვის იარაღზე უფრო აუცილებელია. სულ მალე გადმოგვეცემენ ორ მსუბუქ ავტომანქანას. მართალია, ერთი ცოტაოდენ შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ ამაზეც დიდი მადლობელი ვართ. რაც შეეხება სხვა ზემდგომებს, რაიონის გამგეობა დღე-დღეზე დაიწყებს საგზაო ნიშნების დაყენება-განახლებას, გზების მონიშვნას. ინტენსიური მოძრაობების ადგილას დაიდგა შუქნიშნები, შეძლებისდაგვარად განათდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები.

— ადრე, როცა საგზაო პოლიციას, ავტოინსპექცია ერქვა, მათი სიავკარგე დარღვევათა გამოვლენების რაოდენობით ფასდებოდა. იგივე ხდება დღესაც, თუ არის შეფასების სხვა კრიტერიუმიც?

— ჩვენი საქმიანობის შეფასება, მართლაც, მოძრაობის წესების დამრღვევთა გამოვლენებით ხდება. ალბათ, იკითხავთ, იქნებ არ არის დამრღვევი? მაგას რა სჯობს, მაგრამ რომ არის? წლეულს 5 თვეში 2140-მდე დარღვევა აღინიშნა, არც ეს რიცხვი შეესაბამება სინამდვილეს. ერთი ამდენი თუ არა, ნახევარი მაინც გამოეპარათ, ან თვალი აარიდეს.

და მაინც, მადლობა ჩემს თანამშრომლებს. მათი დამსახურებაა, რომ წლეულს მხოლოდ სამი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა გვაქვს. ყველა კადრი ადგილობრივია. ყველას შესტკივა გული თავისი რაიონისთვის. მე მჯერა მათი.

ესაუბრა
რუბენ ფერაძე.

თბილისის უნივერსიტეტი

ხუთშაბათი, 16 ივლისი, 1998 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი № 7

კურსდამთავრებულთა დიდი დღე

10 ივლისი ჭეშმარიტად დიდ დღედ დარჩება წლევანდელ კურსდამთავრებულთათვის. მათ უმრავლესობას საზეიმოდ გადაეცა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისა და ბაკალავრის დიპლომები. სააქტო დარბაზში მოვიდნენ უნივერსიტეტის რექტორატის წარმომადგენლები, ფაკულტეტების დეკანები, პროფესორები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, იმ დარგის მინისტრები, რომელთა საწარმოებსა და დაწესებულებებში უნდა განაგრძონ საქმიანობა უნივერსიტეტიდან ცხოვრების საგზურით წასულმა ახალგაზრდებმა.

სტუდენტური ჰიმნის – „გაუდეამუსის“ ჰანგებმა დამსწრეთ ამცნო ამ ამაღლებული ცერემონიალის დაწყება.

კურსდამთავრებულებს შთამბეჭდავი სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, საქართველოს კულტურის მინისტრმა, პროფესორმა ვალერი ასათიანმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გივი ინწკირველმა,

იხ. მე - 8 გვ.

შრომითი სემესტრი

ერის საუნჯის სამკურნალოდ

– ორმოცი წლის წინათ, სწორედ აქედან, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან, გაემურნენ პირველი სტუდენტური შრომითი სემესტრის მონაწილენი სამშენებლო ობიექტებისაკენ. ეს იყო 1958 წელს და მაშინ დაწყებული ტრადიცია ქართველმა სტუდენტებმა 70-იან წლებში განაგრძეს, როცა ისინი საქართველოს ისტორიული და კულტურის ძეგლების აღსადგენად გაემურნენ.

ახალი შინაარსით მკვიდრდება შრომითი სემესტრი დამოუკიდებელ საქართველოში. უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდობის პატრიოტულ თაოსნობას და მისი ხელდასხმით ზაფხულის სტუდენტური შრომითი დღეები ორგანიზებული და მასშტაბური გახდა.

თქვენ დღეს შესანიშნავი თაოსნობის გამგრძელებლები ბრძანდებით, გულითადად გილოცავთ

იხ. მე - 8 გვ.

აბიტურიენტი—98

უნივერსიტეტში მოვლენ საუკეთესოთა შორის ღირსეულნი

როინ მეტრეველი,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოთხმოცდამეორედ უღებს კარს მომავალ პირველკურსელებს.

18 ფაკულტეტის ქართული სექტორის 87 და რუსული სექტორის 14 სპეციალობაზე წელს 1600-ზე მეტ სტუდენტს მივიღებთ, მათგან 600-მდე ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ჩაირიცხება.

შემოტანილი განცხადებების სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ერთ ადგილზე საშუალოდ სამი აბიტურიენტი ცდის ბედს.

ტრადიციულად დიდია კონკურსი ისტორიის, იურიდიულ, ფილოლოგიის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტებზე.

ასევეა საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური ფაკულტეტების რიგ სპეციალობებზე. განსაკუთრებით ბევრი მსურველია მედიცინის, ბიოსამედიცინო ეკოლოგიის, გენეტიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, ფინანსებისა და საბანკო საქმის დარგებზე.

ასეთი კონკურსი განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია უნივერსიტეტის მაღალი სასწავლო და სამეცნიერო პოტენციალი, შესაბამისად სწავლების გამორჩეული დონე და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების შესაძლებლობა. ამით აიხსნება ეროვნული განათლების უპირველესი კერისადმი ჩვენი ახალგაზრდობის ტრადიციული ყურადღება და აქ განათლების დაუფლების სურვილი.

საქართველოს დღევანდელი სოციალური და ეკონომიკური ვითარება, საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობების გაფართოება კადრების მომზადებისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს. უნივერსიტეტი მხარს უბამს ამ მოთხოვნებს. უკანასკნელ წლებში ჩვენთან ბევრი, ქვეყნისათვის საჭირო სპეციალობა გაიხსნა: საერთაშორისო

იხ. მე - 6 გვ.

მისალები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეების წერილებს გაეცნობით მე-6–7 გვერდებზე.

კონტაქტები

უმასპინძლეს პროფესორ დიმიტრი საიმსს

14 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, ნიქსონის ცენტრის პრეზიდენტი, პროფესორი დიმიტრი საიმსი.

რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა სტუმარს გააცნო უნივერსიტეტის წარსული, დღევანდელი ვითარება, ვრცლად შეჩერდა იმ საერთაშორისო კონტაქტებზე, ქვეყნის უპირველეს სასწავლებელს რომ აქვს დამყარებული საზღვარგარეთის განათლების და მეცნიერების მნიშვნელოვან ცენტრებთან.

თავის მხრივ პროფესორმა დიმიტრი საიმსმა ისაუბრა ნიქსონის ცენტრის საქმიანობასა და დანიშნულებაზე. მის კავშირ-ურთიერთობებზე მსოფლიოს მასშტაბით.

დიალოგში გამოიკვეთა აზრი, რომ სასურველია თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ითანამშრომლონ ნიქსონის ცენტრის შესაბამის პროგრამებში.

ამერიკელმა სტუმარმა ინახულა საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლის საბჭო, რომელიც აშშ-ის ძალისხმევით დამკვიდრდა ქართულ უნივერსიტეტში, დაათვალიერა რუსთაველის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის კაბინეტები, გეოლოგიური მუზეუმი, უნივერსიტეტის ეკლესია.

სურათზე: პროფესორი დიმიტრი საიმსი (ცენტრში) საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭოში.

საქართველოს რესპუბლიკა
№178. კვირა. 27 ივლისი. 1997 წელი.

კონტროლზე!

სამწუხაროდ, ისტორია მეორდება...

პრეზიდენტის რეზოლუციები არის, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის

„სრ" დოსიედან:

გასული წლის 7 სექტემბერს ჩვენს გაზეთში სათაურით „ნუ მაჩუქებ თევზს, დაჭერა მასწავლე" გამოქვეყნდა ჟურნალისტ ნარგიზა მგელაძის ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ინოვაციურ ტექნოლოგიათა ლაბორატორიის ხელმძღვანელთან, საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის აკადემიკოს თენგიზ ცინცაძესთან, რომელიც მრავალმხრივ იყო საყურადღებო. ინტერვიუში აღნიშნული იყო, რომ მთავრობა სათანადოდ ვერ იყენებს ქვეყნის მეცნიერულ პოტენციალს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, სასურსათო სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ქართული ჯარის სურსათით უზრუნველყოფის ოპტიმალური მოდელის შესაქმნელად ნათქვამი იყო ადამიანის კვებაში ცილების დეფიციტის დაძლევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მიმართულების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობაზე.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი სამსახური შესთავაზა საქართველოს მთავრობას. როგორი ბედი ეწია ამ ინიციატივას? ამის გასარკვევად ჟურნალისტი კვლავ ეწვია ბატონ თენგიზ ცინცაძეს.

– რა უჭირს ყველაზე მეტად ჩვენს მოსახლეობას? არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი მწირ და ერთფეროვან საკვებს იღებს. ცუდი კვება იწვევს სასიცოცხლო ფუნქციათა დათრგუნვას, დაავადებებისადმი წინააღმდეგობების დაცემას, პიროვნების ფიზიკურ და გონებრივ დეგრადაციას. ეს განსაკუთრებით მავნეა მოზარდი თაობისათვის. არასრულფასოვანი კვება უარყოფითად მოქმედებს სწავლის პროცესზე. არავის ეგონოს, რომ გონებრივი შრომა, ადამიანის ტვინის მუშაობა ნაკლებ საკვებს მოითხოვს, პირიქით, ამ პროცესის ნორმალური წარმართვისათვის ცილებისა და ვიტამინების გაცილებით მეტი რაოდენობაა საჭირო. აღნიშნული მიზეზის გამო მოიმატა ისეთმა სოციალურმა დაავადებებმა, როგორიცაა ტუბერკულოზი, სისხლნაკლებობა, სხვადასხვა ინფექციები...

სიმბოლური ხელფასების და პენსიების მქონე მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ერთობ დაბალია, მაშინ, როცა სურსათზე ფასები არაფრით ჩამორჩება საერთაშორისო ფასებს, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ბაზარზე კვების პროდუქტების უმეტესობა ან ფალსიფიცირებულია, ან გაჯერებულია ქიმიური კონსერვატებით, სტაბილიზატორებით და ემულგატორებით. ახლახან უნივერსიტეტში ჩავატარეთ ყოველნაირი სასმელების და კვების სხვა პროდუქტების ექსპერტიზა, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი 90 პროცენტი უხარისხო, არასტანდარტული და ფალსიფიცირებული იყო.

ასეთ სიტუაციაში ბაზარზე უნდა გამოჩნდნენ სახელმწიფო საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებმაც აქ იაფი და უსაფრთხო სურსათი უნდა შემოიტანონ. სახელმწიფო უნდა იყოს ბაზრის აქტიური მონაწილე – პროდუქციის მწარმოებელიც, შემომტანიც და გამსაღებელიც. საჭიროა ქართველი გლეხის ფინანსური ხელშეწყობა, ადგილობრივი მეწარმის დაცვა, რათა მათ სასარგებლოდ მოხდეს მოგების გადანაწილება. საქმე ისაა, რომ მსოფლიო პრაქტიკისაგან განსხვავებით ჩვენში ლომის წილ მოგებას პროდუქციის მწარმოებელი კი არა, ვაჭარი, ანუ, აწ დაწუნებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, სპეკულიანტი იღებს.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სასურსათო სიტუაცია, დავძლიოთ ადამიანების კვებაში ცილების დეფიციტი, შეღავათი მივცეთ ხალხს – მოვამარაგოთ იგი იაფი და სრულფასოვანი სურსათით, საჭიროა სახელმწიფოსა და მეცნიერთა თანამშრომლობა, შედეგად შესაძლებელია ყოველმხრივ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ორგანიზება, ურომლისოდაც საქართველოს მომავალი არ უწერია. პრივატიზაციამ იმის მტკიცება, რომ ყველა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას საბაზრო ურთიერთობანი მოაწესრიგებს. გაურკვევლობის ატმოსფეროში მხოლოდ მაფია და კრიმინალური ელემენტები, სტიქიური საზოგადოებრივი პროცესების დროს მღვრიე წყალში იჭერენ ოქროს თევზებს.

— არის თუ არა შესაძლებელი იაფი და ბიოლოგიურად სრულფასოვანი და უსაფრთხო ცილოვანი სურსათის წარმოება, რომელიც, ერთის მხრივ, სავსებით ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სახის სურსათი აღმოფხვრის ადამიანის კვებაში არსებული ცილების მწვავე დეფიციტს?

– ამ პრობლემის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია, თუ საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდება ზემოაღნიშნულით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღმოუჩენს საჭირო დახმარებას, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თავის კედლებში რეალიზაცია გაუკეთოს თავისსავე ინოვაციურ ტექნოლოგიებს ახალი სახის მნიშვნელოვნად იაფი და მაღალხარისხოვანი ცილოვანი კვების პროდუქტების საწარმოებლად. უნდა ითქვას, რომ ეს სიახლე ეფუძნება ერთობ დაბალი ეფექტიანობის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსტადიური (მემცენარეობა-მეცხოველეობა-კვების პროდუქტი) ციკლის უფრო მარტივ და მოკლე ორსტადიურ (მემცენარეობა-კვების პროდუქტი) ციკლად შეცვლის შესაძლებლობას, სადაც გამოტოვებულია მეცხოველეობა. ამ სქემის განხორციელებისას ხდება მემცენარეობის პროდუქციის (სოია და სხვა) პირდაპირი ტრანსფორმაცია ხორცისა და რძის პროდუქტების ანალოგებად, სადაც გამორიცხულია რაიმე დანაკარგები, მაშინ, როდესაც ტრადიციული ტექნოლოგიის დროს, იკარგება ნედლეულში მყოფი ცილების 70-90 პროცენტი. ადვილი წარმოსადგენია ფინანსების და დროის რა უზარმაზარ ეკონომიასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამით აიხსნება, რომ ახალი ტექნოლოგიის განხორციელება საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ცილოვანი სურსათი, რომლის რეალიზაცია შესაძლებელია 2 – 5-ჯერ უფრო დაბალ ფასებში. ამ ინიციატივის მხარდაჭერა ხალხზე ზრუნვის საუკეთესო გამოხატულება იქნება.

— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ მეცნიერთა მიღწევების ხორცშესხმა თავად მეცნიერებმა უნდა განახორციელონ? განვითარებულ ქვეყნებში თუ გვხვდება ამის ანალოგები?

– საწყის ეტაპზე ეს იქნებოდა მეცნიერულ სიახლეთა რეალიზაციის იდეალური ვარიანტი. ამიტომაც, ასე თუ ისე სოლიდურ მეცნიერულ ორგანიზაციებს, როგორც წესი, აქვთ საცდელი საწარმოები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსია ჰქონდეს ასეთი ექსპერიმენტული საწარმო, რომელიც მრავალმხრივ სასარგებლო ფუნქციას შეასრულებს. აქ შესაძლებელია და აუცილებელიც, მოეწყოს ადგილობრივი ნედლეულის უნარჩენო გადამუშავებისა და ახალი სახის კვების პროდუქტის საჩვენებელ-სამაგალითო წარმოება, სადაც განხორციელდება სუპერთანამედროვე ტექნოლოგიები და ჩვენი ნოუ-ჰაუ. აქედან მოხდება შემდგომში ამ ტექნოლოგიების ფართო ტირაჟირება ქვეყნის მასშტაბით. აქ იმუშავებენ და პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობების სტუდენტები. ამით შესაძლებელი გახდება უმაღლესი სკოლის მეცნიერების თვითდაფინანსება. მრავალი წლის წინათ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერულ მუშაობას ვეწეოდი, ყველგან, სადაც მომიხდა ყოფნა უნივერსიტეტებში, კვების ფაკულტეტებთან მუშაობდნენ მცირე სიმძლავრის საწარმოები – ხორცის გადამამუშავებელი, საკონსერვო ქარხანა, საკონდიტრო, ნაყინის და რძის პროდუქტების წარმოება და ა.შ. მსოფლიოში განთქმული მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (სადაც შეიქმნა ამერიკული წყალბადის ბომბი) გარშემო განლაგებულია მთელი რიგი საწარმოები, სადაც უმაღლესი სკოლის მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მსოფლიოში ცნობილ პროდუქციას უშვებენ.

— იდეა, იცოცხლეთ, მშვენიერია, მაგრამ როგორ გაქვთ წარმოდგენილი ყოველივე ამის რეალიზაცია, იგი ხომ მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, რომელთა გაღება სახელმწიფოს არ შეუძლია?

– ჩვენ ამ სახსრებს სახელმწიფოს არ ვთხოვთ, ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, რათა ამ პროექტის რეალიზაცია მდიდარი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების და განვითარების ფონდების შემწეობით მოხდეს. მსოფლიოში ამგვარი პრაქტიკა დიდი ხანია არსებობს და კარგ შედეგებსაც იძლევა.

ამჟამად, მსოფლიოს ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ შვიდ ქვეყანას ნებაყოფლობით აღებული აქვს ვალდებულება, რათა დსთ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, გაუწიონ უსასყიდლო ფინანსური დახმარება, ამას წინათ უკვე იყო ასეთი პრეცედენტი: იაპონიის ელჩმა ტაპირო ტოგიმ საქართველოს პრეზიდენტს ამ დახმარების ხაზით, ორი მრავალმილიონიანი გრანტი გადასცა.

საქართველოს მთავრობის სათანადო ინიციატივის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ გაერთიანებული ერების სასურსათო ორგანიზაციამ (FAO), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმაც გაგვიწიონ დახმარება სურსათის წარმოების სფეროში ინოვაციურ ტექნოლოგიათა სარეალიზაციოდ. თუ ჩვენი პრეზიდენტი დაეხმარება საქართველოს უმაღლესი სკოლის ფლაგმანს, მწამს, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ოცნებას ფრთები შეესხმება. ბატონ ედუარდს, რომ ყველა ქვეყანაში პატივს სცემენ, ამაში საკუთრივ მეც დავრწმუნდი, როცა ამას წინათ ეგვიპტეში მომიხდა ყოფნა, სადაც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბატონმა იუსეფ ვალიმ აუდიენცია მომიწყო. მან დიდი სიმპათიები გამოხატა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, როგორც მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეზე, როგორც არაბული სამყაროს დიდ მეგობარზე.

მე მწამს, რომ ჩვენი იდეის ხორცშესხმაში გადამწყვეტ როლს ჩვენი პრეზიდენტის მაღალი საერთაშორისო იმიჯი და პირადი ავტორიტეტი ითამაშებს.

უნივერსიტეტის ამ წინადადების რეალიზაცია იმითაცაა საგულისხმო, რომ როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, სწორედ მეცნიერული პროგრესის და ახალ ტექნოლოგიათა რეალიზაციის შედეგად ერთ დროს ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ჭეშმარიტ პროგრესს და ეკონომიკურ სასწაულსაც კი მიაღწიეს. იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის და ბოლოს ჩინეთის მაგალითები ამის ნათელი დასტურია. ამიტომაც, როცა საქმე ფინანსების ოპტიმალურ გამოყენებაზე მიდგება, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიათა რეალიზაცია და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება ის სფეროა, რომლისკენაც, პირველ რიგში, უნდა იყოს მიმართული გრანტები, ინვესტიციები თუ კრედიტები.

საქართველომ მას შემდეგ, რაც იგი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რადიკალურად უნდა შეცვალოს მეცნიერების განვითარების ორიენტირები, გამოკვეთოს საკუთარი პრიორიტეტები, რომლებიც ხალხის და ქვეყნის უტილიტარული ინტერესებიდან გამომდინარეობს, ის, რაც ჩვენ ეკონომიკას და წარმოებას სჭირდება.

— ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს შარშანდელ საუბარს, რომელიც ძირითადად ამავე საკითხებს — ქვეყნისა და ჯარის დაპურებას ეხებოდა. რა რეზონანსი ჰქონდა ამ ინტერვიუს? მითხრეს, ამ პრობლემამ საქართველოს პრეზიდენტის ყურადღება მიიპყრო. თუ ეს მართალია, რა შედეგი მოჰყვა ჩვენს მცდელობას?

– დიახ, პრეზიდენტის რეაგირება ელვისებური, საქმიანი და სრულიად კონკრეტული იყო, რომელიც 1996 წლის 9 სექტემბრით თარიღდება: „შეისწავლეთ, განვიხილავთ მთავრობის სხდომაზე. ვადა – 10 დღე. ჩართეთ აპარატი". მიუხედავად იმისა, რომ ეს რეზოლუცია კონტროლზე იყო აყვანილი, აპარატმა ეს საკითხი დიდხანს აცოდვილა, პრეზიდენტის დავალება არ შესრულდა, საკითხი მთავრობის სხდომაზე არ განუხილავთ. სამწუხაროდ, ისტორია მეორდება, რომელიც უკვე საშიში კანონზომიერების ტენდენციას იღებს. საქმე ის არის, რომ 1993 წლიდან მოყოლებული ერთ და იმავე საკითხზე ჩვენ ბატონ ედუარდ შევარდნაძის სამი რეზოლუცია დაგვიგროვდა, რომელთაგან საქმის და უნივერსიტეტის სასიკეთოდ არც ერთი არ შესრულებულა. ჩვენი სურვილი – სწორ ლიანდაგზე დამდგარიყო საქართველოში კვების მრეწველობის სრულიად ახალი დარგის – ხორცის და რძის პროდუქტების ანალოგების წარმოების დაფუძნება და მეცნიერულ საფუძველზე მისი განვითარება, ქვიშაზე დასხმული წყლის მსგავსად ყოველთვის უკვალოდ უჩინარდება. ერთადერთი, რაც უშიშროების საბჭოს მეცადინეობით შესრულდა, ესაა თავდაცვის სამინისტროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რაც თავისთავად დიდი საქმის დასაწყისია.

სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტრო თავის ფინანსურ ვალდებულებებს დიდი დაგვიანებით ასრულებს, რაც საქმეს ძალიან ვნებს.

— მიჭირს დაჯერება. პრეზიდენტის სამი უაღრესად საქმიანი რეზოლუცია და უშედეგოდ? კი მაგრამ, ვინ აკეთებს ამას და რატომ? კონკრეტულად რას ითვალისწინებს უნივერსიტეტის წინადადებები ქართული ჯარის მშენებლობასთან დაკავშირებით?

– მე მეცნიერი კაცი ვარ და მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ.

თავდაცვის სამინისტროს შევთავაზეთ ჩვენი სამსახური არმიის სურსათით უზრუნველყოფის კონცეფციის შემუშავების, მისი კვების სტრუქტურის და ხარისხის გაუმჯობესების, მისი გაიაფების, აგრეთვე პირადი შემადგენლობისათვის მაღალეფექტური ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით მომარაგების მიმართულებით.

ჯარის სათანადოდ აღჭურვა, მისი მომსახურება, პირადი შემადგენლობის ჩაცმა-დახურვა, ნორმალურად გამოკვება დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. პრობლემას ამძიმებს სუბიექტური ფაქტორიც: ელცინის არ იყოს, ჩვენს ჯარშიც იგივე რომ არ მოხდეს – ჯარისკაცი დასუსტდეს, გენერალი კი გასუქდეს. ის მცირე თანხა (2 ლარი დღეში), რაც სახელმწიფომ კვებაზე გამოყო, ჯარისკაცამდე სრულად უნდა მივიდეს. ჩვენთან ხშირია შემთხვევები, როცა გაქნილი საქმოსნები ატყუებენ კვების პროდუქტების ხარისხის შეცნობაში გამოუცდელ სამხედრო ინტენდანტებს, რის შედეგად სახელმწიფო ზარალდება. მდგომარეობის გამოსასწორებლად სურსათით მომარაგების და პირადი შემადგენლობის კვების დარგში საჭიროა შეიქმნას მთავარი ინსპექტორის პოსტი, რომელიც სამოქალაქო პირმა- მეცნიერმა და სპეციალისტმა უნდა დაიკავოს. იგი ღრმად უნდა ერკვეოდეს ჯარისკაცის კვების პრობლემატიკაში და ჰქონდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ჯარის შესანახი და მისი მშენებლობისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის და არმიაში კორუფციის შემთხვევათა გამოვლინების, მათი აღკვეთის მიზნით, მიზანშეწონილია უმაღლესი მთავარსარდლის დაქვემდებარებაში შეიქმნას ახალი საკონტროლო ორგანო – სახელმწიფო სამხედრო ინსპექცია, რომელიც პრეზიდენტის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. ამ ფორმით ასეთი სამსახურის ფუნქციონირების ეფექტიანობა გაცილებით უფრო მაღალი იქნება.

— მართალია, სიტყვაც საქმეა და ჩვენც ხომ ამდენს ქვეყნის გულშემატკივრობა გვალაპარაკებს, მაგრამ მაინც საქმით, როგორ გესახებათ, რით ეშველება ჩვენს საუბარში წამოჭრილ პრობლემებს?

– ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ მეცნიერული პოტენციალის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ მიმართებით არაფერს ვაკეთებთ და ბზარი სიტყვასა და საქმეს შორის კატასტროფულად იზრდება. აუცილებლად მიმაჩნია გასაქანი მიეცეს მეცნიერთა ინიციატივას, რათა ამოქმედდეს მათ წიაღში არსებული დღეისათვის გამოუყენებელი ინტელექტუალური კაპიტალი. მეცნიერება საწარმოო ძალაა და მისი ინფანტილურ მდგომარეობაში დატოვება, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური და ეკონომიკური სიბეცეა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინტელიგენცია მატერიალურ სიდუხჭირეში არის, ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ერჩის გული. მე მწამს, რომ ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე როგორმე მოიცლის აქ დასმული პრობლემების ბოლომდე გადაწყვეტისათვის. იქნებ ჩვენ ვცდებით, სინამდვილეში კი არა შეგვიძლია რა? ეს ხომ „ბურთმა და მოედანმა", ანუ მოქმედების ასპარეზის მოცემამ უნდა გადაწყვიტოს?

— იმ ხალხის ადგილზე რომ ვიყო, ვისაც ამ ინტერვიუში დასმული პრობლემების გადაწყვეტა ევალება მეც ასე მოვიქცეოდი: თქვენნაირ, თუნდაც ხალხის კეთილდღეობისათვის ესოდენ „მოძალადე" კაცს ან ბოლომდე ჩავყვებოდი და ვნახავდი „რა ძალა შესწევს ქადილისა" ანდა ტყუილი ქადილისათვის დავსჯიდი და მეც მოვისვენებდი და სხვაც.

ესაუბრა
ნარგიზა მგელაძე

GCF

ლაზიერი

№10

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფედერაციაში

კიდევ ორი საერთაშორისო ოსტატი!

ფიდეს სამდივნომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას აცნობა, რომ საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭათ ქუთაისელ სოფიკო ტყეშელაშვილს და თბილისელ დავით ლობჟანიძეს. განხილვის სტადიაშია გიორგი ყაჭეიშვილისთვის საერთაშორისო დიდოსტატის, ხოლო რუსუდან გოლეთიანისთვის საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭების საკითხი.

სოფიკო ტყეშელაშვილმა წლეულს დაამთავრა ქუთაისის სპორტული ლიცეუმი. ამჟამად საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აბიტურიენტი, საქართველოს ქალთა წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორია. უკვე რამდენიმე წელია, რაც მას გიორგი მენაბდე ამეცადინებს.

დავით ლობჟანიძე 28 წლისაა, ექიმი. საქართველოს ვაჟთა შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. შარშან წლის ბოლოს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩატარებულ ტურნირებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მისმა 1 იანვრის რეიტინგმა – 2375 ფანტასტიკური პროგრესი განიცადა. მას 140 პუნქტი მოემატა. 1 ივლისის ოფიციალური მონაცემების მიხედვით დავით ლობჟანიძის რეიტინგი – 2515-ია.

სოფიკო ტყეშელაშვილი

დავით ლობჟანიძე

პრეტენდენტები კასანდრას სამშობლოში?

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირის მასპინძელი ქვეყნის ძიება უკვე მეორე წელია შედეგს არ იძლევა. ფიდე-ს სამდივნოდან გვაცნობეს, რომ ამ ტურნირით ვენესუელელები დაინტერესდნენ.

2-10 სექტემბერს კიშინიოვში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება. თუ ვენესუელა ოფიციალურად არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას, მაშინ ფიდე იძულებული გახდება, პრეტენდენტთა ტურნირი თავისი ხარჯებით ჩაატაროს.

ედუარდ გუფელდის ოლიმპიური მიზნები

ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ დიდოსტატი ედუარდ გუფელდი უკვე რამდენიმე წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ამის მიუხედავად ის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრად რჩება. გუფელდი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირებში, წერს წიგნებს.

ახლახან გუფელდმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს შეატყობინა, რომ სურვილი აქვს თავისი ძალები მოსინჯოს საქართველოს ვაჟთა 1998 წლის ჩემპიონატში. მისი მიზანია საქართველოს ვაჟთა ოლიმპიური გუნდის საგზურის მოპოვება.

ვულოცავთ!

სამოცდაათი წელი შეუსრულდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის დოცენტს **ზურაბ ჩაჩუას**. იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ცნობილ ბათუმელ მოჭადრაკეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **გურამ ჭანტურიას** ეროვნული ოსტატის წოდება მიანიჭა.

ფიდეს რეიტინგ-ლისტი

ჩვენი სამეული – დიდ ასეულში

ფიდე წელიწადში ორჯერ აქვეყნებს მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტს, რომელშიც ითვალისწინებს მსოფლიოში გამართული მრავალი ტურნირის შედეგებს. დღეისათვის ასეთი რეიტინგი რამდენიმე ათას მოჭადრაკეს ეთვლება.

ფიდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 100 საუკეთესო ვაჟის და 50 საუკეთესო ქალი მოჭადრაკის სიას.

თუ ქალთა რეტინგ-ლისტში ქართველი მოჭადრაკეები ყოველთვის სოლიდურად იყვნენ წარმოდგენილი, სხვა მდგომარეობაა ვაჟთა ჭადრაკში. პირველ ასეულში დღემდე საქართველოს ორი მოჭადრაკე ვაჟი იყო – ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე. სასიხარულოა, რომ მათ რიგებს შეემატა ზურაბ სტურუა.

„ლაზიერის“ ამ ნომერში მკითხველთა თხოვნით გთავაზობთ მსოფლიოს უძლიერესი ვაჟი და ქალი მოჭადრაკეების სიას.

საგრძნობლად აიმაღლა თავისი რეიტინგი გიორგი ყაჭეიშვილმა. მისი რეიტინგი – 2550 საფუძველს იძლევა, ასეულში მალე მეოთხე ქართველი მოჭადრაკეც ვიხილოთ. გენადი ზაიჩიკის რეიტინგია – 2540, ელიზბარ უბილავასი – 2520, თამაზ გიორგაძის – 2515, დავით ლობჟანიძის – 2515.

50 საუკეთესო ქალს შორის ექვსი ქართველი მოჭადრაკეა. იმედია, წლის ბოლოს მათ რიგებს შეუერთდებიან მაია ლომინეიშვილი – 2350 და ნატო ეძგვერაძე – 2340.

სურათზე: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე და ზურაბ სტურუა.

(იხილეთ მე-8 გვ.)

ინფორმაცია

ზურაბ აზმაიფარაშვილი — მეორე ადგილზე

სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში დამთავრდა მე-15 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. მასში 6 დიდოსტატი ორ წრედ ასპარეზობდა. დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილის მეტოქეები იყვნენ ალექსანდრე ბელიავსკი და გეორგ მორი (ორივე სლოვენია), ალექსანდრე ჩერნინი (უნგრეთი), ქდენკო კოჟული (ხორვატია) და ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი). 6,5 ქულით პირველი ადგილი ზვიაგინცევმა დაიკავა. 5,5 ქულით ზურაბ აზმაიფარაშვილმა მეორე შედეგი აჩვენა. ამდენივე ქულით მესამე ადგილზეა კოჟული.

არჩილ წერეთელმა ყველა პარტია მოიგო

გუშინწინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა სენიორთა შორის. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად გაიმართა. ყოველგვარი კონკურენციის გარეშე იასპარეზა ცნობილმა თბილისელმა მწვრთნელმა არჩილ წერეთელმა. მან შვიდივე პარტია მოიგო. II-V ადგილები – 4,5-4,5 ქულით გაიყვეს გიორგი ელიოსიძემ, რევაზ სიგუამ, ნოდარ აღდგომელაშვილმა და ნოდარ გოგაძემ. კოეფიციენტების სისტემამ ისინი ამ თანმიმდევრობით გაანაწილა სატურნირო ცხრილში. შეჯიბრება დაამშვენა საერთაშორისო ოსტატ ალა ჩაიკოვსკაიას მონაწილეობამ.

თამარ მეშვილდიშვილი.

სამი ტურით ადრე

პოლონეთის ქალაქ ჟაგანში დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. საქართველოდან ტურნირში ასპარეზობენ ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, დიანა დარჩია და გიორგი ყაჭეიშვილი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 13 ტურად ტარდება. გოგონათა ტურნირში 9 ტურის შემდეგ 7 ქულით მაია ლომინეიშვილთან ერთად დაწინაურდნენ პოლონელი იოანა დვორაკოვსკა და ერევნელი დიდოსტატი ელინა დანიელიანი. მეათე ტურში, სამწუხაროდ, მაია დამარცხდა. ამ ტურში დიანა დარჩიამ გამარჯვებას მიაღწია და ახლა მას 6 ქულა აქვს.

მეათე ტურის პარტია გიორგი ყაჭეიშვილმაც მოიგო და 6,5 ქულით ლიდერთა ჯგუფს შეუერთდა.

დარჩენილ სამ ტურში წარმატებით თამაშის შემთხვევაში ჩვენი მოჭადრაკეები მედლების მოპოვების შანსს ინარჩუნებენ.

ანონსი

ცხელი აგვისტო

მომავალ თვეში ჭადრაკის ქართველ გულშემატკივართა ყურადღება არგენტინის და ესტონეთისკენ იქნება მიპყრობილი.

არგენტინაში 5 აგვისტოს სტარტს აიღებს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი 26 წლამდე მოჭადრაკეთა შორის. ჩვენი ნაკრები წინა ჩემპიონატის გამარჯვებულია და ამჯერადაც წარმატების იმედი გვაქვს.

9 აგვისტოს კი ტალინში 10, 12, 14, 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. ჩვენი ახალგაზრდები თავის გამოჩენის შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ და, იმედია, ისინი შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

ზაფხულის ბოლო თვე საერთაშორისო ტურნირების სიუხვითაც გამოირჩევა. თითქმის ყველა ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი სხვადასხვა ევროპულ ტურნირში იასპარეზებს.

კურსდამთავრებულთა დიდი დღე

(მეხუთე გვერდიდან)

ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარემ, უნივერსიტეტის წლევანდელმა ბაკალავრიატდამთავრებულმა გიორგი შარაშიძემ.

კურსდამთავრებულთ საზეიმოდ გადაეცათ დიპლომები და სუვენირები.

მათგან რჩეულნი, წარჩინების დიპლომმიღებულნი, შემოდგომაზე მაგისტრატურასა ან ასპირანტურაში გააგრძელებენ სწავლას.

ზეიმი გააკეთილშობილა ანსამბლ ქართული ხმებისა და უნივერსიტეტის ვაჟთა ანსამბლის – „ახალი თაობის“ გამოსვლამ.

პირველად შესრულდა მამუკა და ჯანსუღ ჩარკვიანების დიდებული სიმღერა – „ჰიმნი თავისუფლებას“.

სურათებზე: კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი; დიპლომს გადასცემს რექტორი; მათი ავტოგრაფები უნივერსიტეტის ისტორიისათვის რჩება.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.



გახსენება

დადგა ცხელი ზაფხული და იწყება მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება.

ამ დღეებმა ხსოვნაში ამოატივტივა უნივერსიტეტისათვის თავშეწირული ერთი კაცის ნათელი სახე. რა სიმშვიდით და თავდაჭერით განაგებდა იგი გამოცდებს, სწორედ მაშინ ჩანდა ხოლმე მისი პიროვნება სააშკარაოდ, ათასი მზერის ფოკუსში რომ იდგა.

სხვა დროს კი უხმაუროდ მიჰქონდა თავისი დიდი ტვირთი, პირველად ილია ვეკუამ რომ ანდო და 18 წელი უდრტვინველად ზიდა.

გურამ ჭილაშვილია ამ კაცის სახელი.

ქვემოთ ვბეჭდავთ ორ წერილს უნივერსიტეტის პრორექტორის ხსოვნისადმი მიძღვნილ მცირე კრებულში რომ გამოქვეყნდა ამას წინათ.

გივი შეყილაძე.

ალიარება

წერილი ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მარიამ ლორთქიფანიძის ბიოგრაფია შეტანილია „ათასწლეულის ცნობილ ადამიანთა კრებულში“

ძვირფასო მარიამ დავითის ასულო,

უდიდესი სიამოვნება მომანიჭა თქვენი გამორჩეული ბიოგრაფიის ჩართვამ „ათასწლეულის ცნობილ ადამიანთა კრებულში“, რომელშიც შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, უდიდესი წვლილი რომ შეიტანეს ამ საუკუნის განდიდებაში. ეს კრებული დაიბეჭდება 1998 წლის შუა პერიოდში, გილოცავთ თქვენს არჩევას.

როგორც ამ კრებულისთვის შერჩეულ კანდიდატს, თქვენ გეძლევათ არჩევანი თქვენს პირად ბიბლიოთეკას ერთი კრებული შესძინოთ. თქვენს ბიოგრაფიას შეადგენს ჩვენი უფროსი რედაქტორი, რომელიც გამოგიგზავნით საკორექტუროდ თქვენს ბიოგრაფიას დაბეჭდვამდე. ჩვენ ვიღებთ წინასწარ შეკვეთებს მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკებიდან, საკვლევი ცენტრებიდან, უნივერსიტეტებიდან და საქმიანი წრეებიდან. ეს გამოცემა უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საჭირო საძიებელი იქნება გასული ასი წლის პერიოდისა.

ბიოგრაფიის დაბეჭდვის გარდა, შეგიძლიათ აირჩიოთ „საუკუნის ქანდაკი“, რომელშიც სათანადო პატივი მიეგება მათ, ვისი სახელიც შემორჩება შთამომავლობას. გთავაზობთ აგრეთვე შესანიშნავ, დიდების დამადასტურებელ საპატიო ნიშანს...

ველით თქვენს დადებით პასუხს ამ არჩევისთვის. ინსტიტუტის სახელით ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ იმ წვლილისათვის, რაც თქვენ კაცობრიობას გაუწიეთ.

პატივისცემით,

ჯ. მ. ევანსი,

მთავარი აღმასრულებელი.

მის ხსოვნას გავუფრთხილდეთ

სიკვდილი გარდაუვალია. ყველამ ვიცით, რომ დროებით ვართ მოსულნი ამქვეყნად, მაგრამ მაინც ვერ ვეწვევით მის გარდაუვალობას. სიკვდილი ტრაგედიაა ჩვენთვის – ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, საზოგადოებისთვის, ტრაგედიაა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელი, თავისთავადი სულიერი ღირებულებაცაა და იმ ოჯახის, საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელშიც გაჩნდა. და თუ ჩვენ, ცოცხლებმა არაფერი ვიღონეთ, მასთან ერთად მიდის, ქრება ჩვენი არსის, ჩვენი სულიერი სიმდიდრის რაღაც ნაწილი.

ბატონი გურამ ჭილაშვილი, ჩემი წარმოდგენით, ერთი ის, სამწუხაროდ, იშვიათი ადამიანი იყო, რომელსაც ბუნებამ უხვად მიამადლა მაღალი ზნეობრივი თვისებები, ოჯახმა კი შესძინა ადამიანობის თითქოს მარტივი, მაგრამ ასე ძნელად დასაცავი პრინციპები. ამან შეაძლებინა მას, რომ ჩვენს უსამართლო, ცდუნებებით სავსე ღუხჭირ ცხოვრებაში შეენარჩუნებინა შინაგანი თავისუფლება, უდრეკი, სამართლიანობის, ზნეობის პრინციპების, მისთვის მოზომილი ვაი, რომ, მოკლე გზა ასე სწორად და მართლად გაევლო.

რა დასანანია, რომ ასეთი ადამიანი ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა სწორედ დღეს, მაშინ, როცა ყველაზე მეტად გვჭირდება მისი ცხოვრების მაგალითი. მთელი თავისი ნიჭი, სულიერი ძალა, თავისი სიცოცხლე მან შეალია ჩვენს უნივერსიტეტს – წმინდა ტაძარს, რომლის ბალავარი დიდმა მამულიშვილებმა დადგეს, რათა აქ აღორძინებული ერის ზნეობა და გონება აღზრდილიყო. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მათ მიერ დანთებული შუქი არ ჩამქრალიყო. გააკეთა ეს ისე, თითქოს ჩვეულებრივი საქმე ყოფილიყოს, მაშინ, როცა ეს იყო ნამდვილი ვაჟკაცობა, თავგანწირვა ერისათვის.

უნდა გავუფრთხილდეთ მის ხსოვნას; მისი მაგალითი არ უნდა მოგვცილდეს გონების თვალთაგან. ჩვენი მოქმედებით გავხდეთ იმის ღირსი, რომ გადავცეთ ბატონი გურამის ხსოვნა მომავალ თაობებს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი.

1990 წელი.

ღირსეული

ტანადი, სახიერი, წარმოსადეგი, სათნოებაშეპარული მკაცრი სახით, ყოველთვის დამოუკიდებელი და შეუვალი, დიდებულის გარეგნობით, საზოგადოების დიდი ნაწილი ძნელად ურიგდება ასეთ კაცს. ასე იყო, ასეა დღესაც. იცოდა გურამმა ეს. მაგრამ არასოდეს შეუცვლია ცხოვრების ნირი. ცოცხლობდა მიწიერი უხერხულობით, ღირსების შეგნებით იდგა ქვეყნის სამსახურში.

ფლობდა კარგი ხელმძღვანელის ყველა თვისებას, იყო მკაცრი, მომთხოვნი, სამართლიანი, ზოგჯერ მოკრძალებულიც.

ჩვენთან ასეა მიღებული, კაცის პრინციპულობის დასამტკიცებლად მალავენ მისი ბიოგრაფიის მშვენიერ დეტალებს. გურამს შეეძლო თვალის დახუჭვა, როცა ნათელი იყო უანგარობა, ასეთი თვისება მოწმობს მის ადამიანურ სრულყოფილებას. გურამი არ იყო ჩვეულებრივი კაცი, თუ იშვიათობაში კარგს ვიგულისხმებთ, ის ნამდვილად იშვიათი ადამიანი იყო.

ნიჭიერი, ღირსეული, ერთგული, თავდადებული. ეს დიდი სიმდიდრე, ბატონ გურამს დაუხარჯავი დარჩა.

მოგონება არ არის მხოლოდ სიმართლის აღდგენის ცდა. კაცის შესახებ საუბარი ძალიან ჰგავს მასთან საუბარს, რაც გვიქარვებს ღირსეული ადამიანის ამქვეყნად აღარ ყოფნის ჩამომდგარ სევდას.

გიორგი ნადირაძე.

1998 წელი.

ყოველ წამს ასე გამორჩეული იყო იგი. ყოველგვარი პოზის გარეშე შინაგანი ღირსებით და თავდაჭერილობით გამოცალკევებული.

ასეთივე დარჩა მათ ხსოვნაში, ვისაც ბედმა არგუნა ცნობოდა გურამ ჭილაშვილი.

ამის დასტურად ერთ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ფოტოს (სადაც იგი ცენტრშია) ვთავაზობთ მკითხველს.

შრომითი სემესტრი

მრის საუნჯის სამკურნალოდ

(მეხუთე გვერდიდან)

ამ კეთილშობილურ მისიაში მონაწილეობას, – მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში შეკრებილ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებიც 14 ივლისიდან ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში წელსაც განაგრძობენ ისტორიულ და კულტურის ძეგლთა „მკურნალობას“.

შეკრებაზე სტუდენტ მშენებლებს სიტყვებით მიმართეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა, საქართველოს განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ გაიპარაშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარემ გიორგი შარაშიძემ, სტუდენტური ლიგის პრეზიდენტმა კახა ლაბუჩიძემ, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა.

თბილისის პარალელურად, 14 ივლისს სამშენებლო ობიექტებს მიაშურეს ქუთაისის, გორის, ბათუმის, თელავის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ მშენებელთა რაზმებმა.

აღსანიშნავია, რომ წელს ქართველი ახალგაზრდების მხარდამხარ იშრომებენ ჩვენი სტუმრები აშშ-დან, ისლანდიიდან, იტალიიდან, ფინეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვენიიდან, ჰოლანდიიდან.

სარედაქციო კოლეგია:
ნანული ბარათაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, პარმენ მარგველაშვილი, გიორგი შარაშიძე, გივი შეყილაძე (რედაქტორი), თეიმურაზ ხუროძე, მანანა ჯურხაძე.

...ამასობაში კი სუჰარტო სროლაში ვარჯიშობს

ინდონეზიელი სტუდენტები მოითხოვენ პასუხისგებაში მისცენ სუჰარტო და მისი შვილები, რათა დააბრუნებინონ ხალხისათვის წართმეული სიმდიდრე. არმიამ სუჰარტოსა და მის ოჯახს უსაფრთხოების გარანტიები მიანიჭა. ასე რომ, მათ არ ეშინიათ გენერალური პროკურატურის სპეციალური კომისიისა, რომელიც ექსპრეზიდენტის მმართველობის პერიოდში კორუფციისა და ძალაუფლების ანგარებით და ბოროტად გამოყენების შემთხვევებს იძიებს.

ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ: ᲕᲔᲤᲮᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲭᲐᲛᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ – ᲕᲔᲤᲮᲕᲡ!

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡა და ცხოველთა დაცვის საზოგადოებების უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია იაპონიის კერძო ტელეარხ „ფუძით" ბენგალური ვეფხვისაგან დამზადებული კერძის ჩვენებამ, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. გადაცემის დროს იაპონიის ტელევიზიის ვარსკვლავები შანპაის რესტორანში შეექცეოდნენ შემწვარ-მოხრაკულს, რომელიც ვეფხვის ხორცისაგან იყო დამზადებული. ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ტელეარხის ხელმძღვანელობას, რათა შეეხსენებინა მისთვის, რომ გადაშენების პირას მისულ სახეობათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, რომელსაც ხელს აწერს 142 ქვეყანა, ბენგალურ ვეფხვზე ნადირობა აკრძალულია. დღესდღეობით დარჩენილია სამიდან ოთხი ათას ხუთასამდე ეს მტაცებელი. ტელეარხის ხელმძღვანელობამ პასუხად სასწრაფოდ განაცხადა, რომ ვეფხვი საგანგებოდ კი არ მოუკლავთ, არამედ იგი გასულ წელს დაიღუპა ჩინეთის ზოოპარკში და მისი ხორცი აქამდე ინახებოდა საყინულეში. ამიტომ, „ფუძის" აზრით, გადაცემა სულაც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კონვენციას.

ᲐᲨᲨ: ᲔᲫᲔᲑᲔᲜ 1000-ᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲥᲝᲨᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ფრანს პრესი იუწყება, ეროტიკულმა ჟურნალმა „პლეიბოიმ" დაიწყო არა თვის, არა წლის და არა თვით საუკუნის, არამედ ათასწლეულის ქალიშვილის ძებნა. ამ მშვენიერი ნახავის ფოტოსურათი დაიბეჭდება ჟურნალის ყდაზე 2000 წლის იანვარში. „ბრიას" საძებნელად მთელ ამერიკაში ივლის სპეციალურად აღჭურვილი ავტობუსი, თავისებური მოძრავი სტუდია, რომელიც პრეტენდენტი გოგონების ფოტოსურათებს გადასცემს ჟურნალის ჩიკაგოსა და ლოს-ანჯელესის შტაბბინებში. ღონისძიება წლის ბოლომდე გასტანს, ხოლო დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შერჩევის მიმდინარეობას ინტერნეტით ადევნონ თვალი.

ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲛᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ერების ორგანიზაცია პლანეტის მოსახლეობის მსოფლიო დღეს აღნიშნავს, იუწყება ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". გაეროს მონაცემებით, დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა ყოველწლიურად 80 მილიონით მატულობს და ერთ წელიწადში ექვს მილიარდს მიაღწევს. ამრიგად, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პლანეტის მოსახლეობა შეიძლება გაორკეცდეს. საგულისხმოა, რომ მატების 99 პროცენტი მოდის განვითარებად ქვეყნებზე, რომელთა მთავრობას არა აქვს საშუალება, მიანიჭოს თავის მოქალაქეებს დაწყებითი განათლების მიღების შესაძლებლობა და იზრუნოს მათი ჯანმრთელობისათვის, წერს გაზეთი.

ლოლიტას სრულწლოვანება არ შველის

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ეკრანებზე ედრიან ლეინის „ლოლიტას" გამოსვლიდან ნახევარი წლის შემდეგ ფილმის ნახვას, ბოლოს და ბოლოს, ელირსებიან ამერიკაშიც, სადაც მან უკვე სკანდალური სახელი გაიგდო. როგორც ფრანს პრესი იუწყება, საკაბელო სატელევიზიო არხმა „შოუტაიმმა" და კომპანია „სემუელ გოლდვინ ფილმზმა" განაცხადეს, რომ არ დაიხევენ უკან და თავად მოჰკიდებენ ხელს ამ ლენტის გაქირავების საქმეს. ჰოლივუდის ვერც ერთი დიდი წინა კომპანია ვერ ბედავდა მოეკიდებინა ხელი ამ უმადური საქმისათვის, ვინაიდან იცოდა, რა პოლემიკა გამოიწვია ფილმმა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მას შეერთებულ შტატებში ნახავდნენ. რეჟისორმა მიზნად დაისახა, უფრო ზუსტად გადაეტანა ეკრანზე ნაბოკოვის რომანი, ვიდრე ეს გააკეთა სტენლი კუბრიკმა 1962 წელს გადაღებულ ამავე სახელწოდების ფილმში. აქ მთავარ გმირს განასახიერებს უფრო ნორჩი მსახიობი გოგონა – გადაღების მომენტში დომინიკ სუეინი 14 წლისა იყო. მაგრამ, „ლოლიტას" ჩრდილოამერიკულ თავგადასავალში წერტილის დასმა ჯერ ნაადრევია: 1996 წელს მიღებული ბავშვთა პორნოგრაფიის თავიდან აცილების კანონი კრძალავს ნაწარმოებებს, რომლებშიც არასრულწლოვანნი სექსუალურად გამომწვევ მოქმედებას მიმართავენ. ზნეობის დაცვის მოძრაობის წარმომადგენელთა აზრით, ეს ფილმი სწორედ აღნიშნული კანონით აკრძალულთა რიცხვს განეკუთვნება.

ჰასიმოტოს შავი ორშაბათი



ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ მთავრობის მეთაური და ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი სერგი კირიენკო იაპონიაში ჩასასვლელად ამაზე უარეს დღეს ვერ შეარჩევდა. იმიტომ კი არა, რომ ორშაბათი მძიმე დღეა, ხოლო ცამეტი – თარსი რიცხვი. უბედურება დაატყდა თავს მმართველ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც მწარედ დამარცხდა იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის არჩევნებში, სადაც არსებული ადგილების მხოლოდ მესამედი მოიპოვა. რიუტარო ჰასიმოტო, იაპონიის პრემიერი, ორი ქვეყნის ურთიერთობაში „ახლებური სულისკვეთების" მთავარი არქიტექტორი და ბორის ელცინის პირადი მეგობარი, იძულებული გახდა, გადამდგარიყო. სწორედ კირიენკოს ჩასვლასა და ჰასიმოტოს წასვლას ეძღვნება ეს ნახატი, რომელიც გაზეთ „ნოვიე იზვესტიადან" გადმოვბეჭდეთ.

ვინ დააბრალა ბრიტანელებს, თავშეკავებული ხალხიაო?

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციულ რესპუბლიკაში დისლოცირებული ბრიტანეთის რაინის არმიის ოთხ ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეს წაუყენეს ჯგუფური გაუპატიურების ბრალდება, წერს გერმანული გაზეთი „ველტი". როგორც გერმანიის პოლიციამ გამოაცხადა, ინციდენტი მოხდა ქვემო საქსონიის ქალაქ ბერგენში. ადგილობრივი გარნიზონის მთვრალი ჯარისკაცები თავს დაესხნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ბრიტანეთის ჯარების სამოქალაქო პერსონალის 27 წლის თანამშრომელ ქალს და მხეცურად გააუპატიურეს. დანაშაულის გამოძიებაში ჩაება ბრიტანეთის სამხედრო პოლიციაც, რომელმაც უკვე დააპატიმრა ერთ-ერთი ეჭვმიტანილი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲢᲔᲑᲛᲐ ᲑᲛᲕ-Ს ᲪᲝᲚᲐᲓ ᲤᲘᲐᲢᲘ ᲨᲔᲠᲗᲔᲡ

ᲑᲛᲕ და ᲤᲘᲐᲢ საავტომობილო კონცერნების წარმომადგენლებმა ამ რამდენიმე დღის წინათ უარყვეს პრესაში დაბეჭდილი ცნობები მათი ვითომდა შესაძლო შერწყმის შესახებ. გერმანული ბმვ და იტალიური ᲤᲘᲐᲢᲘ არავითარ შერწყმას არ აპირებენ და ასეთი ხმები სხვა არა არის რა, თუ არა ჟურნალისტთა მორიგი მონაჩმახი, წერს ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი".

ფეხბურთი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ XVI მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. საფრანგეთის უმაღლესი დონის ერთთვიანმა ფესტივალმა, ალბათ, კარგა ხნით უნდა დააპუროს საფეხბურთო გურმანები, თუმცა, ქართველ გულშემატკივრებს მალე მოუწევთ სამინაო საზრუნავზე გადართვა: უკვე 22 ივლისს თბილისის „დინამო" ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩს მართავს – ხვდება ალბანეთის ჩემპიონ „ვლაზნიას". პირველი ბარიერის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, 12 აგვისტოს უნდა მიიღოს ცნობილი ბილბაოს „ატლეტიკოს" (ბასკების) გუნდი...

[illegible]

ამ დროს კი ჩვენს მთავარ სტადიონზე „სრული ფრონტით" არის გაშლილი – სამშენებლო ბაგალიები – მიმდინარეობს საკმაოდ მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია.

... დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეხვდებით აქ მთავარი სპორტული სარბიელის მთავარ ინჟინერს, სტადიონზე, ჩვენს ფეხბურთსა და საერთოდ, სპორტზე უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდა კაცს ზურაბ ნოზაძეს, რომელიც სულ 17 წლისა მოვიდა და მუდმივად „ჩაეწერა" „დინამოზე".

– ამჟამად გაცხოველებით ვმუშაობთ რამდენიმე მიმართულებით, – გვეუბნება ზურაბი, – მიმდინარეობს ძველი დასაჯდომი ადგილების დემონტაჟი, პარალელურად – ახალი ლამაზი ინდივიდუალური სკამების მონტაჟი. „ფინეურო კონსალტინგის"– იტალიური ფირმის წარმოების სკამებზე დაბრძანდებიან ჩვენი გულშემატკივრები, 1 სექტემბრისთვის მათი რაოდენობა უკვე 20 ათასს გადააჭარბებს ეროვნულ სტადიონზე. აქვე გვინდა ვთხოვოთ ქომაგებს: ნუ წაბილწავთ უხამსი წარწერებით, ნუ გავაფუჭებთ და გავაცამტვერებთ ამ ძვირფას სკამებს, მეგობრებო! ბევრი უწინ დამონტაჟებული დასაჯდომი უკვე დაჩხაპნილი და შელანძღულია, სამწუხაროდ...

– ამ სკამების გამო, ამბობენ, ჩვენს სტადიონზე დასაჯდომი ადგილების რაოდენობა გვარიანად მცირდებაო...

– 74 ათასი ადგილიდან დაგერჩება 65 ათასამდე, მაგრამ ყველა ადგილი იქნება მოხერხებული, ევროპული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი.

– ადრე ბევრი საყვედური გვესმოდა ჟურნალისტებისთვის ცუდი სამუშაო პირობების გამო...

– პრეს-ლოჟაში, ხედავთ, დამონტაჟებულია 120 ლამაზი ფრანგული სკამი, საჭიროებისამებრ დაიდგმება ყოველნაირი ტექნიკა, აპარატურა, კავშირგაბმულობის საშუალებანი...

– ჩვენი მთავარი სპორტული სარბიელის „აქილევსის ქუსლად" ითვლებოდა არასაკმარისი განათება...

– უეფას ხელმძღვანელობა გვპირდება განათების პრობლემის სრულ გადაწყვეტას მომავალი წლისათვის.

– ხომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი ტარდება?

– თბილისის მერიამ გამოგვიყო სათანადო თანხები და მალე დავასრულებთ კიდეც მიდა, გასამაგრებელ სამუშაოებსაც. ამასთან, აღდგენილი და განახლებულია რადიოფიცირება. მოვაწესრიგეთ IBM-ის ტაბლო, რომელიც 1993 წელს დამონტაჟდა ჩრდილოეთ ტრიბუნაზე. მისი საშუალებით შეგვეძლება ყოველგვარი ინფორმაციისა და მავ-თეთრი რეკლამის ჩვენება.

ცალკე უნდა ითქვას მინდვრის მწვანე საფარის შესახებ. იგი მთლიანად შეკეთდა და განახლდა. მოსწორდა ოღრო-ჩოღრო ადგილები, შემოვზიდეთ 250 კუბური მეტრი სპეციალური ნიადაგი. ერთი სიტყვით, მინდორი ამჟამად უკვე საუკეთესო მდგომარეობაშია. ცნობილმა სპეციალისტმა, მოსკოვში მომუშავე გივი აბრამიშვილმა ჩვენი მწვანე საფარი „ფრიადზე" შეაფასა.

– ამ ხასხასა სიმწვანეს ცოტა ცუდად ეხამება ჩამუქებული მძლეოსნური სექტორის საფარი, რომელიც, თუ არ ვცდები, „პრავდის" პრიზების საერთაშორისო ასპარეზობისთვის დაიგო ჯერ კიდევ 1978 წელს...

– 1985 წელსაც შეიცვალა ის ხელოვნური საფარი, ამჟამად ამ სექტორებსა და სარბენ ბილიკებზე მხოლოდ საქართველოს პირველობები თუ იმართება – საერთაშორისო სტანდარტებისაგან, რა თქმა უნდა, მორს არის...

– თქვენ ბრძანებთ, რომ სარემონტო სამუშაოების დამთავრებას პირველი სექტემბრისთვის აპირებთ. მოასწრებთ კი ამოდენა საქმეს ამ მოკლე ვადაში?

– აქ ვინც მუშაობს, გულით და სულით, ძალიან კარგად ირჯება და ამის იმედიც გვაქვს.

– მაინც?

– ვთქვათ, ეროვნული სტადიონის მთავარი ენერგეტიკოსი ბესარიონ ხორგუანი, მისი მოადგილე ომარ გიორგობიანი, მექანიკოს-მძღოლი ბიჭიკო ფიცხელიანი. რა ვიცი, ძალიან ბევრი ნამუსიანი კაცი, მუშა იქნება თუ მძღოლი, ყველა გულით მუშაობს, რადგან იციან, რომ ნამდვილ ეროვნულ საქმეს აკეთებენ...

* * *

ᲩᲕᲔᲜᲘ საუბარი ეროვნული სტადიონის მთავარ ინჟინერთან, რომელიც სათამაშო მინდორთან ახლო, „ღია ცის ქვეშ" მიმდინარეობდა, არაერთხელ შეგვაწყვეტინეს, ყველა ზურაბს ეკითხებოდა ყველაფერს, ბოლოს კი ბატონმა კონსტანტინე მანიძემ – ელექტრიკოსმა და ფოტორეპორტიორმა – მოიტანა ამბავი, რომ ქალაქის სპორტის სამმართველოს განზრახავს ინვალიდთა ეტლებით 100 მეტრზე შეჯიბრების ჩატარებაო.

– 1 სექტემბრამდე არავითარი ღონისძიება აქ არ გაიმართება, გარდა საფეხბურთო მატჩებისა, – ამბობს ზურაბი. ამჯერად ინვალიდებს უარს ვერ ვეტყვით, მაგრამ სამომავლოდ გაითვალისწინეთ...

1 სექტემბერს კი განახლებული და გალამაზებული ჩვენი უპირველესი სპორტული სარბიელი მთელი სიდიადით და სილამაზით წარუდგება ყველა სტუმარს, სპორტსმენს თუ მაყურებელს.

ანზორ ბასილაია.

სურათზე: მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ცხენოსნობა

სეზონი გაიხსნა

12 ივლისს გაიხსნა ცხენგამოცდის სეზონი. ამ დღეს 6 დოღი გაიმართა. 1200 მეტრზე [illegible] ჯილდო მოიპოვა [illegible]

[illegible] ჭინჭაძემ და გიორგი სამხარაძემ. 1200 მეტრზე რბენაში კი [illegible]

[illegible] ოპიღრომი კვლავ ელის ცხენოსნობის გულშემატკივრებს 26 ივლისს.

თამაზ ძიძავა.

სურათზე: ცხენოსნობის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი დოღი.

ავტორის ფოტო.

1998
МОСКВА
ВСЕМИРНЫЕ ЮНОШЕСКИЕ ИГРЫ
ПОД ПАТРОНАЖЕМ МОК

ჯერჯერობით „ოქრო" არ ჩანს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი თამაშების პროგრამით დღემდე გამართულ ორთაბრძოლებში საქართველოს სპორტსმენთაგან განსაკუთრებით ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა გვასახელეს. მათ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ერთი ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ჯერჯერობით მოკრძალებული შედეგებით განაგრძობენ შერკინებებს ძიუდოისტები – ოთხ წონით კატეგორიაში მათ მხოლოდ თითო „ვერცხლი" და „ბრინჯაო" შემატეს საქართველოს სპორტულ ყულაბას. თუმცა, ოთხ ფალავანს ჯერ კიდევ გამოსაცდელი აქვს ტატამზე საკუთარი მუხლისა და მკლავის ძალა. გუშინ პირველად გამოვიდნენ ხალიჩაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. ხვალ და ზეგ 5-5 წონით კატეგორიაში გათამაშდება მედლები. ჯილდოები მოსალოდნელია მძლეოსნობასა და ჩოგბურთში. ვინ იცის, იქნებ „ოქროს" მოსავალიც კი გველის წინ.

კალათბურთი

ᲮᲣᲗᲣᲠᲘ ტურნირის მესამე მატჩში თავი ისახელეს ჩვენმა კალათბურთელებმა. მათ პოლონელების ნაკრებს სძლიეს 80:46, მეოთხედფინალში გავიდნენ და დღეს 12 საათზე ცსკა-ს დარბაზში იუგოსლაველთა ძლიერ გუნდს შეეცილებიან ნახევარფინალის საგზურს. დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: ბრაზილია – საბერძნეთი, ბელგია – აშშ, რუსეთი – ხორვატეთი.

ძიუდო

ᲒᲣᲨᲘᲜ კიდევ ორ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლების კომპლექტი. გრიგოლ მამრიკიშვილი (73 კგ.) მესამე ადგილს დასჯერდა, დავით ტყემელაშვილი (81 კგ.) კი უმედლოდ დარჩა.

ჩოგბურთი

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ იქნა, წვიმამ გადაიღო და ჩოგბურთელებმაც ორთაბრძოლები განაახლეს. თამარ ზედგენიძემ პირველ მატჩში ყირგიზ აიპიკა კალსაზიევას სძლია იოლად – 6:1, 6:0, მაგრამ მომდევნოში თავად დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა ირაკლი უშანგიშვილმაც. მან ერალდ ხულიოსთან წააგო – 4:6, 3:6. ერთეულთა თანრიგს ჩვენგან მაკა ჩახნაშვილი და ირაკლი ლაბაძე შემორჩნენ. წყვილთა თანრიგში კი ისინი ზედგენიძესთან და უშანგიშვილთან ერთად განაგრძობენ პაექრობას.

მძლეოსნობა

ᲝᲠᲘ დღე „ლეგენდის" მძლეოსნურ [illegible] 100 მეტრზე [illegible]

ინფორმაციები მოგვაწოდა [illegible] ნინო ბოგუაძემ.

რუსეთში [illegible]

ჟურნალისტებმა [illegible]

ფლორიდაში ცეცხლის ხანძარს ვერ აჩერებენ



პაპანაქება სიცხე და არც ერთი წვეთი წვიმა – ასეთი ამინდია მაისის ბოლოდან ფლორიდის შტატში. ყოველდღიურად ტყის მასიური ხანძრები [illegible] ტერიტორიაზე [illegible] ცეცხლმა უკვე გაანადგურა 50 ათასამდე ჰექტარი ტყე. [illegible] ჯერჯერობით ვერ ახერხებს [illegible]

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანის" მასალების მიხედვით.

უძღვება არჩილ მანჯგალაძე.

ᲠᲔᲢᲠᲝ

ყველაზე მდიდარი მოკრივე

ყველა დროის პროფესიონალ მოკრივეთა შორის [illegible] ყველაზე დიდი თანხა [illegible] მუჰამედ ალიმ (კასიუს კლეი) 1960 წლის ოლიმპიურმა [illegible] 1981 წლის [illegible] 61 მატჩი (549 რაუნდი) და მიიღო 69 მილიონი დოლარი.

სურათზე გამოსახულია მუჰამედ ალი (კასიუს კლეი) [illegible]

ელიშერ გიორგაძე.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

რომის პაპიც ფრანგებს ქომაგობდა

[illegible]

ფეხბურთი მოდებმაც დაამშვენა

[illegible]

[illegible]

სურათზე: [illegible]

უძღვება ანზორ ბასილაია.

კომპოზიცია

პაიკთა „ტრანსმიგრაცია“ ეტლების დაბოლოებაში

ცნობილია, რომ ყოველი საეტიუდო თემა გამოსახვის სპეციალურ საშუალებებს მოითხოვს. ეტლი სწორხაზოვანი ფიგურაა, ამიტომ მისი საშუალებით კარგად გამოისახება სხვადასხვა ტიპის სისტემატური მოძრაობანი, რომელიც პაიკთა პოტენციურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით ხორციელდება. აღნიშნული მასალა საშუალებას იძლევა აგრეთვე განვახორციელოთ ნაირფეროვანი კომბინაციები, რომელთაც საფუძვლად გეომეტრიული მოტივები უდევს. ჩვენს მიერ დასახელებული საეტიუდო იდეები ორგანულად შეერწყა ეტლების მასალაზე აგებულ ეტიუდებს. ერთ-ერთი ასეთი იდეაა მსუბუქი ფიგურის გაცოცხლება. ჯერ ენახოთ სხვადასხვა ფიგურის გაყვანის მაგალითები, ხოლო შემდეგ „ტრანსმიგრაციის“ რთული შემთხვევა განვიხილოთ.

№ 1 დიაგრამაზე გამოსახულ ეტიუდში ახლადგაყვანილი მხედარი ეტლის წინააღმდეგ.

ვ. ბრონი, 1929 წ.



თეთრები იგებენ

1. ეe5! ეe5 2. d7 ეe6 3. მფg5 ეb6 4. d8მ! ეb8 5. მc6 მოგებით.

მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ნაწარმოებია.

№ 2 დიაგრამაზე წარმოდგენილ ეტიუდში სისტემატიური მოძრაობის ფონზე ხორციელდება კუს და ლაზიერის გაყვანის იდეები.

ვ. კალანდაძე, 1984 წ.



თეთრები იგებენ

1. ეa2! ეd1 2. მფe8!! ეd2 3. ეa1 ეe2 4. მფf7 ეf2 5. მფg7 ეg2 6. მფh6 ეg8! 7. hgკ!! და იგებენ.
6. ... ეg1 7. h8ლ ეa1 8. ლa1 მფg2 9. ლg7 მფf1 10. ლc7!! მფg1 11. ლg3 მფf1 12. ლh2!!

ახლა გავეცნოთ ეტიუდს, სადაც ეტლის გაცოცხლებაა წარმოდგენილი.

ი. ლაზარი, 1956 წ.



თეთრები იგებენ

1. ეh7 მფa8! 2. ეg7 ეg2! 3. h7 h2 4. h8ე!! h1ლ 5. ეh1 ეh2 6. ე7g1!

ფორმისა და შინაარსის ჰარმონია სუფევს ამ მომხიბლავ მინიატურაში.

ეტლების დაბოლოებაში პაიკთა სრულ „ტრანსმიგრაციაზე“ სულ რამდენიმე ნაწარმოებია შექმნილი. ერთ-ერთი მათგანი წარმოდგენილია № 4 დიაგრამაზე, სადაც ნაჩვენებია პაიკთა გაცოცხლების ყველა შესაძლებლობა მცდარ კვალში.

ვ. კალანდაძე, 1975 წ.



თეთრები იგებენ

1. f7 ba 2. ეa2 ეc7 3. ეa5! ეe5! 4. ეe5 მფg6 5. ეg5! (მხოლოდ ასე! თეთრების მიერ ფიგურების გაცოცხლების ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდება)

5. h8ლ ეh7 6. მფg8 ეh8 და ყაიმია.

II. 5. f8ე მოყვება მუდმივი ქიში.

III. 5. f8კ ეh7 6. მფg8 ეg7 ყაიმით.

IV. 5. f8მ მფf6 6. ეe4 e5 7. მh7 მფg6 და კვლავ ყაიმია.

5... მფf7 6. ეg7 მოგებით.

პაიკთა სრული „ტრანსმიგრაციის“ თემა საკმაოდ რთულია, ამიტომ მისი განხორციელება კომპოზიტორისგან მოითხოვს მაღალ ტექნიკას და ფანტაზიას.

ველიმირ კალანდაძე,
საერთაშორისო ოსტატი.

რეგიონულ ფედერაციებში

ტრადიცია აღდგა

80-იანი წლების დასაწყისამდე გორში სისტემატურად იმართებოდა საქალაქო პირველობები ჭადრაკში. სხვადასხვა დროს ჩემპიონები იყვნენ შალვა თოთლაძე, გურამ მუკნიაშვილი, ჯემალ ინჯია... შემდეგ საქალაქო პირველობები რატომღაც მიივიწყეს.

გაზეთ „სპორტული გორის“ და ტელესტუდია TV-9-ის თავკაცების ინიციატივით და ხელშეწყობით ტრადიცია კვლავ აღდგა.

ამას წინათ, დიდი შესვენების შემდეგ, გორის საჭადრაკო კლუბ „მთიებში“ გაიმართა პირველობა 15 მონაწილეს შორის. 12,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა გურამ მუკნიაშვილმა. მას ქულით ჩამორჩნენ საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი და ხვიჩა ვანიშვილი.

გამგებელი ჭადრაკზეც ზრუნავს

იყო დრო, საგარეჯოში საჭადრაკო ცხოვრებას გამორჩეული ადგილი ეჭირა, მაგრამ შემდეგ ენთუზიაზმი ნელ-ნელა მინელდა. ბოლო დროს რაიონული ფედერაციის შექმნასთან ერთად საჭადრაკო საქმიანობა კვლავ გამოცოცხლდა. მისი სულისჩამდგმელი გახდა საგარეჯოს რაიონის გამგებელი თენგიზ ოქროცვარიძე, რომელიც ახლახან ჭადრაკის რაიონული ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იმედია, საგარეჯოში ჭადრაკს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

კონკურსი

„მოსიაშვილი -50“

საქართველოს საჭადრაკო კომპოზიციის კომისია აცხადებს საერთაშორისო კონკურსს ორსვლიანი ამოცანების შედგენაში.

კონკურსი ეძღვნება ცნობილი პრობლემისტის გ. მოსიაშვილის დაბადების 50 წლისთავს.

ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს 1998 წლის 1 მარტამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380009, კოსტავას ქ. № 37, ჭადრაკის სასახლე.

კონკურსის შედეგები შეჯამდება გაისად მაისში და გამოქვეყნდება „ლაზიერის“ ერთ-ერთ ნომერში.

ხსოვნა

გარდაიცვალა უხუცესი ქართველი პრობლემისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი ბასილაია**. ბატონი გიორგი 1913 წელს დაიბადა. პირველი საჭადრაკო ამოცანა დაბეჭდა 1935 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში“. მისი ამოცანები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთებში: „მუშა“ „თბილისი“, „ვეჩერნი თბილისი“, „ლელო“. რამდენიმე ამოცანა „შახმატ ვ სსსრ“-ში გამოქვეყნდა.

გთავაზობთ გ. ბასილაიას ორსვლიან ამოცანას, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ში.



ამოცანას ხსნის ეფექტური სვლა 1. მe5! ლამაზი შამათებით 1.... de 2. ეd4X; 1... d5 2. მe6X.

კონკურსის შედეგები

„ლაზიერის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ვაჟა დადიანიძის საიუბილეო კონკურსის შედეგები ეტიუდების შედგენაში. დღეს კოოპერაციული ამოცანების სექციაში გამარჯვებულებს წარმოგიდგენთ.

ალექსეი ივუნინი
ალექსანდრე პანკრატიევი
I-II პრიზი



კოოპერაციული მამათი 2 სვლაში

1. მd1 მd3 2. კg4 კ f7 X.
მფd5 – c3-ზე 1. კg4 კf7 2. მe3 მe4X.
მფd5 f4-ზე 1. მe3 მe4 2. მd1 მd3X.

თეთრი და შავი ფიგურების სვლების ციკლური მონაცვლეობა დაბმისაგან თემატური განთავისუფლების მომენტებით.

შერგილ სუხიტაშვილი
I-II პრიზი



ამოცანის პირობაა: დაუმატეთ შავი ფიგურა ნებისმიერ უჯრაზე და კოოპერაციული შამათი 2 სვლაში (დუპლექსი)

რეტროანალით მტკიცდება რომ c1-ზე უნდა დავსვათ შავი ლაზიერი. 1. ეb2 კf7 2. მფb1 მa3X

როცა სვლა თეთრებისაა, მაშინ 1. მc7 ლ f4 2. მa8 მc6X.

დავით გურგენიძე
III პრიზი



კოოპერაციული შამათი 2 სვლაში

1. ლh1 ლ[illegible] 2. ლe4 ლf6X
პაიკი g5 – d4-ზე 1. ლg1 ლg7 2. ლg6 ლe5X.

ლაზიერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა
№178, კვირა, 27 ივლისი, 1997 წელი.

ზნეობა

რონ ჰაბარდის სექტა

(შვეიცარია, გერმანია)

რონ ჰაბარდი არის დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი სექტისა, რომელსაც „სამეცნიერო ეკლესია ეწოდება“ და რომელიც მოქმედებს ევროპაში, უმთავრესად, შვეიცარიასა და გერმანიაში. მან შეიმუშავა დოქტრინა, რომლის თანახმად გარე სამყაროსთან სრული ჰარმონიის მისაღწევად საჭიროა, უწინარესად, განვთავისუფლდეთ ყოველდღიური საზრუნავისაგან. ვერაფერს იტყვი, ერთი შეხედვით საინტერესო დებულებაა. მართალია, მისი რეალიზაციისათვის ჰაბარდი გვთავაზობს ფრიად ორიგინალურ რეცეპტს: უნდა მოიშორო თავიდან ყველაფერი, რაც გაბადია (უძრავ-მოძრავი ქონება, ფული და სხვა ყოველივე დანარჩენი), თანაც მოიშორო ძალზე მარტივი ხერხით — გადასცე ყოველივე ეს... სექტას, რომელსაც ჰაბარდი ხელმძღვანელობს. შემდეგ, უფრო ზუსტად კი, იმავდროულად, უნდა შეხვიდე მის სექტაში და შეასრულო შესაბამისი ყოველდღიური რიტუალები (ლოცვა, მედიტაცია, სპეციალურად შემუშავებული ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი), და დაადგე ერთადერთ სწორ გზას, რომელიც მიგიყვანს უკვდავებაში.

სექტაში არის საგულდაგულოდ შერჩეული „პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა“ — სპეციალისტების (ჰიპნოტიზიორებისა და ექსტრასენსების) ჯგუფი, რომელიც, იყენებს რა მიზანმიმართულ ზემოქმედებას სექტანტთა გონებასა და სულზე, ფრიად წარმატებით არჯულებს და ათვინიერებს ახალ მოწაფეებს, რის შემდეგაც აღარ უჭირს მათს ცნობიერებაში ნებისმიერი ფსიქოლოგიური დებულების ოპერატიული დანერგვა.

ყოველდღიური შეგონების და გარკვეული საკულტო რიტუალების შესრულების შედეგად, სექტის წევრებს გამოუმუშავდებათ და ეჭედებათ თავში ერთი და იგივე idee fixe — ისინი ყველანი წყვეტენ უაღრესად სერიოზულ მსოფლიო პრობლემებს. ღმერთმა სწორედ ისინი მიიჩნია ღირსად, წარმდგარიყვნენ მისი სახით მთელი კაცობრიობის წინაშე და, შესაბამისად, სწორედ მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა ყველა ხორციელის სვე-ბედისათვის.

დროთა განმავლობაში სექტის წევრებს თანდათან გამოუმუშავდებათ უფლის წინაშე ბრალის მწვავე და შეუნელებელი გრძნობა ცოდვებისათვის, რომლებიც იმ, წინანდელ, ცხოვრებაში ჩაუდენიათ, მათ განუწყვეტლივ აწვალებთ სინდისის ქეჯნა იმისათვის, რომ ამ ცოდვას ვერაფრის დიდებით ვერ გამოისყიდიან. ამრიგად, ყალიბდება და მკვიდრდება სექტის წევრთა აბსოლუტური დამოკიდებულება გურუსა და მის თანაშემწეებზე — მორალი, მატერიალური და, საერთოდ, ყოველგვარი. პიროვნება საბოლოოდ ისპობა. ადამიანი ვარდება მდგომარეობაში რომელიც ახლოს არის სომნამბულურთან , და მზად არის შეასრულოს მის სულიერ მოძღვართა ნებისმიერი ბრძანება.

მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც ფორმალურად არ უნდა, დაუკავშირდეს რონ ჰაბარდის სექტას და მიუხედავად ამისა, სურს შეიტყოს, მაინც, რა არის ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ამ ერთობ პოპულარული სექტის სულიერი ლიდერის რელიგიური დოქტრინის არსი. ზოგი რამ ჰაბარდს მართლაც უნდა დაუფასო: იგი არათუ არ ყრის გარეთ ცნობისმოყვარეებს, არამედ პირიქით, უტარებს მათ სპეციალურ კურსებს ან სემინარებს, სადაც თვით ჰაბარდი, ან მისი თანაშემწენი აცნობენ შეკრებილთ თავიანთ კრედოს. ყოველივე ეს ფრიად

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „სრ“ № 155, 161, 168

პომპეზურად არის გაფორმებული და კურსების დამთავრების შემდეგ, ყველას, ვინც ისინი მოისმინა, ეძლევა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ლამაზად გაფორმებული დიპლომი, რომელიც მოწმობს, რომ ეს და ეს კაცი, რომელიც აქ და აქ ცხოვრობს, ამიერიდან დიპლომირებული სწავლულია. დიპლომის გადაცემის ცერემონია გაცილებით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ვთქვათ, უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მინიჭების დიპლომის გადაცემისა (მართალია, ამასთან მოკრძალებით სდუმან იმაზე, რომ ახალგამოჩეკილ „მეცნიერს“ გვარიანი თანხა დაადებინეს, რათა მეცნიერი გამხდარიყო). ყოველივე ამას თან სდევს საზეიმო განცხადებები, რომ დიპლომის მფლობელს ამიერიდან უფლის მადლის კვალი აჩნია, ხოლო ამ დოკუმენტს ასდის რაღაც ღვთაებრივი გამოსხივება, რომელიც ხელს უწყობს მის კეთილდღეობასა და აყვავებას. ამის შემდეგ, დიპლომირებული „სპეციალისტი“, როცა კი შესაფერისი მომენტი ჩაუვარდება, ტრაბახობს თავისი დიპლომით და მისი ნაცნობებიც, რომლებსაც ასევე შეუჩნდებათ იდუმალი, მისტიკური და გაუგებარი მოძღვრების დაუფლების ჭია, თავქუდმოგლეჯილი გარბიან იგივე კურსებსა და სემინარებზე.

შალვა მარდი

XX საუკუნის უბედურება

ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები

რონ ჰაბარდი თავის გამოსვლებში ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით სასიკეთო გავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური ჯაჭვების ტვირთისაგან „გათავისუფლება“ (ანუ, სექტის სასარგებლოდ საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონებისა და დანაზოგის გადაცემა) ავადმყოფ და სნეულ ადამიანებზე. თავის წიგნში „Dianetik“ იგი წერს, რომ სრული „ინდოქტრინაციის“ შემდეგ (ანუ მისი რელიგიური დოქტრინის სრული და უცილობელი მიღების შემდეგ, რასაც სულ ცოტა შვიდი წელიწადი სჭირდება) ავადმყოფებს მოსდით რაღაც წარმოუდგენელი რამ“:.. მთლიანად უქრებათ ტკივილები სახსრებში, გული იწყებს აბსოლუტურად ნორმალურ ფუნქციონირებას, არ რჩება ასთმის არავითარი ნიშანი, ისპობა სკლეროზული მოვლენები სისხლძარღვთა სისტემაში, ნორმალური ხდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობა და ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ინკურნება“. მაგრამ ეს, გამუდმებით ჩასჩიჩინებს პაციენტებს ჰაბარდი, თავისთავად როდი ხდება, ამის საფასურია სრული და უცილობელი უარის თქმა საკუთარ თავზე, საკუთარ ქონებაზე, წინა ცხოვრების წესზე; ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ სექტის წევრებთან, მისი საქმიანობის საიდუმლოს სრული დაცვა, გამუდმებული თვალყურის დევნება სექტის სხვა წევრებისათვის (თუ რაიმეს შეამჩნევენ, დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ სექტის ხელმძღვანელობას). თითქოს უბრალო რამ არის — საჭმლის მიღება, მაგრამ რონ ჰაბარდის სექტაში ისიც კი ემყარება „მეცნიერულ“ საფუძველს: სექტის წევრმა არ უნდა მიიღოს საჭმელისაგან არავითარი სიამოვნება, ვინაიდან ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შიმშილისა და წყურვილის მოკვლის აქტი. თუმცა, ალბათ იმისათვის, რომ როგორმე შეულამაზონ ასეთი ულიმღამო ტრაპეზი, სექტის წევრებს ყოველთვის ურევენ ულუფაში, თვით ჰაბარდის თქმით, „მცირე დოზის დამაწყნარებელ ბალახებს,“(მართალია, რატომღაც ოპიუმის სახით).

მაგრამ, „სამეცნიერო ეკლესიის“ ნამდვილი თვალია კოლექტიური წარმოდგენა სექტის ვეტერანთა მონაწილეობით, როდესაც ეს უკანასკნელნი „დამაწყნარებელი ბალახების გვარიანი დოზის მიღების შემდეგ ტრანსში ვარდებიან და იწყებენ მოგვობას „უფლის ენაზე“. შემდეგ, როგორც ნარკომანებშია მიღებული, ისინი ტრანსიდან ღრმა ძილში გადადიან, და რომ გამოეღვიძებათ, უყვებიან ახლადმოქცეულ სექტის წევრებს, რომ საკუთარი თვალით ნახეს „საიქიო“, სადაც ადამიანები და ანგელოზები მუდმივი ნეტარების მდგომარეობაში არიან, რომ მოიარეს გალაქტიკის ფარული კუთხე-კუნჭულები, მოინახულეს ქრისტე, ესაუბრნენ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ სხვადასხვა გამოჩენილ პირებს. ამ ზღაპრებს ყურადღებით იწერენ და სექტანტთა უახლოეს კრებაზე აანალიზებენ და აკლასიფიცირებენ. ამასთან,გაუთავებლად უჩიჩინებენ, რომ ღმერთი და მისი აპოლოგეტები სულიერ კავშირს ამყარებენ მხოლოდ მათთან, რონ ჰაბარდის სექტის წევრებთან და ეს უკვდავების უფლებას იძლევა. როგორც სექტის მეთაური აცხადებს, სწორედ „ცოცხალ მოწმეთა“ ჩვენებებზე დაფუძნებული საიქიოში ცხოვრების შესწავლისადმი მიდგომა შეადგენს „სამეცნიერო ეკლესიის“ მოძღვრების არსს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სექტაში ახალ წევრთა განუწყვეტლივ შემომატებას.

„პროფესორ- მასწავლებელთა შემადგენლობა“, რომლის მიზანია სექტის რიგითი წევრები გადააქციოს რობოტებად, გაუთავებლად რომ იმეორებენ ერთსა და იმავე მიხვრა-მოხვრას, და წარმოთქვამენ ერთსა და იგივე ლოცვის ტექსტებს, რომელთა აზრი ბოლომდე არცკი ესმით, მუდმივ, ყოველდღიურ კონტროლს უწევს სექტანტებს, ათაყვანებს და საბოლოო ანგარიშით გადააქცევს თავისებურ ნარკომანებად, რომლებისთვისაც უცილობელი მორჩილება განუხრელი წესის და სიგიჟის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

და აი, ბოლოს, „სამეცნიერო ეკლესიის“ მოძღვრება ზიარების უკანასკნელი ეტაპი: სექტის წევრმა, რომელმაც „ინდოქტრინაციის“ყველა ეტაპი გაიარა, უნდა გამოიცვალოს სახელი და გვარი და, ამრიგად, საბოლოოდ გაწყვიტოს უკანასკნელი კავშირი იმ წინანდელ ცხოვრებასთან, რომელშიც ჰყავდა ოჯახი, ჰქონდა პროფესია, საკუთარი სახლ-კარი. ამიერიდან, მთელი დარჩენილი სიცოცხლე მან უნდა მიუძღვნას ღვთის მსახურებას იმ თვალსაზრისით, როგორც ეს ესმით მის სულიერ დამრიგებლებს, პირწმინდად რომ გალიტეს „უკვდავების“ უფლების მინიჭების სანაცვლოდ. მაგრამ, რა ქნას, თუკი უბედურს გამოელია ფული, თუკი ამოეწურა საბანკო ანგარიში?

იმუშაოს. რადაც უნდა — მენაგვედ, მზარეულად. სექტა მუქთამჭამელებს ვერ იტანს. თანაც, მისი ხელმძღვანელების აზრით, რაც უფრო ნაკლები თავისუფალი დრო რჩება სექტანტს, მით უკეთესი, ნაკლებს იფიქრებს იმაზე, თუ რა მოსდის, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, ამიერიდან მის „უკვდავ სულში“ შეიძლება ეჭვმაც დაისადგუროს. ხოლო თუ ეს ეჭვები მაინც გაჩნდა, მაშინ რა ქნას? მაშინ საკითხი უბრალოდ წყდება: „უკვდავს“ ისტუმრებენ იქ, სადაც მას შეუძლია ბოლოს და ბოლოს ხორცი შეასხას ბატონი ჰაბარდისა და კომპანიის პრეტენზიებს მათი მრევლის უკვდავების მოძღვრების „მეცნიერულობაზე“. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ჯერ იქიდან არავინ დაბრუნებულა, რასაც ალბათ, სულ არ ნანობენ ჰაბარდი და ძმანი მისნი.

დრო და დრო რონ ჰაბარდი იშორებს ნიღაბს და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, თან მოურიდებლად ესვრის ლაფს იმ სისტემას, რომელშიც თვითონვე არსებობს: „დემოკრატია — ეს არის წმინდა წყლის თავის მოტყუება იმათთვის, ვისაც სწამს იგი. სწორედ დემოკრატია აძლევს კარიერისტებს შესაძლებლობას ჩადგნენ ხელისუფლების სათავეში, რათა შემდეგ დაბეგვრის გზით ყოველდღიურად და მეთოდიკურად ძარცვონ ხალხი. დემოკრატიას შედეგად მოსდევს არა მარტო ეკონომიკური ინფლაცია, არამედ რაც გაცილებით უფრო საშიშია, — სულიერ ღირებულებათა ინფლაცია და ამას ვერსად გაექცევი.

ფული იძლევა საშუალებას გახელისუფლდე და ხალხზე მაღლა დადგე. ხოლო ეს ფული ცოდვილებისა და დამნაშავეების ხელშია. ჩვენი ეკლესია მოწოდებულია გზაზე დააყენოს თავისი ჭეშმარიტი შვილები, რომლებიც დაეხმარებიან მშობლებს გაიცნობიერონ, რომ მხოლოდ უკანონოდ ნაძარცვის მსხვერპლად გაღების გზით შეძლებენ გამოისყიდონ თავიანთი წინანდელი შეცოდებანი და ჩასწვდნენ სიცოცხლის ჭეშმარიტ აზრს“.

რონ ჰაბარდი ყოვლად უსინდისოდ ეწევა სპეკულირებას დემოკრატიის სუსტი მხარეებით (რაც დემოკრატიას უდავოდ აქვს) და ცდილობს დათრგუნოს ყოველი ჩვენგანის ბუნებრივი სურვილი, იყოს მატერიალურად დამოუკიდებელი, შეძლებული. მას სულაც არ ანაღვლებს ის გარემოება, რომ საბოლოო ანგარიშით შეწირულობა, რომლებზეც გაუთავებლად ლაპარაკობს, შედგება მრავალი წლის დაძაბული შრომით შეძენილი ფულისაგან. „ფულს სუნი არა აქვს, ხოლო მკვდრები არ იჯბინებიან“ — ასეთია „სამეცნიერო ეკლესიის“ დამაარსებლის ცხოვრებისეული პრინციპი, რომელსაც იგი ახორციელებს და რომლის რეალიზაციისათვის არ ერიდება არც სხვის გაუბედურებას, და არც ფიზიკურ ლიკვიდაციას.

გამოჩენილმა ფსიქიატრმა, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს კინდმა რელიგიურ-ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლად ქცეული ახალგაზრდების მშობლების თხოვნით გამოიკვლია „სამეცნიერო ეკლესიის“ სექტის რამდენიმე წევრი. შედეგები ფრიად უნუგეშო გამოდგა: ყველა ეს ადამიანი მეტნაკლებად განიცდიდა ჰიპნოზური ზემოქმედების შედეგებს, მათი საქციელი აშკარად არაადეკვატურია, მათ არა აქვთ რეალობის გრძნობა და კრიტიკული დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მათ ირგვლივ რომ ხდება.

ისინი გამოფიტული არიან სულიერად და ფიზიკურად, ისინი ყველანი ავტომატებივით იმეორებენ, რომ უკვე გამოისყიდეს თავიანთი ძველი ცოდვები, ბოლოს და ბოლოს იხილეს „ჭეშმარიტი სიმართლე“ და ახლოს არიან იმასთან, რომ მთლიანად „განიკურნონ“ და უკვდავნი გახდნენ... კი მაგრამ, მაინც სად მიდის ის ფული, რომელიც შეწირულებათა სახით ირიცხება „სამეცნიერო ეკლესიის“ ხელმძღვანელთა საბანკო ანგარიშზე? როგორც წესი, შეწირულებანი გადასახადით არ იბეგრება, სულ ერთია, რა თანხასაც უნდა შეადგენდეს (ვარაუდობენ, რომ სხვათაშორის, ჰაბარდის სექტის ყოველწლიური შემოსავალი მილიარდ დოლარს სჭარბობს). მაგრამ აი, სად მიდის ეს ფული, ვინ და როგორ განკარგავს მას, — საიდუმლოდ რჩება. არც პოლიცია, არც საგადასახადო ორგანოები, მით უმეტეს, არც სხვა რელიგიური ორგანიზაციები, — არავინ კითხულობს ამ ამბავს. ყველანი სდუმან, ყველას წყალი ჩაუგუბებია პირში. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არ გვქონია გუშინ, არ გვაქვს დღეს და საეჭვოა, მივიღოთ ხვალ.

მისტიკური სექტა „ტმ“

(ტრანსცედენტული მედიტაცია)

ეს სექტა სელიმბერგში (შვეიცარია), ურნერის ტბის მახლობლად ჩამოაყალიბა ინდოეთიდან ჩამოსულმა შარლატანმა ჰიპნოტიზიორმა, რომელიც თავის თავს მახარიში მახეშ იოგი გურუს უწოდებს. სექტის წევრები თავიანთ თავს უწოდებენ „ზესკნელში მფრენთ“, ვინაიდან მათი ლიდერის მოძღვრების თანახმად, სწავლის, მედიტაციისა და სპეციალური წვრთნის მრავალწლიანი კურსის შემდეგ მათ ეძლევათ შესაძლებლობა სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი ქანგბადის ხელსაწყოებისა და სკაფანდრების გამოუყენებლად იფრინონ კოსმოსში.

იოგები არწმუნებენ ამ სწავლების მიმდევრებს, რომელთა შორის არის ათასობით ახალგაზრდა ინტელექტუალი, მათ შორის, სახელმწიფო მოხელენი, რომ ენერგია, რომელიც ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ გამოიყოფა — არაფერია იმ იდუმალ ენერგიასთან შედარებით, რომლითაც მათ ასაზრდოებს კოსმოსი.

შვეიცარიის გაზეთებში დაბეჭდილი ცნობების თანახმად, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სექტის ცალკეული წევრები, რომლებიც ჰალუცინაციურ მდგომარეობაში ვარდებიან და თავს იჯერებენ, რომ ეს ენერგია უკვე მიიღეს, ცდილობენ პრაქტიკულად განახორციელონ ახლადშეძენილი უნარი — იფრინონ სივრცეში, და ხშირად ხტებიან ხოლმე ზედა სართულების ფანჯრებიდან ან კლდის წვერიდან. ეფექტი კი, სამწუხაროდ ყოველთვის ერთია: დამსხვრეული სხეული, დამსხვრეული სიცოცხლე და სული, რომელიც სამუდამოდ გაუჩინარდა.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება).

შეეწივნენ

შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის ანგარიშზე შემოიტანეს თანხები:

თსუ ახალციხის ფილიალი (დირექტორი მ. ბერიძე) – 50 ლარი;

შპს ფირმა „ძველი“ (დირექტორი გ. ზედგინიძე) – 10 ლარი;

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე – ერთი თვის ხელფასი;

ახალციხის აგრომრეწვბანკი (მმართველი ო. ალოშაშვილი) – 50 ლარი;

ახალციხის ელკავშირის ტერიტორიული ფილიალი (უფროსი მ. ბერიძე) – 100 ლარი;

საქართველოს ფოსტა (გენერალური დირექტორი ც. ღიბრაძე, დირექტორი – დ. ხვედელიძე) – 200 ლარი;

საფოსტო ბანკი (დირექტორი ს. იაკობიძე) – 300 ლარი;

შპს „ზემო ვერა“ (დირექტორი ზ. გვასალია) – 20 ლარი;

შპს „სოლოლაკი“ (დირექტორი დ. ჭანუყვაძე) – 50 ლარი;

შპს „დევი“ (დირექტორი ლ. კობერიძე) – 50 ლარი;

შპს „ხელოვნება“ (დირექტორი ა. გრიგალავა) – 50 ლარი;

გამომცემლობა „სამშობლო“ (დირექტორი ჯ. ქარაზანაშვილი) – 50 ლარი;

შპს „თინათინი“ – 20 ლარი;

შპს ბუკინისტი – 10 ლარი;

შპს „სოლოლაკი“ (დირექტორი ლ. ჭანუყვაძე) – 50 ლარი;

შპს „ხვამლი“ (დირექტორი მ. ასათიანი) – 100 ლარი;

შპს „ავრორა-95“ (დირექტორი ც. ბზიკაძე) – 50 ლარი;

ქ. თბილისი, სახაზინო საწარმო მაღაზია (დირექტორი ა. თიკანაშვილი) – 20 ლარი;

ქ. თბილისში მცხოვრები დ. ყიფიანი – 90 ლარი.

შემოწირულობის შემოტანა გრძელდება.

შესაწირი შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ მისამართზე: ასპინძის კომერციული აგრომრეწვბანკი, შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდი. ანგარიში № 700265. მფო 521062.

საზოგადოებრიობას

მათ, ვისთვისაც სულერთი არ არის ქართული წიგნის ბედი

ჩვენი ერის სულიერი საუნჯე – ქართული წიგნი – შველასა და თანადგომას საჭიროებს, ქომაგსა და გულშემატკივარს ელის. დღეს მას, ისე როგორც არასდროს, ჰაერივით სჭირდება შემწე და ხელის გამმართველი. „ბურჯი ეროვნებისა“ განსაცდელშია!...

თითქმის წელიწადია „საქწიგნისა“ და ინტელიგენციის წარმომადგენლების ინიციატივით დაფუძნდა „ქართული წიგნის გადარჩენის ფონდი“, რომლის უმთავრესი მიზანი ქართული წიგნის გადარჩენა-აღორძინებაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ საშური, მეტად მძიმე და საპატიო საქმის განსახორციელებლად მხოლოდ მონდომება და ენთუზიაზმი არ კმარა. საჭიროა სათანადო მატერიალური სახსრები, ფინანსები, რათა ეს წამოწყება კეთილად დაგვირგვინდეს – ქართულმა წიგნმა არსებობა არ შეწყვიტოს, მომავალმა თაობებმა, შთამომავლობამ ათასწლეულობით ნალოლიავები კულტურული, სულიერი მემკვიდრეობა შეინარჩუნოს, ერი უწიგნოდ არ დარჩეს.

მოგმართავთ ყველას, ვისთვისაც სულერთი არ არის ქართული წიგნის ბედი, ვინც ზრუნავს ჩვენი ეროვნული კულტურის ხვალინდელ დღეზე, ვისაც შესწევს უნარი ამ შეჭირვების ჟამს მეოხად და გულშემატკივრად მოევლინოს ქართულ წიგნს, გამოიჩინოს გულისხმიერება და შეეწიოს ქართული წიგნის გადარჩენის საქმეს, იზრუნოს ერის სულიერი საგანძურის შენარჩუნება-აღორძინებაზე.

გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის იმედი.

ჩვენი რეკვიზიტებია: საქართველოს აქციონერულ-კომერციული „ივერთბანკი“ ანგ. № 300700530 მფო 522942 პ. იაშვილის ქ. № 18, სავალუტო ანგარიში № 400070571.

გახსენება

ჩვენო დოდო!

დასავით თბილო, ტკბილო, როგორ გაგვემწარე, გაგვიყინე გონება. ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვართ თავზარდამცემი ამბისგან. არადა, რაღაცისმთქმელი 40 დღე უკვე გასულა. დიახ, რაღაცისმთქმელი. თორემ, ისე რამდენი 40 დღეც დაგვრჩენია, ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნები.

ოჯახისათვის თავდაუზოგავო, ბურჯო დედავ, სამსახურებრივი საქმისათვის თავდადებულო, ყოველთვის მზად იყავი ყველას დახმარებოდი, შენ კი ერიდებოდი სხვის შეწუხებას. არავის აშფოთებდი შენი მდგომარეობით – სხვა რომ შეგატყობდა ცუდად იყავი, შენ მაინც ამბობდი – არა, კარგად ვარ. ახლაც ასე იყო – გიორგის მზერას არ გამოპარვია შენი ცუდად გახდომა, შენ შვილი არ შეაშინე თუ... – არა-უშავს, გამიელის, არავის დაუძახო, არავინ შეაწუხო... და აი, რა მოხდა.

გიორგის ზრუნვა არ მოაკლდება – მამა, მამიდები, ბიძები, ბებია ათმაგად იზრუნებენ მასზე, ჩვენც არ მოვაკლებთ ყურადღებას, მაგრამ შენი ერთი მოფერება, შენი ერთი ჩახუტება მილიონთა ალერსს ერჩივნა.

ჩვენ შენი დაბადების დღისათვის ვემზადებოდით, შენ კი... შენმა დაობლებულმა ოჯახმა – მეუღლემ, შვილმა მაინც გადაგიხადეს დაბადების დღე სახლშიც და აქ, სამსახურშიც. იცი, თითქოს, არა, თითქოს კი არა, ნამდვილად ვხედავდით შენს ღიმილიან სახეს, შენს მოციმციმე დიდრონ თვალებს, გვმასპინძლობდი ზეიმურად, ჩვენც ვეძალებოდით „შარბათს“, რომ მოჩვენებითი არედან, თვალთაგან არ დაგვეკარგეოდი.

შენ ჩვენთან ხარ! ასე იქნება მუდამ. გვჯერა, შენი გიორგი შეისწავლის ბასკურს, შენს სადისერტაციო თემას, უკვე დამთავრებულს, ღირსეულად დაიცავს შენივე სახელით და მარადიულ სანთელს დაგინთებს. ჩვენო დიდთვალება, გულკეთილო, სულგრძელო დოდო, ყველა ერთი საზარელი დედის – სიკვდილის შვილები ვართ. ადრე თუ გვიან ერთად შევიკრიბებით... ამით ვიიმედებთ თავს.

ასე უეცრად, ასე ახალგაზრდა რომ გამოგვაკლდი, ველარ ვერევით მტანჯველ ფიქრებს.

არ გემშვიდობებით, მუდამ ჩვენს გვერდით გიგულებთ და შენი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებით გეჩურჩულებით.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქციის თანამშრომლები.

ზინაიდა ლეფსვერიძე

უშენოდ მოვიდა მეორე ზაფხული, ზინა. შენზე ფიქრსა და დარდში ლამდება ყოველი დღე.

ამ ორ წელიწადში შესრულდა ყველაფერი, რასაც შენ მთელი სიცოცხლე ელოდებოდი: შენი ქეთი ბედნიერად გათხოვდა, ლამაზი გოგონა შეეძინა, ინსტიტუტი დაამთავრა. დედის მაგიერი ამაგი დასდო ქალბატონმა ეთერიმ ქეთინოს, მადლობა მას ყველაფრისათვის.

ზინა, შვილიშვილი შალვასაც მიულოცე, თინიკოს ბიჭი უკვე ერთი წლისაა...

ვცხოვრობთ უთქვენოდ, უსიხარულოდ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

ოჯახი.

ხსოვნა

გოგი დოლიძე

გოგი დოლიძე გარდაიცვალაო... წამიერად გაიელვა ამ ფრაზამ და ექოსავით მოედო მთელ ქალაქს. გარდაიცვალა – გარდაისახა და მარადიულობას შეუერთდა მისი უკვდავი სული...

წინა დღით დასასვენებლად გააცილა მისი პაწაწინა გუგა, მერე კი სამსახურში შემოიარა ახალგაზრდული შემართებით, ჯანსაღი გამომეტყველებით, მას ხომ სულ ახლახანს, ვარდობისთვეს შეუსრულდა 50 წელი; მოკრძალებული ღიმილით შემოვიდა ოთახში და მისთვის ჩვეული იუმორით ცდილობდა ყველასთვის გაეზიარებინა ის სითბო, რაც ამ სამი თვის მონატრებით დაგროვებოდა... სიცილით, ხუმრობით, მომავლის დიდი რწმენით გავაცილეთ იმ დღეს, არც დაგვემშვიდობა, შეგვპირდა – პარასკევს შემოივლიდა, მაგრამ... გულმა ველარ დაიტია ამდენი სიყვარული და გათენებისას გარდაიცვალა...

ძალიან გვიჭირს გამოთქმა იმ დიდი ტკივილისა, რაც გოგი დოლიძის ამქვეყნიდან წასვლამ მოგვაყენა თითოეულ ჩვენთაგანს, გვიჭირს მისი ოჯახის ნუგეშისცემა უზომოდ მზრუნველი მეუღლის, მამისა და უსაყვარლესი ბაბუის დაკარგვის გამო...

მაგრამ გვწამს მისი უკვდავი სულის არსებობისა, მოყვასის მოყვარული, სხვისი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი მომავლის რწმენით აღავსებს მის უკეთილშობილეს ოჯახს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს მადლიანი მიწა, ჩვენო გოგი!

მეგობრების ჯგუფი.

დედა რისიმე ლორია, მეუღლე თალიკო ჯაყელი, შვილები მადონა, კახა, შვილიშვილები ეკა, ნანუკა, სალომე, რძლები თამუნა ჯაფარიძე, ირა იმნაიშვილი, ძმისწული მანანა, ცოლისდა ნინო (ფუცუ) ჯაყელი, დისწულები ნანა და ზურაბ რუსიძეები, მძახლები დალი და ვაჟა ჯაფარიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები,მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამია ანტონის ძე თარგამაძე

პანაშვიდი 29, 30 ივლისს 17 სთ-ზე, გამოსვენება 31 ივლისს 15 სთ-ზე. მიცკევიჩის ქ. № 17.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია და ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, გადამდგარი პოლკოვნიკი

მამია ანტონის ძე თარგამაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შ ს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თადარიგის პოლკოვნიკი

მამია თარგამაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მარგალიტა, რუსუდან, გიორგი, ქეთევან, დათო, ეკა ბერიძეები, ნუნუ ალბერტ მახარაძეები, ირა ბაქუნაშვილი, რეზო, ლევან, თენგიზ ღლონტები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ კონსტანტინეს ძე ბერიძე

პანაშვიდი 29, 30 VII, 4 სთ, დაკრძალვა 31 VII, 3 სთ. დოლიძის ქ. № 7.

მეუღლე მარიამი, შვილები თემური, ნუგზარი, რამაზი, რძლები ნანა, ვიკა, თინა, შვილიშვილები მარინა, ირა, ნუკრი, შაკო, ნუცა, რეზიკო, ანა, ნიკუშა. ძმის ცოლი ტატიანა, ძმისწულები მერაბი, ჯემალი, სერგო, ელზა მანჯგალაძეები, მძახლები რეზო, ლამარა დოლიძეები, ცოლის ძმები ჯიმი, ზურაბ მინდელები, ცოლის დები ნუნუ, ნინა მინდელები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა სპირიდონის ძე მანჯგალაძე

პანაშვიდი 27.28 VII, 4 სთ. გამოსვენება 29 VII, 3 სთ. დგებუაძის ქ. № 1. მე-9 სადარბაზო, მე-7 სართული.

ალიკო და ქეთინო სოლტიშები ოჯახით იუწყებიან

შალვა სპირიდონის ძე მანჯგალაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები მარინა, გოგა, შვილიშვილები ზურიკო, ლევანი, ელენე, დისწული ნუკრი სულაბერიძე, რძალი ნატო სულხანიშვილი, სიძე ლევან ლამბაშიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა შალვას ას ხეჩინაშვილი

პანაშვილი 27, 28 VII, 5 სთ. გამოსვენება 29 VII 3 სთ. იოსელიანის ქ. 37. II სადარბაზო.

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ტრანსპორტის სამმართველო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს თანამშრომლებს ბატონებს ლევან და თენგიზ ხანიაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ვოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.